# სამკუთხა ბარათი №1

# სპეცნომერი

# №2 სამკუთხა ბარათი


საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.net

# საქართველო და მსოფლიო

23 დეკემბერი, 2009

№43

ფასი 1 ლარი

info@geworld.net


„საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია სპეცნომრის გამოცემაში თანადგომისთვის მადლობას უხდის ცნობილ ჟურნალისტს **ვალერი კვარაცხელიას**, გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“ მთავარ რედაქტორს **ტატო ლასხიშვილს**, გაზეთ „ქართული სიტყვის“ მთავარ რედაქტორს **ჯანსუღ ჩარკვიანსა** და ქალბატონ **თაკო ჩარკვიანს**.



# ქართველი საზოგადოების რეაქცია „საქართველო და მსოფლიოს“ დარბევაზე

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# სამძუთხა ბარათი №1

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს ქუთაისში „დიდების მემორიალის“ აფეთქებისას დედა-შვილ ჯინჭარაძეების ტრაგიკულად დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და სრულიად საქართველოს, რომლის სავალალო მდგომარეობამდე მისაყვანად ძალ-ღონეს არ იშურებს ხელისუფლება.**

## 19 დეკემბერს, გამთენიისას, უკვე მეორედ დაარბიეს და გაძარცვეს არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციის ოფისები

**19 დეკემბერს, გამთენიისას, უკვე მეორედ დაარბიეს და გაძარცვეს არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციის ოფისები, საიდანაც წაღებულია კომპიუტერები და სხვა ტექნიკური აღჭურვილობა, რომელშიც მთელი საინფორმაციო ბაზა ინახებოდა.**

ძარცვის მიზანმიმართულობაზე მეტყველებს, რომ ოფისებიდან ტექნიკასთან ერთად „ისტორიული მემკვიდრეობის“ მიერ საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ გამოცემული და 10 დეკემბერს საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანილი კრებულის „**უუფლებობის ზონა**“ ყველა ეგზემპლარი წაიღეს.

ამ კრებულის მიმართ მძარცველების განსაკუთრებულ ინტერესს ისიც ადასტურებს, რომ „ისტორიული მემკვიდრეობის“ თავმჯდომარის, ტარიელ გაგნიძის სამუშაო ოთახში შენახული, საზოგადოების მიერ გამოცემული ჟურნალებიდან და ბროშურებიდან მხოლოდ წიგნი „უუფლებობის ზონა“ გამოარჩიეს. ამ კრებულის არც ერთი ეგზემპლარი არ დაუტოვებიათ რედაქციის თანამშრომელთა სამუშაო მაგიდების უჯრებშიც. გაგნიძის სამუშაო მაგიდიდან ასევე ამორჩევით აიღეს კრებულის პრეზენტაციაზე მოწვეული საელჩოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების სია, მოსაწვევების რამდენიმე დარჩენილი ეგზემპლარი.

გარდა ამისა, არ დატოვეს არც ერთი ბლოკნოტი და ფურცელი, რომელზეც საქმიანი შინაარსის რაიმე ჩანაწერი არსებობდა.

ასევე, თვალშისაცემია ის გარემოება, რომ მძარცველებმა წაიღეს ტელეფონის აპარატები და გამოგლიჯეს კედლებში ჩამონტაჟებული ტელეფონის ჩამრთველები, რომლებიდანაც, როგორც ჩანს, მათივე დაყენებული მოსასმენი აპარატურა ამოიღეს.

**ეს ვანდალური აქტი წარმოადგენს ანგარიშსწორებას ზოგადად ჩვენი საქმიანობისთვის და კონკრეტულად კრებულის „უუფლებობის ზონა“ გამოცემისთვის, რაზეც პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს ხელისუფლებასა და პირადად პრეზიდენტ სააკაშვილს, რადგან ისედაც ნათელია, ვის ინტერესებშია ჩვენი დაშინების მცდელობა და მუშაობის პარალიზება.**

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობა“**
**გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“**

# „საქართველოში აკრედიტებული საელჩოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების საყურადღებოდ!

**ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა“ მოამზადა და გამოსცა წიგნი-კრებული სახელწოდებით „უუფლებობის ზონა“, რომელშიც მოთხრობილია საქართველოში ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის პრინციპების უხეში დარღვევების და რიგ შემთხვევებში — სრული იგნორირების შესახებ, მოცემულია ამის მიზეზების ჩვენეული ხედვა.**

წიგნის პრეზენტაცია შედგა 2009 წლის 10 დეკემბერს — ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეს და მასზე პერსონალური მოსაწვევებით მოწვეული იყვნენ თბილისში არსებული ყველა საელჩო და საერთაშორისო ორგანიზაცია. აზერბაიჯანის, ირანის, უკრაინისა და შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოების გარდა, ჩვენს ღონისძიებას და ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნს არავინ ყურადღება არ მიაქცია.

დაინახეს რა დიპლომატიური კორპუსის ასეთი უინტერესობა საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში გამეფებული განუკითხაობისადმი, მავანმა ეს წაქეზებად აღიქვა და ანგარიშსწორებამაც არ დააყოვნა: 19 დეკემბერს, გამთენიისას, ბოროტმოქმედებმა დაარბიეს „ისტორიული მემკვიდრეობის“ და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ოფისები, გაზიდეს კომპიუტერული და საოფისე ტექნიკა, მთლიანად გაიტანეს კრებულის „უუფლებობის ზონა“ მთელი ტირაჟი, რომელიც ადგილზე ინახებოდა. „საქართველო და მსოფლიო“ ახორციელებდა „ისტორიული მემკვიდრეობის“ საქმიანობის საინფორმაციო მხარდაჭერას და გაზეთის 16 დეკემბრის ნომერში ფართოდ იყო გაშუქებული წიგნის გამოცემის თემა და მისი შინაარსი. ამ ანგარიშსწორების აქტის შედეგად პარალიზებული აღმოჩნდა ჩვენი საზოგადოებისა და გაზეთის ჟურნალისტური კოლექტივის საქმიანობა.

ამ მიმართვით კიდევ ერთხელ ვცდილობთ, მივაპყროთ თქვენი ყურადღება ადამიანის უფლებების დაცვის სავალალო მდგომარეობას საქართველოში და იმ ორგანიზაციათა წინააღმდეგ განხორციელებულ სადამსჯელო ზომებს, რომლებიც ხმას იმაღლებენ ხელისუფლების დიქტატორულ-ტოტალიტარულ მეთოდებზე, ყოველივე განსხვავებულისა და განსხვავებული აზრის გამომხატველთა მიუღებლობასა და დევნაზე.

მოგიწოდებთ, ჯეროვანი შეფასება მისცეთ საქართველოს ხელისუფალთა პოლიტიკას და გადახედოთ მათდამი თქვენს დამოკიდებულებას, გახდეთ კრიტიკულნი მათ შეფასებაში.

**გთხოვთ, თქვენი ქვეყნების მთავრობებს აქაური ვითრების ანალიზი მიაწოდოთ არა მხოლოდ სამთავრობო განცხადებებიდან გამომდინარე, რამეთუ დიპლომატებისა და საერთაშორისო საზოგადოებრიობის სიჩუმეს საქართველოს ხელისუფლება აღიქვამს მდუმარე თანხმობად საკუთარი განუკითხავი საქმიანობისადმი.**

არასამთავრობო ორგანიზაცია
„ისტორიული მემკვიდრეობა“.



საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# შუშის სახლის ბინადარი თქვენს კარსაც შემოლეწავს!

პირდაპირ ვაცხადებთ - გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ და არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ ოფისების დარბევასა და გაძარცვაში დამნაშავეა საქართველოს ხელისუფლება!

დამნაშავეა პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით!

სხვაგვარად როგორ ავხსნათ მძარცველთა მოქმედება - ოფისებიდან გაიტანეს კომპიუტერები, გაზეთის გამოსაცემად საჭირო სხვა ტექნიკური აღჭურვილობა, პირადი ნივთები, დალეწეს ელექტროგამათბობლები.

თავდაპირველი ეჭვი, რომ შესაძლოა ჩვეულებრივ კრიმინალთან გვქონოდა საქმე, მაშინვე გაქარწყლდა, როცა ოფისები თანამშრომლებმა ვნახეთ. ჩვენ წინაშე შემზარავი სანახაობა გადაიშალა.

ასე მხოლოდ სპეცსამსახურები იქცევიან. მათ მაღალპროფესიულ დონეზე გაძარცვეს გაზეთის რედაქციისა და არასამთავრობო ორგანიზაციის ოფისები:

სულ ახლახან გამოცემული კრებული „უუფლებობის ზონა“ გამოარჩიეს ყველა სხვა და არანაკლები ღირებულების წიგნებიდან. მხოლოდ „უუფლებობის ზონის“ ყველა ეგზემპლარი წაიღეს... 10 დეკემბერს საზოგადოების სამსჯავროზე წარდგენილ ამ კრებულში თავმოყრილი იყო არასამთავრობო ორგანიზაციების, ომბუდსმენის ოფისის მიერ მიწოდებული მასალები და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნებული წერილები. წიგნში სისტემატიზებული იყო ადამიანის უფლებათა დარღვევის შემზარავი ფაქტები. ქართული და ინგლისურენოვანი კრებულის ერთი ეგზემპლარიც კი არ დაუტოვებიათ!

გამოშლილი დაგვხვდა კედლებში ჩამონტაჟებული ტელეფონის ჩამრთველები - როგორც ჩანს, მათ მიერვე ადრე დაყენებული მოსასმენი აპარატურა მოხსნეს. ასევე წაიღეს ტელეფონის ყველა აპარატი, რომლებშიც საფუძვლიანი ეჭვი გვაქვს, რომ ასევე მოსასმენი „ხოჭოები“ იყო ჩამონტაჟებული და აპარატების დაშლაზე დრო აღარ დაკარგეს...

სპეცსამსახურების თარეშს ისიც ადასტურებს, რომ „საქართველო და მსოფლიოს“ და „ისტორიული მემკვიდრეობის“ თანამშრომელთა სამუშაო მაგიდებიდან წაიღეს ბლოკნოტები, რომლებშიც სამუშაო ჩანაწერები და საკონტაქტო ინფორმაცია ინახებოდა... ასევე სავიზიტო ბარათები და ე.წ. სტიკერებიც კი, რომელზეც ასეთი ხასიათის ჩანაწერი ნახეს... არეული ოფისის მეტ-ნაკლებად მოწესრიგების შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ გამქრალია გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ და ჟურნალ „ისტორიული მემკვიდრეობის“ გამოსაცემი ნომრების დედნები, ხოლო უკვე დაბეჭდილი მასალების დედნები - საგულდაგულოდ გადარჩეული.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ჩვეულებრივ კრიმინალებს ჩვენი თანამშრომლებისა და რესპონდენტების ტელეფონების ნომრები აინტერესებდათ...

19 დეკემბერს ღამის 3-დან 5 საათამდე მომხდარ ამ ძარცვა-დარბევაში პასუხისმგებლობა ეკისრება სწორედ საქართველოს ხელისუფლებას, რადგან წარმოუდგენელია, რომ სრულ ტექნიკურ აღჭურვილობას, პირად ნივთებსა და კრებულის „უუფლებობის ზონა“ მთელ ტირაჟს ორი საათის მანძილზე ეზიდებოდნენ და არავის დაუნახავს! მეტიც, - ოფისები საცხოვრებელი კორპუსის მეორე სართულზეა და მეზობლებსაც კი არაფერი გაუგიათ!

ფაქტია, რომ ჩვენ პოლიციურ სახელმწიფოში ვცხოვრობთ. ყველგან, გამოსაჩენად ან თვალმიუწვდომელ ადგილებში დაყენებულია ტელეკამერები და გადაცემა „პატრულშიც“ არაერთხელ გვინახავს ამ კამერებით გადაღებული საგზაო მოძრაობის დარღვევისა თუ ჩხუბის ფაქტები.

ამჯერად კი ვერავინ ვერაფერი გაიგო, არავის არაფერი დაუნახავს! ოფისებიდან გატანილი ტექნიკისა და წიგნების წასაღებად სატვირთო ავტომობილი დასჭირდებოდათ. ძარცვა-დარბევის სურათის აღდგენა ნათლად გვიჩვენებს, რომ 2-3 კაცი კი არა, კარგად ორგანიზებული ჯგუფი მოქმედებდა.

პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მიერ 2005 წლის მაისში თბილისში თავისუფლების მოედანზე ანთებული დემოკრატიის შუქურა ჯერ კიდევ 2007 წლის 7 ნოემბერს ჩაქრა, თუმცა არც მანამდე ანათებდა წყვდიადს, რომელშიც სააკაშვილის რეჟიმმა მოაქცია მთელი საქართველო.

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ და არასამთავრობო ორგანიზაციის „ისტორიული მემკვიდრეობა“ ოფისების დარბევამ კი დემოკრატიის ახალი ტალღაც მორევში შთანთქა, იმ მორევში, რომელშიც საქართველო უკვე ექვსი წელიწადია იძირება და საშველი არ დაგვადგა!

19 დეკემბერს, ნიკოლოზობის დღესასწაულზე, გამთენიისას ჩვენი ოფისები დაარბიეს და გაძარცვეს! გონს მოსვლა ვერ მოვასწარით და რამდენიმე საათში შემზარავი ამბავი შევიტყვეთ - ქუთაისში „დიდების მემორიალი“ ააფეთქეს, რასაც ორი ადამიანის, დედა-შვილის სიცოცხლე შეეწირა.

ჩვენ ვიცით, რომ ოფისების ძარცვა-დარბევა უკვე მეორე გაფრთხილება იყო



ჩვენი საქმიანობით შეშფოთებულ-აღშფოთებული ხელისუფლების მიერ.

შუშის სახლის ბინადარი თქვენს კარსაც შემოლეწავს! მხოლოდ ჩვენ კი არა, მთელი მედია გააფრთხილეს! ისიც ვიცით, რომ მესამე აღარ იქნება! გავუძლებთ!

მაგრამ რა ეშველებათ საქართველოს ვანდალი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებიც ძალაუფლების შენარჩუნებას ძალადობით ცდილობენ?

მოეკითხებათ!

ღვთის რისხვას ვერ გადაურჩებიან. და ნუ დაავიწყდებათ - განკითხვა გაფრთხილებებით არ მოდის!

განკითხვა გაუფრთხილებლად მოვა!

ბონდო მძინარაშვილი



**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ 19 დეკემბერს საქართველოს ხელისუფლებამ ფეხქვეშ გათელა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება. რედაქციის ოფისის დარბევით ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ გააწნა სილა ქართველ საზოგადოებას და იმ უცხოელ პარტნიორებს, რომლებიც დღემდე საქართველოს დემოკრატიის ბაღნარად გვიხატავდნენ. ამ ნაბიჯით აგონიაში მყოფმა სააკაშვილის ხელისუფლებამ დასავლური დემოკრატიული ღირებულებები უფრო მეტად აზარალა, ვიდრე კონკრეტული რედაქციისა და არასამთავრობო ორგანიზაციის ოფისები.**

## სამკუთხა ბარათი №2

გსურთ, გამოთქვათ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ქართველი საზოგადოების რეაქცია

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობისა~ და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს~ ოფისის უმოწყალო დარბევის ამბავი ქართული ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისა თუ სახელისუფლო მაღალი იერარქიების წარმომადგენლებმა (გარდა რამდენიმე გამონაკლისისა) ჩვენგან შეიტყვეს, კომენტარებიც გააკეთეს და მეტიც, დამრბევთა მისამართიც ღიად დააფიქსირეს.**



**გუბაზ სანიკიძე, ეროვნული ფორუმის ლიდერი:**

- საერთოდ მაინტერესებს, თქვენ თვითონ ვისზე გაქვთ ეჭვი. ამ ქვეყანაში ხომ მსგავსი კრიმინალური ქმედებების ექსკლუზივი მხოლოდ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას აქვს აღებული; კერძოდ, ივანე მერაბიშვილსა და მის „ხელისბიჭებს“. რომ არ დაგიმალოთ, მე თქვენი გაზეთისადმი ამგვარ ანგარიშსწორებას ველოდებოდი კიდეც! საერთოდ, ამ ხელისუფლებას არ მოსწონს, როცა ვინმე სიღრმისეულად, ანალიზის დონეზე უსაბუთებს, რომ კრიმინალები არიან! თქვენი გაზეთი კი ამ მიმართულებით გამოირჩევა, ანუ „ცუდი გაზეთია“ და ამიტომაც არ მოსწონხართ!



**დიმიტრი ლორთქიფანიძე, პარლამენტარი:**

_ დაგარბიეს? როდის, კაცო, ეს რა უბედურებაა? რა შეფასება უნდა გავაკეთო ამ აღმაშფოთებელ ფაქტზე! როგორ შეიძლება, რომ ამ ყველაფრის მიმართ ვინმე გულგრილი დარჩეს? მე მინდა შევახსენო მავანთ, რომ მედიის თავისუფლება ეს არის ქართულ-ამერიკული ქარტიის ერთ-ერთი მთავარი ქვაკუთხედი, რომ მედიის განვითარება და თავისუფლება გარანტირებული უნდა იყოს! მე, როგორც დეპუტატი, მოვითხოვ შინაგან საქმეთა სამინისტროსგან, რომ ეს კრიმინალური ფაქტი, ჩადენილი მედიის წინააღმდეგ, სასწრაფოდ გამოიძიონ, გამოიყენონ კრიმინალისტიკური სამსახურის ყველა შესაძლებლობა საქმის დროულად გახსნისათვის. თქვენი გაზეთი, გარდა ინფორმაციულობისა, არის ანალიტიკურიც, რასაც დღეს ქართულ მედია ბაზარზე არსებული მაღალრეიტინგული გაზეთების მისამართით ვერ ვიტყოდი! ამ მხრივ „საქართველო და მსოფლიო“ მართლაც გამორჩეულია და, ვფიქრობ, ამაში ბევრი დამეთანხმება!



**ჯონდი ბაღათურია, პარლამენტარი:**

_ „საქართველო და მსოფლიო“ გაზეთია? უკაცრავად, მაგრამ არასდროს არ მქონია შესაძლებლობა წამეკითხა... ნუ, მე რა კომენტარი უნდა გავაკეთო მედიის დარბევაზე, რა თქმა უნდა, აღმაშფოთებელი ფაქტია და მოვუწოდებ შინაგან საქმეთა სამინისტროს, რაც შეიძლება სწრაფად გამოიძიოს ეს ფაქტი და აცნობოს საზოგადოებას, ვინ ჩაიდინა ეს აღმაშფოთებელი ქმედება! სხვათაშორის, თქვენი ოფისის დარბევა კიდევ ერთი მაჩვენებელია იმისა, თუ როგორ ექცევა და იტანს ხელისუფლება თავისუფალ მედიას!



**გია მეფარიშვილი, ყოფილი გენერალური პროკურორი:**

- ნიკოლოზობა ასე მოგილოცეს? გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ ჩემთვის ერთ-ერთი ძალიან საინტერესო გაზეთია და ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვეცნობი ხოლმე მასში გამოქვეყნებულ სტატიებს! თქვენს გაზეთში მომუშავე ჟურნალისტებთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს, ჩემი რამდენიმე სტატიაც გამოქვეყნებულა თქვენთან. ასე რომ, ყოველმხრივ პოზიტიურად ვარ განწყობილი თქვენ მიმართ! ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთ წმინდა დღეს, ასეთი „საჩუქარი“ გაგიკეთეს, ეს მხოლოდ საქართველოში შეიძლება მომხდარიყო! აღშფოთებულიც ვარ და შეშფოთებულიც, რადგან, არა მგონია, მომხდარი შემთხვევითობასთან იყოს დაკავშირებული! აი, ახლა კეთილი ინებოს ხელისუფლებამ და სასწრაფოდ გამოიძიოს ეს ამბავი, თორემ ეს ამბავი გახდება ჭორების საფუძველი, ძალიან ცუდი ჭორების საფუძველი და ეს ხელისუფლებას ძალიან კარგად უნდა ესმოდეს! მე, როგორც პროფესიონალი, მოვუწოდებ შესაბამის უწყებებს, დაუყოვნებლივ დაიწყოს გამოძიება, დადგინდეს, ვინ ჩაიდინა ეს ვანდალური ქმედება, თორემ მეტასტაზები თუ გავიდა, ძალიან ცუდი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის და ჩვენი მომავლისთვის! ეს რა უბედურებაა, კაცო, ამ ნიკოლოზობა დღეს?!



**ია ანთაძე, მედია-ექსპერტი:**

_ „საქართველო და მსოფლიო“, რა თქმა უნდა, გამიგია; ვიცი, რომ არსებობს ასეთი გაზეთი, მაგრამ, უკაცრავად, არასოდეს წამიკითხავს, პრაქტიკულად 24-საათიან რეჟიმში ვმუშაობ და დრო აღარ მრჩება... თქვენ თვითონ როგორ ფიქრობთ, ვინ შეიძლება ყოფილიყო? ეს თქვენს ჟურნალისტურ საქმიაობას უკავშირდება? სამწუხაროდ, მე დარბევის ფაქტი პირველად თქვენგან შევიტყვე და ჯერ არანაირ კონკრეტულ ინფორმაციას ამის შესახებ არ გავცნობივარ!

**- ქალბატონო ია, ჩვენს ოფისში კიდევ ერთი ორგანიზაციაა - არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობა“, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ წიგნის „უუფლებობის ზონის“ პრეზენტაცია ჰქონდა. წიგნში აღრიცხულია საქართველოში ადამინის უფლებების უხეში დარღვევის ფაქტები, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ საქართველოში მოხდა.**

წიგნის მთელი ტირაჟი დარბევის დროს გატანილია, დალეწილია ოფისის ინვენტარი, წაღებულია 8 კომპიუტერი, ციფრული ფოტოაპარატები, დიქტოფონები, დოკუმენტაცია და ა.შ.

- თუ წიგნები წაიღეს ე.ი. წიგნებს ერჩიან და ეს ძალიან ცუდია! თუ ამ წიგნში ეწერა ის, რაც ჩვენთვის, ანუ საზოგადოებისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო და ეს რაღაცნაირად „დაბლოკეს“ ძალიანაც შემცდარან, რადგან XXI საუკუნეში დაფარული ინფორმაცია თითქმის არ არსებობს და მას საზოგადოება გარკვეული დროის შემდეგ მაინც მოიპოვებს! ოფისის დარბევა, ზეწოლა მათზე, ვინც ადამიანის უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული, რა თქმა უნდა, ყოველთვის აღიქმება, როგორც ძალიან უხეშ ჩარევად სიტყვისა და გამოხატვის საშუალების წინააღმდეგ, სხვა რა უნდა ვთქვა? სამწუხაროა, ძალიან სამწუხარო!



**ნუკრი ქანთარია, რეჟისორი, „ქართული აკადემიის“ წევრი:**

- ეს არი ფაშიზმი, ფა-შიზ-მი! ამათ ბოროტ ფანტაზიებს, როგორც ეტყობა, საზღვარი არ აქვს - დაწყებული ძეგლების აფეთქებითა და დამთავრებული დახვრეტილი ახალგაზრდებით, დატერორებული ხალხითა და დარბეული მედიით! დღეს ვინც ნაციონალების გვერდით დგას, ვინც თავის თავს უწოდებს მომღერალს, მსახიობს, რეჟისორს და ასე შემდეგ, ისინიც თანამონაწილეები არიან ამ ყველაფრისა. ისინიც, ვინც სააკაშვილის, უგულავას, მერაბიშვილის გვერდით დგას და მათ რეჟიმს გუნდრუკს უკმევს, ყველა მონაწილეა იმ უბედურებისა, რაც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქვეყანაში მოხდა, მათ შორის კი, ნიკოლოზობა დღეს დარბეული თქვენი ოფისის აღმაშფოთებელ ფაქტში.



**დავით უსუფაშვილი, „რესპუბლიკური პარტია”, „ალიანსის” წევრი:**

- რა ვთქვა არც კი ვიცი თქვენც დაგარბიეს? საერთოდ დარბევა, დამტვრევა და ასეთი რაღაცები მიუღებელია და ისიც პრესასთან მიმართებაში! იცით რა მაინტერესებს? თქვენ თვითონ თუ გაქვთ ეჭვი, ვის შეიძლება გაეკეთებინა ეს? იმედია, დროზე გაირკვევა ყველაფერი და დადგინდება ვინ ჩაიდინა. ხდება ხოლმე ისეც, რომ გამოძიება “ვერ ადგენს” ვინ ჩაიდინა ესა თუ ის დანაშაული, მაგრამ ასეთი რამეები როგორც წესი არ იმალება და ჩვენ, ანუ საზოგადოება თავად დავადგენთ ხოლმე ყველაფერს! დამერწმუნეთ არც თქვენი ოფისის დამრბევთა ვინაობა დაიმალება დიდხანს, მაგრამ ვაცადოთ გამოძიებას, სისხლის სამართლის საქმე ხომ აღიძრა უკვე?

„საქართველო და მსოფლიოს” დარბეული ოფისიდან, არასამთავრობო სექტორთან, პარლამენტარებთან, ყოფილ ჩინოვნიკებთან და არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიების ლიდერებთან კომენტარების ჩაწერას როგორც კი მოვრჩი, მაშინვე სააკაშვილის ახალ პრესმდივანმანანამანჯგალაძესთან დაკავშირება ვცადე, მაგრამ ამაოდ... ასევე უშედეგოდ ვცდილობდი, დავკავშირებოდი პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეს, გიგა ბოკერიას, ვანო მერაბიშვილსა და სხვებს, რომლებიც „დემოკრატიის შუქურის ბატარეიკების” მოვალეობას პირნათლად ასრულებენ.



**მანანა ნაჭყებია, „ახალი მემარჯვენეები“, „ალიანსის“ წევრი:**

- თქვენი გაზეთი როგორ არ ვიცი, რას ლაპარაკობთ?! ვიცი და, როცა დრო მაქვს, სიამოვნებით ვკითხულობ კიდეც. მეტსაც გეტყვით - თქვენს ჟურნალისტებთან მეგობრობაც კი მაკავშირებს. ამ ხელისფლებისგან არაფერი აღარ მიკვირს, მითუმეტეს, როცა პრესაზე და სიტყვის თავისუფლებაზეა ლაპარაკი! დარწმუნებული ვარ, რომ ამ ხელისუფლებას უკვე მოფიქრებული აქვს საბაბი, რითაც პირიქით თქვენ დაგადანაშაულებენ აუცილებლად და ამას იმასაც დაამატებენ, რომ თქვენ რუსეთთან გაქვთ კონტაქტი და კავშირები! ჩემი აზრით, საზოგადოებამ, ვინც თავს ამ რეჟიმისგან დაჩაგრულად გრძნობს, ხმა უნდა აღიმაღლოს ასეთი ფაქტების წინააღმდეგ და ერთხელ და სამუდამოდ 2010 წლის მაისში უმოკლესი გზით უნდა ჩამოვაშოროთ ისინი ხელისუფლებას!



**გიორგი უჩილაური, ჟურნალისტი, „ახალი თაობა“:**

- დღითიდღე ვრწმუნდები, რომ ასეთი აღმაშფოთებელი ფაქტების კვალდაკვალ მოსახლეობა მივა იმ აზრამდე, რომ ეს ხელისუფლება არაკონსტიტუციური გზით ჩამოაშოროს ხელისუფლებას! თქვენი გაზეთის დარბევის ფაქტი მიანიშნებს იმასაც, რომ დღეს თქვენ თუ ამ დღეში ხართ, ხვალ ჩვენი გაზეთი იქნება, ზეგ - სხვა და ასე უსასრულოდ, სახლებში შემოვარდნამდე, ვიდრე ამათ აღვირახსნილობას საბოლოოდ არ დაესმება წერტილი! თუ შეამჩნიეთ, 7 ნოემბრისა და შარშანდელი აგვისტოს ომის შემდეგ, სულ უფრო და უფრო როგორ თამამდებიან? თავისუფალი სიტყვა მაგათთვის ყელში გაჩხერილი ძვალია და ამიტომაც ასე გამალებით გვებრძვიან, გვარბევენ, გვაპატიმრებენ, გვხოცავენ, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ გვერევიან. აი, სწორედ ამის ეშინიათ!



**აკაკი ასათიანი, „ტრადიციონალისტთა კავშირის“ ლიდერი:**

- გულითა და სულით თქვენთან ვარ! ჩვენ ვცხოვრობთ ვანდალების სახელმწიფოში და ის, რაც თქვენს ოფისში ჩაიდინეს, არის ვანდალიზმი და ამაში გასაკვირიც არაფერია. მართალი და თავისუფალი სიტყვის სააკაშვილს ყველაზე ძალიან ეშინია და მერაბიშვილ-უგულავების ხელით სწორედ ამას ებრძვის!

მთელი ეს სიბნელე სააკაშვილის ხელისუფლებაა და მას წერტილი რაც შეიძლება მალე უნდა დაესვას! ჩემი აზრით, ეს საქმე სასწრაფოდ უნდა იქნას გამოძიებული, თორემ სხვა შემთხვევაში საზოგადოების სერიოზული ეჭვების საფუძველი ნამდვილად ექნება! აი, დაამტკიცონ ახლა, რომ არაფერ შუაში არიან, გამოიძიონ, აბა? რასაც უნდა, ხომ სწრაფად იძიებენ, არა?

ბოლოს, როგორც იქნა, თემურ იაკობაშვილს დავუკავშირდი, რომელმაც ჩემდა გასაკვირად, უცნობ, “არაბლატნოი” ნომერს უპასუხა და ერთობ უცნაური კომენტარიც გააკეთა მომხდარზე:

▶



# „საქართველო და მსოფლიოს“ დარბევაზე



**თემურ იაკობაშვილი:**

**- თქვენი გაზეთი ვიცი, როგორ არა, ერთი ორი ნომერი წაკითხულიც მაქვს... საერთოდ ქართული პრესა არ მიზიდავს, არ არის საინტერესო და იმიტომ!**

- მე ჩემს მოგონებებში, რომელსაც გაზეთ „ქრონიკის“ საშუალებით ვაქვეყნებდი, თქვენი ახალგაზრდობისდროინდელი ისტორია მოვყევი, როცა სოხუმიდან ებრაული მოსახლეობის გაყვანას ხელმძღვანელობდით, არც ეს გაქვთ წაკითხული?

**- კი, ეგ მოგონება წავიკითხე (იცინის).**

- ე.ი. ქართულ პრესას კითხულობთ ხოლმე არა? თუ მარტო თქვენზე რაც წერია ის გაინტერესებთ? კარგით, ჩვენი ოფისის დარბევის შესახებ ვისაუბროთ...

- მე თქვენგან გავიგე ეგ ამბავი და ძალიან ცუდია რომ ეს მოხდა! დარწმუნებული ვარ გამოიძიებენ ისევე როგორც სხვა უამრავი კრიმინალური საქომეები აქვს გამოძიებული ჩვენს შინაგან საქმეთა სამინისტროს...

**- კარგით რა ბატონო თემურ, როდის იყო რაც არ აწყობდათ იმას იძიებდნენ მერაბიშვილის უწყებაში? პატარა ხომ აღარა ხართ, ზღაპრების გჯეროდეთ?**

- ძალიანაც კარგად იძიებენ, გადახედეთ სტატისტიკას და დარწმუნდებით, თქვენს ამბავსაც გამოიძიებენ და დარწმუნებული ვარ დამნაშავესაც დასჯიან თუ არადა ნახავთ!

**- დღეს მართლმადიდებლური სამყარო ნიკოლოზობას აღნიშნავს, მართალია ებრაელი ბრძანდებით, მაგრამ გილოცავთ, იმედი ნუ მოგიშალოთ ღმერთმა! თუ ჩვენი დარბევის გამოძიებადროში გაიწელა და გაჯანჯლდა, თქვენი ნებართვით დაგირეკავთ და გაგახსენებთ დღევანდელ დღეს, თუ გამოიძიეს და დაადგინეს დამნაშავე, მაინც დაგირეკავთ და მადლობას გეტყვით შევთანხმდით?**

- კი ბატონო, დარეკეთ ისევ. გარწმუნებთ, რომ გამოიძიებენ.

**ტატო ლასხიშვილი, გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“ მთავარი რედაქტორი:**

- ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი ფაქტი მოხდა, თანაც ნიკოლოზობის დღესასწაულზე. ჩემი აზრით, ასეთი ფაქტები ზიანს აყენებს სახელმწიფოს, რადგან ყოველ ასეთ შემთხვევას შეუძლია ძალიან დიდი ზიანი მიაყენოს ჩვენი, როგორც დემოკრატიული ქვეყნის პრესტიჟს. ამასთან ერთად, შეიძლება ამაზე უხერხული იყოს ახლა ლაპარაკი, ჩვენი კოლეგების რეაქცია მაფიქრებინებს, რომ ჩვენს ამქარში ყველაფერი მთლად რიგზე ვერ უნდა იყოს. მომავალში ასეთი შემთხვევები რომ არ განმეორდეს, მედიას მეტი კონსოლიდირება მართებს. ამას გეუბნებით, როგორც იმ გაზეთის წარმომადგენელი, რომლის რედაქციაც რამდენჯერმე დაარბიეს 1996 წლიდან 2001 წლამდე.





**რამაზ საყვარელიძე, პოლიტოლოგი:**

გარდა ვანდალურობისა, სხვა რა შეფასება შეიძლება მივცე ამ ფაქტს? მაგრამ ეს ვანდალიზმი ემთხვევა გარკვეულ პოლიტიკურ ინტერესებს, მაგალითად ხელისუფლების ინტერესებს. პირდაპირ ძნელია რამის თქმა, მაგრამ თუ ამ საქმის გამოძიება გაჭიანურდა, ხელისუფლება ირიბად მაინც ეჭვმიტანილი იქნება. საჭიროა საზოგადოებამ და მედიამ თავიდაიცვას ასეთი შეტევებისგან. ამისთვის კი საჭიროა ბრძოლა, ბრძოლა და კიდევ ერთხელ ბრძოლა!



**პეტრე მამრაძე, პარლამენტის წევრი:**

უდანაშაულობის პრეზუმფცია ჩემთვის ის წმინდათაწმინდა ფასეულობაა, რომელსაც ყოველთვის ვიცავ და არც ამჯერად დავარღვევ, მაგრამ მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ დღევანდელი რეჟიმი არამარტო ქვეყნის შიგნით, არამედ ჩვენი უცხოელი მეგობრების მიერაც აღქმულია როგორც ავტორიტატული, პოლიტიკური რეჟიმი. საქართველოს ადამიანის უფლებების დარღვევის მხრივ გამორჩეული ადგილი უკავია. სანამ ხელისუფლება დამნაშავეებს არ იპოვის, ეჭვი მასზე იქნება, რადგან ხელისუფლების მიმართ ნდობაა დაკარგული. დემოკრატიულ ქვეყნებშიც შეიძლება მოხდეს მსგავსი რამ, მაგრამ იქ არავინ იეჭვებს ხელისუფლებაზე, ჩვენთან კი ხელისუფლების მიმართ უნდობლობის პირობებში პირველი ეჭვმიტანილი სწორედ ხელისუფლებაა.



**ირმა ინაშვილი, ჟურნალისტი:**

- ეს არ ყოფილა უბრალო ხულიგნური თავდასხმა ან ტიპური ძარცვა, ეს იყო მიზანმიმართული აქცია გაზეთის წინააღმდეგ, თავისუფალი მედიის წინააღმდეგ და ნიშანდობლივია, რომ 9 თვის მანძილზე მეორედ ხდება თავდასხმა „საქართველო და მსოფლიოზე“. ამისი მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ დღევანდელ ქართულ ბეჭდვურ იმედიაში ამ გაზეთს აქვს მკვეთრად ჩამოყალიბებული პოზიცია. ორი აზრი არ არსებობს, რომ გაზეთის პუბლიკაციებით გაღიზიანებულმა ხელისუფლების ძალოვანმა შტომ შური იძია გაზეთის რედაქციაზე და ბარბაროსულად დაარბია და გაძარცვა. არ გამოვრიცხავ, რომ ეს დარბევა დაკავშირებული იყოს ბონდო მძინარაშვილის მოსკოვის მედიაფორუმში მონაწილეობასთან. არც იმას გამოვრიცხავ, რომ სხვა მასთან ერთად მყოფ კოლეგებს და მათ წარმგზავნ მედიასაშუალებებსაც გაუსწორდნენ ამგვარი ფორმით. 26 დეკემბრიდან მაუწყებლობას აჩერებს „მაესტრო“. ვშიშობ, რომ ამ პერიოდში ხელისუფლება კიდევ არაერთ მედიასაშუალებას გაუსწორდება. კოლეგებს სიფრთხილისკენ მოვუწოდებ.



**ანი მიროტაძე, საინფორმაციო სააგენტო „პირველის“ გენერალური დირექტორი:**

- არცერთ ნორმალურ ქვეყანაში ასეთი ფაქტები რეაგირების გარეშე არ რჩება. ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლები დაინტერესებულნი არიან და ყველაფერს აკეთებენ ასეთი ფაქტების დროულად გამოძიებისთვის. თვით ეს ფაქტიც იმის კიდევ ერთი მაგალითია, რამდენად დაცულია ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტები და რამდენად არის შექმნილი პირობები ჟურნალისტებისთვის, რომ ემსახურონ სამართლიანობას და ობიექტურობას. ვუერთდები იმ ადამიანების მოთხოვნებს, და დარწმუნებული ვარ ასეთი ადამიანი ბევრია, რომ შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებმა ოპერატიულად და ობიექტურად გამოიძიონ ამ დარბევა-გაძარცვის ფაქტი.

ეს საჭიროა არა მხოლოდ იმისთვის, რომ რედაქციას ზარალი აუნაზღაურდეს და არც მხოლოდ იმისთვის, რომ მედიის საშუალებებს დაეხმარებიან. უპირველესად დაეხმარებიან საკუთარ თავს, რომ ხელი შეუწყონ ქვეყანაში ცივილიზებული საზოგადოების ჩამოყალიბებას. XXI-ე საუკუნეში სირცხვილია ასეთი ბარბაროსობის ჩადენა.

**თეიმურაზ ქორიძე, ჟურნალისტი:**

- საერთოდ საქართველოში პრესის საქმე ძალიან ცუდად არის. მთელ მსოფლიოში ხელისუფლება ეხმარება ოპოზიციურ პრესას, ხაზგასმით ვამბობ, ოპოზიციურ პრესას. ეს დარბევა არის უნიჭობის ნიმუში. საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების 98 პროცენტი აისახება პრესაში, მათ შორის კონფიდენციალური ინფორმაციებიც. ამიტომაც ყველგან ცდილობენ პრესის წახალისებას. დარბევა რა მიზეზითაც უნდა იყოს, ეს არის საკუთარ თავში აგურის ჩარტყმა. მათ მხოლოდ რედაქციის კი არა, ქვეყნის სახელმწიფოებრიობას მიაყენეს დარტყმა.



**ვალერი კვარაცხელია, პარტია „ნეიტრალური საქართველოს“ თავმჯდომარე:**

- მე მგონია, რომ ამ საქმეში სპეცსამსახურების ხელი ურევია. ამას ვფიქრობ თქვენი გაზეთის მიმართულებიდან გამომდინარე. მხედველობაში მაქვს ის, რომ თქვენთან მართლაც არის სიტყვის თავისუფლება, არ არსებობს ტაბუდადებული თემები. საბჭოთა პერიოდში მართლაც იყო ტაბუდადებული თემები, რომლებიც ახლა გაშიშვლებულია და ტაბუ მოხსნა, მაგრამ არსებობს პოლიტიკური თემები, რომლებიც ხელისუფლების მხრიდან დღესაც ტაბუდადებულია.

რუსეთთან ურთიერთობის პერიპეტიები ჩვენს მედიაში ცალმხრივად შუქდება და აუცილებლად ნეგატიურად. ტაბუდადებულია ის საკითხი, რომ შესაძლებელია ამ ქვეყანასთან პოზიტიური ურთიერთობა.

თქვენ გაცილებით მეტად ხართ ოპოზიციურები, ვიდრე მთელი ე.წ. პოლიტიკური ოპოზიციური სპექტრი. თუ სხვაგან ყველგან შუქდება ნატოსთან ურთიერთობა, როგორც პოზიტიური პერსპექტივა. თქვენს გაზეთში ამის საწინააღმდეგო წერილები ქვეყნდება.

ამ ხელისუფლებას კონკრეტული პირების კრიტიკა არ აღელვებს, მათთვის განსაკუთრებით გამაღიზიანებელია, როცა მათ პოლიტიკურ თვალსაზრისს არ ეთანხმები.

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ წაღებულია წიგნები, სადაც თავმოყრილია ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები, ეს ყველაფერი იმას ადასტურებს, რომ „საქართველო და მსოფლიოს“ და „ისტორიული მემკვიდრეობის“ ოფისები სპეცსამსახურებმა დაარბიეს და გაძარცვეს.



**გიორგი ბარამიძე, ვიცე-პრემიერი:**

- ამ ფაქტის შესახებ პირველად მესმის, საქართველოში არ ვიყავი, მაგრამ ნებისმიერი ძარცვა ცუდია და დანაშაულია. ამას რა კომენტარი სჭირდება? კრიმინალია, გამოსაძიებელია და დასასჯელია, ვინც ეს ჩაიდინა.



**ლუბა ელიაშვილი, ჟურნალისტი:**

- ნებისმიერ შემთხვევაში მაოცებს ჩემი კოლეგების შედარებით დუნე რეაქცია ამ დარბევასთან დაკავშირებით. მხარს ვუჭერ გაზეთს, მიმაჩნია, რომ აუცილებლად სასწრაფოდ უნდა გამოიძიონ, რა მოხდა. მიუხედავად ჩვენი განსხვავებული მოსაზრებებისა სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, ასეთ დროს კოლეგების თანადგომა აუცილებელია. სხვაგვარად, ძალიან გაგვიჭირდება თავისუფალი მედიის დაცვა.



**თენგიზ პაჭკორია, ჟურნალისტი:**

იმედი მაქვს, რომ ხელისუფლება და სამართალდამცავი ორგანოები გამოიძიებენ ამ ფაქტს, გამოავლენენ, ვინც გაძარცვა ეს ოფისები და დააბრუნებენ წაღებულ წიგნებს და ტექნიკას. თუ ამას მოახერხებს ხელისუფლება, ეს იქნება ძალიან კარგი ყველა კუთხით და პარამეტრით.



**გიგა ბათიაშვილი, არქიტექტორი:**

- საერთოდ დემოკრატიული სისტემის მშენებლობა და საინფორმაციო საშუალებების დარბევა ვერ ეგუება ერთმანეთს. ურთიერთგამომრიცხავია. დამზაფრა თქვენი გაზეთის წინააღმდეგ განხორციელებულმა ვანდალურმა დარბევამ.

წარმოუდგენელი ამბები ხდება: რომც იყოს აზრთა დიამეტრალური სხვაობა, დარბევა ინფორმაციის იმ საშუალების, სადაც შენთვის მიუღებელი, შენი საწინააღმდეგო პოზიცია დაფიქსირდა, ცივილიზებული საზოგადოებისთვის არა მარტო მიუღებელია, არამედ იმის დამამტკიცებელია, რომ დიქტატორული მართვის ფორმები ჩვენთვის დამახასიათებელი ხდება. ამ ფორმების დანერგვას კი დიდი სიცრუითა და მოტყუებით ცდილობენ.

მესმის, რომ სიმართლისთვის ბრძოლა მსხვერპლს მოითხოვს. მაგრამ დემოკრატიულ ქვეყანაში ასეთი მსხვერპლგაღება შეუძლებელია. მაშ, რას გვიმტკიცებენ? იმას ხომ არა, რომ არ ვართ დემოკრატიული ქვეყანა?

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ქართველი საზოგადოების რეაქცია „საქართველო და მსოფლიოს“ დარბევაზე



**ნანა კაკაბაძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“:**

- ჩემი აზრით, ეჭვს არ იწვევს, რომ ეს დარბევა პოლიტიკური ნიშნით მოხდა და არა სხვა მიზეზით. მითუმეტეს, ეს არ არის პირველი შემთხვევა, თქვენი გაზეთი ადრეც დაარბიეს...

სიმართლე გითხრათ, გამოძიების იმედი არ მაქვს, ვინაიდან, ამ ხელისუფლების წყალობით, დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაში დამოუკიდებელი საგამოძიებო სტრუქტურები არ არსებობს და, როგორც წესი, დანაშაულებები ყოველთვის გამოუძიებელი რჩება...

**დღეს ჩვენს საზოგადოებას დაბეჯითებით არწმუნებენ, რომ საქართველო დემოკრატიის შუქურაა და, რაც ყველაზე სამწუხაროა, ბევრს მართლა სჯერა, რომ ეს ასეა. სინამდვილეში კი დემოკრატიის შუქურა კი არა, დემოკრატიის ქვესკნელი ვართ, რასაც ის ვანდალური ქმედებაც მოწმობს, რაც თქვენი გაზეთის მიმართ განხორციელდა.**

რაც შეეხება დიპლომატიური კორპუსისა და საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების რეაგირებას, დღეს ბევრი მიიჩნევს, რომ ამ ხელისუფლების სიმყარე და ასე ვთქვათ, უძლეველობა დიდწილად მათი დამსახურებაა, რადგან ზოგიერთი დიპლომატი, სააკაშვილის მსგავსად, გამოდის და პირდაპირ აცხადებს, რომ საქართველო მართლა დემოკრატიის შუქურაა.

მე ასე არ ვფიქრობ, ასეთ განცხადებებს ყველა დიპლომატი არ აკეთებს, ამას ამბობენ პოლიტიკურად ანგაჟირებული დიპლომატები და ისინი, ვისაც აქ აქვთ უკანონო ბიზნესი.

სინამდვილეში კი მათ, რა თქმა უნდა, ძალიან კარგად იციან, აქ რა ხდება და რა დემოკრატიაც არის ჩვენს ქვეყანაში...



**ჯაბა ჯიშკარიანი, „მოძრაობა 7 ნოემბერი:**

- სასაცილოა, როცა ასეთ ფაქტებს ჩვეულებრივ კრიმინალურ ძარცვად რაცხავენ, მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი გაზეთის დარბევა წმინდა პოლიტიკური ნიშნით მოხდა. ამ ფაქტს მე ვუკავშირებ იმას, რომ „საქართველო და მსოფლიო“ არის ობიექტური, მიუკერძოებელი გაზეთი და ყოველთვის ადეკვატურად აშუქებს, თუ რა ხდება ქვეყანაში. ამასთან, ახლახან გამოიცა წიგნი „უუფლებობის ზონა“, რომელშიც თქვენი გაზეთის მიერ ადამიანის უფლებების დარღვევებზე მომზადებული მასალები საკმაოდ მრავლადაა შესული და ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, იძლევა იმის საფუძველს, დაბეჯითებით, დარწმუნებით ვთქვათ, რომ ეს იყო პოლიტიკური ნიშნით, მიზანმიმართულად განხორციელებული დარბევა, რომლის მიზანიც ცხადზე ცხადია...

გამოძიების იმედი, რაც უნდა სამწუხარო იყოს, არ უნდა გვქონდეს, რადგან ბოლო წლების მანძილზე განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, რომ ჩვენს ქვეყანაში დამნაშავე და კრიმინალი არ ისჯება. ისჯება მხოლოდ ის, ვის დასჯასაც ერთი ადამიანი - პრეზიდენტად წოდებული მიხეილ სააკაშვილი მოისურვებს და, როგორც ჩანს, ამჯერად მან არჩევანი სწორედ თქვენზე შეაჩერა.

რაც შეეხება მომხდარზე საერთაშორისო ორგანიზაციების რეაგირებას, ვფიქრობ, ამას სერიოზული რეაგირება უნდა მოჰყოლოდა საქართველოში მოქმედი დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების მხრიდან, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ვხედავ ამის ნიშნებს. ერთი რამ ფაქტია, რომ დიპლომატიური კორპუსის აქტიურობის მნიშვნელობა, ხელისუფლებაზე ზემოქმედების თვალსაზრისით, ძალიან დიდია და, რა თქმა უნდა, მისასალმებელი იქნება, თუ ისინი უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობენ ადამიანის უფლებების დაცვას...



**დაჩი ცაგურია, „მოძრაობა 7 ნოემბერი“:**

- ის, რომ ჩვენს ქვეყანაში დანაშაულის გახსნა და დამნაშავეების დასჯა არ ხდება, არახალია. ამიტომ, სიმართლე გითხრათ, დიდი იმედი არ მაქვს, რომ თქვენი გაზეთის დარბევას ვინმე გამოიძიებს და რამე გაირკვევა, მაგრამ საზოგადოებამ უნდა იაქტიუროს. ის, რომ ეს უბრალო ყაჩაღური დარბევა არ ყოფილა, მე მგონი, ეჭვს არ იწვევს, ამიტომ, როგორც გითხარით, საზოგადოებამ, არა მარტო ქართულმა, მსოფლიო საზოგადოებამაც, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, უფლებადამცველებმა და ყველამ, ვისაც კი ამ სფეროსთან შეხება აქვს, ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა გამოძიებულ იქნას არა მხოლოდ ეს ერთი კონკრეტული შემთხვევა, არამედ ყველა მსგავსი ფაქტი, რადგან სწორედ ამგვარი ფაქტების გამოუძიებლობა და განუკითხაობა უქმნის ხელისუფლებას იმ დაუსჯელობის შეგრძნებას, რამაც აქამდე მოიყვანა სააკაშვილი და მისი რეჟიმი.

...ჩვენ რომ „დემოკრატიის შუქურა“ ვართ, ამას წყალი არ გაუვა, მაგრამ რა ვქნათ, არიან ისეთებიც, ვინც ამ შუქურას ჯერჯერობით ვერ ხედავს და, რადგან ამ კატეგორიის ადამიანების მოსაზრებას ყურადღებას არავინ აქცევს, ისღა დაგვრჩენია, როგორმე ჩვენვე მივიქციოთ ყურადღება.



**ლაშა ჩხარტიშვილი, „კონსერვატიული პარტია“:**

- სიმართლე გითხრათ, სულაც არ გამკვირვებია, როცა გავიგე, რომ გაზეთი დაარბიეს... ჩვენს ქვეყანაში, დიდი ხანია, პოლიტიკური რეპრესიები დაწყებულია და ეს პროცესი ისევ და ისევ გრძელდება. ამ ხელისუფლებისთვის მიუღებელია ნებისმიერი საინფორმაციო საშუალება, ორგანიზაცია თუ კონკრეტული პიროვნება, რომელიც მის დანაშაულებებს აფიქსირებს. თქვენი გაზეთი სწორედ ასეთი ერთ-ერთი გამორჩეული გამოცემაა და, ბუნებრივია, ვიღაცას არ აწყობს მისი არსებობა...

რა თქმა უნდა, ეს არ იყო კრიმინალური ძარცვა, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს არის წმინდა პოლიტიკური ნიშნით მომხდარი დარბევა, ვინაიდან, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, თქვენი გაზეთი დაარსების დღიდან მუხლჩაუხრელად იბრძვის ამ ხელისუფლების რეჟიმის წინააღმდეგ და ყველა მნიშვნელოვან მოვლენას, იქნება ეს ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტი თუ რამე სხვა, ყოველთვის მწვავედ და ობიექტურად აშუქებს.

ვფიქრობ, გამოძიების იმედი არ უნდა გვქონდეს, რამეთუ დღემდე საქართველოში არც ერთი მსგავსი ფაქტი არ გამოძიებულა. ერთადერთი, რითაც ამ ძალადობის წინააღმდეგ შეიძლება ვიბრძოლოთ, ისევ და ისევ ჩვენი აქტიურობაა, ამიტომ ახლა ფარ-ხმლის დაყრის დრო ნამდვილად არ არის, პირიქით, უნდა ვიბრძოლოთ და ადრე თუ გვიან, ეს ხელისუფლება თვითონაც მივა იმ მდგომარეობამდე, რომლის იქითაც მათ უკვე აღარ დარჩებათ არავითარი ბერკეტი ძალაუფლების შესანარჩუნებლად...



**ირაკლი კორძაია, ჟურნალისტი:**

- მე, როგორც ჟურნალისტი, მივიჩნევ, რომ ნებისმიერი გაზეთის დარბევა, იქნება ეს ხელისუფლების მოსაწონი, თუ ოპოზიციური, დასაგმობი ფაქტია და საზოგადოების მხრიდან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისგან, ამას უნდა მოჰყვეს უკიდურესად მწვავე რეაგირება. ასეთი სისაძაგლე ოცდამეერთე საუკუნეში ლათინური ამერიკისა და აფრიკის ქვეყნებშიც არ ხდება. ასე რომ, ეს ფაქტი არ უნდა მიჩუმათდეს, თორემ ამ ხელისუფლებისთვის ეს იქნება წაქეზება...









საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# იცვლება «დემოკრატი» სააკაშვილი «არადემოკრატ» უგო ჩავესში

**უგო ჩავესს ყველა იცნობთ, მას არ უყვარს ამერიკელები, მეგობრობს ფიდელ კასტროსთან; უფრო მეტიც, „კომენდანტეს" ერთგვარ შვილობილად, მისი იდეების „შუქურად" ითვლება ლათინურ ამერიკაში. მიხეილ სააკაშვილსაც ყველანი ვიცნობთ, უგოსთან განსხვავებით, იგი იანკების სიყვარულში „ათენ-ალამებს", მუდმივად გვარწმუნებს, რომ ამერიკა ჩვენი მხსნელია, ამასთანავე, სააკაშვილი უმროსი ბუშის იდეათა მიმდევრად და ბუშისეული „დემოკრატიის შუქურად" არის მიჩნეული.**
**საინტერესოა, კიდევ რა განასხვავებს ამ ორ ლიდერს ერთმანეთისგან და რომელი მათგანი უყვართ მეტად საკუთარ ქვეყანაში?**




ილუზია, რომ ძალიან მაგარი პრეზიდენტი გვყავს, ქართველებს ლამისაა ძვალ-რბილში გაგვიჯდა. საქართველოს სახელი „შორს" სწორედ მიშიკომ გაიტანა და მსოფლიოს ჩვენი თავი მართალია, არცთუ საუკეთესო კონტექსტში, მაგრამ გააცნო! ესეც ხეირია.

მიშიკოს ოკეანგაღმელი „პარტნიორების" დამსახურებაა, რომ ვენესუელა ავტორიტარულ სახელმწიფოდ ითვლება, ჩვენ კი — დემოკრატიის „შუქურად".

უგო ჩავესი, კონსტიტუციაში შეტანილი სათანადო ცვლილებების „წყალობით", ვენესუელაში მესამე ვადით აირჩიეს პრეზიდენტად. მიშიკო ჯერჯერობით, — მხოლოდ მეორედ. მართალია, იგი გვარწმუნებს, რომ მესამედ კენჭს აღარ იყრის, მაგრამ, კაცმა არ იცის, 2013 წლამდე თავში რა გადაუტრიალდება ან რა ბუზანკალი შეუჩნდება.

ამ ორი პერსონის შედარებისას საერთოსაც ბევრს ვაწყდებით. უგოს ხშირად აცვია წითელი პერანგები და ისიც ისეთი გამეტებით ლანძღავს ამერიკელების პრესკონფერენციებსა თუ ბრიფინგებზე, როგორც მიხეილი — რუსებს. მართალია, ბოლოჟამს წითლიდან შავ ფერზე გადაერთო, მაგრამ ჩვენი პრეზიდენტიც, იცოცხლე, მეტად „მრავალფეროვანია" სამოსის შერჩევისას, თანაც, უგოსგან განსხვავებით, რომელიც მოსახლეობას, როგორც წესი, მხოლოდ ესპანურად მოძღვრავს, მიხეილი საკუთარ თავს ქართულ, ინგლისურ, ფრანგულ და ზოგჯერ მეგრულ ენაზეც იქებს.

ორივე პრეზიდენტს უყვარს პრესკონფერენციები და „მუშა" შეხვედრები ძროხების, ბატებისა და მღებავ-მგაჯავების ფონზე.

**უგო ამერიკას აგინებს,**
**მიხეილი — რუსეთს,**
**უგო იარაღს რუსეთისგან ყიდულობს,**
**მიხეილი — უკრაინისგან,**
**ზოგჯერ ისრაელისა და ამერიკისგანაც...**

უგო ჩავესმა ამერიკული კომპანიების კუთვნილი ვენესუელური ნავთობრესურსების ნაციონალიზაცია მოახდინა და ამ ფულს ქვეყანას ახმარს. უგომ ვენესუელა რომ ჩაიბარა, ნავთობის ფასი 11$ დოლარი იყო, დღეს კი 8-ჯერ ძვირია.

საქართველოში ეკონომიკა უკან-უკან მიდის. კახა ბენდუქიძის ეკონომიკის მინისტრობის დროს ეკონომიკური მაჩვენებლებით ყველაზე ღარიბი ერი გავხდით კაცობრიობის ისტორიაში, მგონი, შუმერების გადაშენებიდან — დღემდე. ბევრს კი საუბრობდა მიშიკო, რომ მილიარდიანი ინვესტიციები შემოდის და ავშენდებით და ავყვავდებითო, მაგრამ...

უგოს ძალისხმევით 10 წელიწადში ვენესუელის მოსახლეობის ის ნაწილი (20 პროცენტი), რომელმაც წერა-კითხვა არ იცოდა, უკვე ეზიარა ამ ბურჟუაზიულ „სასწაულს". ჩვენთან თუ ფორმალურად სკოლებში სწავლა უფასოა, უმაღლეს სახელმწიფო სასწავლებლებში ფასები იმდენად გაიზარდა, რომ მალე, ალბათ, უმაღლესი განათლების მიღებას ვინ ჩივის, საქართველოს მოსახლეობის 20 პროცენტს წერა-კითხვა აღარ ეცოდინება.

ვენესუელაში ჩავესმა რეფერენდუმი წააგო, ჩვენთან კი ქუჩის უბრალო გამოკითხვასაც ყოველთვის „ნაცები" იგებენ.

ვენესუელაში ფასებზე სახელმწიფო კონტროლი არსებობს, რაც ბაზარს საშუალებას აძლევს, პირველადი მოხმარების საგნებზე ფასი თვითნებურად გაიზარდოს. ჩვენთან კიდევ საერთოდ გაუქმებულია ანტიმონოპოლიური სამსახური და, მარტო ხალვაშის კომპანიის საწყობის დაწვამ რაც გამოიწვია, კარგად ახსოვს ქართველ მომხმარებელს. სარეცხ საშუალებებსა და ჰიგიენური მოხმარების ყველა საქონელზე ფასმა აიწია, გაძვირდა მარილი და ა.შ.

რაც შეეხება საწვავს, ნავთობის ფასის მერყეობისა და კლების მიუხედავად, საქართველოში საწვავის ფასი, ძირითადად, მხოლოდ იზრდება. ასე ხდება სამომხმარებლო პროდუქტებზეც.

ჩავესმა არგენტინის შიდა ვალის მესამედი შეიძინა, რათა დახმარებოდა მეზობელ ქვეყანას. ჩვენ კიდევ მსოფლიოს ბანკიდან აღებული მილიარდები გვაქვს გადასახდელი და როდის გადავიხდით, კაცმა არ იცის. სააკაშვილის „კეთილმეზობლური" პოლიტიკიდან გამომდინარე კი, არ მგონია, რომელიმე მეზობელს ჩვენი ვალების მესამედის კი არა, მეცხრედის შეძენა მაინც სურდეს.

სამხრეთ ამერიკაში კუბელი ექიმების დახმარებით დაიწყო პროგრამა, რომელიც უფასო ოპერაციებს უტარებს თვალის პრობლემების მქონე პირებს, ასევე არსებობს უფასო სამედიცინო სისტემა (ასეთი ანალოგი მხოლოდ საბჭოთა კავშირს ჰქონდა), მაშინ, როდესაც კვალიფიციური სამედიცინო მომსახურება ადრე მხოლოდ მდიდრების ფუფუნება იყო. ჩვენთან აამოქმედეს სოციალური პროგრამა, რომელიც ქულებს უწერს ოჯახებს და, თუ სახლში ტელევიზორი გაქვს, ე.ი. შენ შეძლებური ხარ და უფასო სამედიცინო პროგრამაშიც ვერ ჩაერთვები. რომც გქონდეს სამედიცინო პოლიკი, ქართველი ექიმები ზედ არ შეგხედავენ, თუ დაინახეს, რომ ფული არ გაქვს. ასე რომ, ხარისხიანი და უფასო სამედიცინო მომსახურება საქართველოში მირაჟია.

ვენესუელა ნავთობის ერთ-ერთი უმსხვილესი ექსპორტიორია მსოფლიოში, ჩვენ კი ბუნებრივი რესურსები თუკი რამ გვქონდა, გაყიდეს, გაასხვისეს, აღარაფერი გვაქვს; ტყე რომ ტყეა, ისიც კი უცხოელებს მიჰყიდეს და ქართველ გლეხს ფიჩხის გამოტანის უფლებაც აღარ დაუტოვეს.

ამბობენ, ვენესუელაში კრიმინალური ვითარება კონტროლიდან გამოსულიაო, ჩვენთან? — ჩვენთან, პოლიციელები თავად ხოცავენ მოქალაქეებს, აქაოდა, კანონს ვიცავთო...

ჩავესს ცეკვა და სიმღერა ეხერხება, ჩვენს პრეზიდენტსაც ეხერხება ცეკვა და საკუთარი ხალხის ნერვებზე თამაში.

იმის ფონზე, რა ქვეყანაც ჩაიბარა უგომ, ვენესუელაში აშკარა პროგრესია. უბრალოდ, უგო მიხეილივით „მარიაჟი" არ არის, „ხოხოტიშვილებიც" არ ამშვენებენ მის კარს, პიარშიც მოიკოჭლებს... სამაგიეროდ, ჩვენი მიშიკო „ცარიელი პიარია", მისი პროპაგანდის ჰებელსაც შეშურდებოდა. საქართველოში რომ ბიზნესი „ყვავის", ომიც რომ „მოვიგეთ" ეს მისი პიარის „დამსახურებაა". მისი მოსვლის შემდეგ რაც შეიცვალა, ეს ელექტროენერგიის მოწესრიგება და გზების მშენებლობაა, თუმცა არის სოფლები, სადაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არც გაზი ღირსებიათ და არც შუქი, მაგრამ „ნაცები" მაინც ტრაბახობენ, რომ შუქი მოგეცით და გზები დაგიგეთო, იმას კი არ ამბობენ, სამმაგს რომ ვიხდით ამ ყველაფერში.

გამოდის, რომ უგო ჩავესი არც ისე ავტორიტარი პრეზიდენტია. მისი მოსვლის შემდეგ ვენესუელის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, აშკარად დადებითისკენ შეიცვალა, ჩვენ კიდევ „დემოკრატი და თავისუფალი" პრეზიდენტის დანგრეულ, გაყიდულ ქვეყანაში ვცხოვრობთ და მისი პრეზიდენტობის ვადის ამოწურვამდე რომელ ტერიტორიებს დავკარგავთ და კიდევ რამდენ ომს წავაგებთ, არავინ იცის...

ბედის ირონიაა, კაცი, რომელიც ჩვენს მეზობელ რუსეთზე გიჟდება, ოკეანგადაღმა საძულველი ამერიკის მეზობლად უწევს პრეზიდენტობა... ჩვენს მიხეილას კი — ჩავესის „მეზობელ" კონტინენტზე მყოფ ქვეყანაზე. ხომ არ გაგვეცვალა პრეზიდენტები? მიშიკო ვენეუელას დააქცევდა და უგოს, იქნებ, ჩვენთვისაც ეშველა რამე?!.

**მაგდა კლდიაშვილი**

# უნებური პარალელები

**ღმერთმა დამიფაროს, „ვარდების რევოლუციონერები" ფაშისტებს შევადარო, მაგრამ, თუ კანონის უზენაესობა არ დამკვიდრდება, ფაშიზმამდე ერთი ნაბიჯიღა დაგვრჩება. „გლობალურ შეცდომებზე" არ შევჩერდები, ადამიანის უფლებების „მარტივ" შელახვაზე გავაკეთებ აქცენტს.**

2003 წლის 16 დეკემბერს კანონის უზენაესობის სახელით მოსული „სამეულის" წარჩინებულმა წევრმა, იმ დროს უკვე პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ №1615 ბრძანებით სამსახურიდან გაათავისუფლა სახელმწიფო კანცელარიაში იურიდიული სამსახურის უფროსი, ამავე დროს პრეზიდენტის წარმომადგენელი საკონსტიტუციო სასამართლოში.

გაათავისუფლა ისე, რომ ვიზირება არ გაუვლია აქტს; კანონის უხეში დარღვევით გაათავისუფლა არცთუ სუსტმა იურისტმა, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა.

რა ეჩქარებოდა? — იქნებ, 2004 წლის 4 იანვარს არჩეული პრეზიდენტი ამის გაკეთებას არ აპირებდა?

პირველი შოლტი პრეზიდენტის წარმომადგენელს მოხვდა, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოში ხელისუფლებისა და კანონის ინტერესებს იცავდა; ამაზე მაშინვე უნდა ატეხილიყო განგაში, მაგრამ „გავატარეთ"... და „ბორბალი უკუღმა" დატრიალდა...

თავის დროზე გერმანელებმაც „გაატარეს" ჰიტლერის პატარ-პატარა „ანცობები" და „ოინბაზობები" და ეს, არა მხოლოდ გერმანიას, მსოფლიოს დაუჯდა ძვირად! ჰიტლერმაც ინტრიგებით, შანტაჟით, ხანდაზმულ პრეზიდენტ ჰინდერბურგზე ზეწოლით მიიღო ხელისუფლება. ჰიტლერმა გამოიყენა ჰინდერბურგის ხელისუფლებაში მოკალათებული მოღალატეები, ის ნაციონალ-სოციალისტების მტრებსაც კი „შეეკრა" მცირე ხნით, ოღონდ ლეგიტიმურად მიეღო ძალაუფლება და მიიღო კიდეც. ასე მოვიდნენ 1932-33 წლებში ნაციონალ-სოციალისტები გერმანიის ხელისუფლებაში.

უბრალოდ, გაიხსენეთ რა და როგორ მოხდა საქართველოში 1991-92 წლების მიჯნაზე — დეკემბერ-იანვარში.

ისიც გაიხსენეთ, 2003 წლის ნოემბრიდან 2004 წლის იანვრამდე როგორ განახორციელეს ნაცებმა ხანდაზმულ პრეზიდენტზე ზეწოლა, როგორ გამოიყენეს „მოწინააღმდეგე" მხარის უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია და სხვა მაღალჩინოსნები. მოვიდნენ ლეგიტიმურად. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ჰიტლერის პარტიას „ნაციონალ-სოციალისტური" ერქვა, სააკაშვილისას კი, უბრალოდ, — ნაციონალური ჰქვია. მართალია, ქართველმა ნაციონალებმა სოციალისტების ლიდერს, ვახტანგ რჩეულიშვილს თავი გაუტეხეს, მაგრამ „ვარდების რევოლუციის" შემდეგ პატივი მიაგეს. მეუღლე მილიონერთა ათეულშია უკვე; ცოლისდა — პარლამენტის ვიცე-სპიკერი.




სოციალისტების ლიდერს არაფერი დაუკარგავს...

1932 წლის 5 დეკემბრიდან ჰიტლერი უკვე ყვირის, რომ „ის არის პირველი, რომ ის არის ხელისუფალი, რომ ის გააკეთებს ყველაფერს, რაც სურს და მოღალატეებს, პარტიაში განხეთქილების შემტანებს ვერ აიტანს".

ეს ყვირილი ვერ გაიგონა გერმანელმა ხალხმა და წააგო!

2007 წლის დეკემბერში ამასვე ყვიროდა სააკაშვილიც, ქართველებმაც ვერ გავიგონეთ და წავაგეთ.

1932 წლის 5 დეკემბერს ბევრი მიხვდა, რომ ცუდ ადამიანებს დაუდგა გვერდით, მაგრამ ძალა აღარ ჰქონდათ ბრძოლისთვის. გაბედულებმა ხმა ამოიღეს, მაგრამ მათი ხმები ჰიტლერის ამბიციებსა და ყვირილში ჩაიკარგა.

2004 წლის დეკემბერში საქართველოშიც ბევრი მიხვდა, რომ ცუდ ადამიანებს დაუდგა გვერდით, მაგრამ გვიანი იყო.

ჰიტლერი მოხუც პრეზიდენტზე ზეწოლისთვის მისი ოჯახის წევრებს იყენებდა, განსაკუთრებით ვაჟიშვილს, ოსკარ ფონ ჰინდერბურგს, რომელიც ჰიტლერს საიდუმლოდაც შეხვდა 1933 წლის 22 იანვარს.

პრეზიდენტი ჰაიდენბურგი ვაჟს აღმერთებდა და მას უჯერებდა... არადა, ჰაიდენბურგი ჰიტლერს „საზიზღარ", „ბოროტი განზრახვების" ადამიანს უწოდებდა.

ერიხ ფონ ლუდენდორფი პირველი მსოფლიო ომის მხედართმთავარი იყო. ის ყველაზე უკეთ იცნობდა ჰიტლერს და თვლიდა, რომ ის იყო ავანტიურისტი და ქვეყნის მართვა არ შეეძლო.

მან პრეზიდენტისადმი მიმართვაში საჯაროდ განაცხადა, რომ გერმანია დაიღუპებოდა. „რეიხის კანცლერად ჰიტლერის დანიშვნით, თქვენ ჩვენი საღვთო გერმანიის მამული ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს დემაგოგს გადაეცით. მე თქვენ გიწინასწარმეტყველებთ, რომ ეს ბოროტი ადამიანი რეიხს მორევში ჩაძირავს და ჩვენს ხალხს უზომო უბედურებას მიაყენებს. მომავალი თაობები საფლავში დაგწყევლით".

აღარ გავაგრძელებ...

თუ რამ „გეცნოთ", თუ რამ „დამთხვევა" აღმოაჩინოთ ან რაღაც მსგავსი ასოციაციები გაგიჩნდეთ, კარგად დაფიქრდით.

თუმცა დაფიქრება და თუნდაც სხვისი, არცთუ შორეული წარსულის, საბედისწერო მაგალითის გათვალისწინება 6 წლის წინათ გვმართებდა.

ვერ გავითვალისწინეთ და ახია ჩვენზე!

**მაყვალა ბერიანიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## გიორგი ანდრიაძე:

# «საქართველო და მსოფლიოს» რედაქციის დარბევა არის ნათელი დადასტურება, რომ ჩვენს ქვეყანაში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების პრინციპი სრულადაა იგნორირებული

**ყველასათვის ცხადია, ხელისუფლების გარკვეული ნაწილი და მისი ნების აღმსრულებელი საზოგადოებრივი ჯგუფები ღიად და დაუფარავად ცდილობენ საპატრიარქოს დისკრედიტაციასა და მისი როლისა და ფუნქციის დაკნინებას. თეა თუთბერიძის ცილისმწამებლური ბრალდებები ბუნებრივია, გახდა საზოგადოების გულისწყრომისა და სამართლიანი აღშფოთების საგანი. საზოგადოება გაურკვევლობაშია. მას უკვე აღარ ესმის, რატომ უნდა მიუშვიროს გამუდმებით „მარცხენა ლოყა“ თუთბერიძეს, ბოკერიასა და რამიშვილს, მაშინ, როცა ისინი გამუდმებით „გვირტყავენ მარჯვენა ლოყაში“(?). არ ესმის, რატომ უნდა „დაუყაროს მარგალიტები“ მათ, ვისაც „ღორებად“ მიიჩნევს(?). არ ესმის, რატომ არ „უნდა მოიკვეთოს და განაგდოს ის მარჯვენა“, რომელიც ერს, როგორც ერთიან ცოცხალ ორგანიზმს, აცდუნებს და ბილწავს(?).**
**ამ და სხვა საკითხებზე საუბარი ვთხოვეთ ქართული ტელემაუწყებლობა „ივერიის“ ხელმძღვანელს, ბატონ გიორგი ანდრიაძეს.**



**- ანტიმართლმადიდებლური კამპანიისა და სიბილწის პროპაგანდას, თავის მხრივ, ისიც ხომ არ უწყობს ხელს, რომ ეკლესიას, გარდა უზენაესი ძალისა, სამოქმედო ბერკეტები და მექანიზმები არ გააჩნია? გაცილებით მეტად დაცული ვიქნებით, თუკი მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდება, თუ საქართველოში მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების დრო ჯერ კიდევ არ დამდგარა?**

- ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს საპატრიარქომ არაერთხელ დააფიქსირა თავისი პოზიცია. ის წინაალმდეგია საქართველოში მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისა, ვინაიდან ამ შემთხვევაში ხელისუფლებას ეკლესიაზე ზემოქმედების უფრო ბევრი ბერკეტი გაუჩნდება. რეალურად, ეს ინიციატივა ხელისუფლებისაგან მოდის, რისი დასტურიცაა ის, რომ მას ახმოვანებს ე. წ. ოპოზიციური პარტია - „ქრისტიან დემოკრატები“.

სახელმწიფო რელიგია, სამართლებრივი ასპექტით, გულისხმობს ეკლესიის სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად გახდომას, რაც არსებული ხელისუფლების პირობებში ეკლესიისათვის კატასტროფული შედეგების მომტანი იქნება. თუ ჩვენ გვეყოლება პატრიოტული ხელისუფლება, რასაკვირველია, საქართველოსთვის ეს მოდელი მისაღებია. მაგრამ არსებული ხელისუფლების პირობებში და იმ პერსპექტივის გათვალისწინებით, რაც საქართველოს ახლო მომავალში აქვს _ იგულისხმება ხელისუფლებაში მოსვლისთვის „მებრძოლი“ ე. წ. ოპოზიციურ სპექტრი, რომელიც ნაციონალური მოძრაობისა და მათი მსახურისაგან არსებითად არაფრით განსხვავდება - საქართველოში მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების დრო ნამდვილად არ დამდგარა.

**- საზოგადოების დიდი ნაწილი კი ამისთვის მზადაა და ითხოვს კიდეც; რადგან ფიქრობს, რომ ეს ქვეყანასაც გადაარჩენს, რწმენასაც უკეთ განგვიმტკიცებს და დაიცავს...**

- ძალიან კარგია, რომ საზოგადოება მხარს უჭერს მართლმადიდებლობას და მზად არის, მას უმაღლესი პრივილეგიები მიანიჭოს. სწორედ ამის ერთ-ერთი გამოხატულებაა, როცა ის მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას ითხოვს, მაგრამ ადამიანები ვერ ერკვევიან იმაში, რომ ამით პოლიტიკასა და სახემწიფოს არაფერი ეშველება და ეკლესიაც ზარალდება. სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას წინ უნდა უსწრებდეს ეროვნული ხელისუფლების მოსვლა, სხვა შემთხვევაში ეს ერისთვის და ქვეყნისთვის კატასტროფა იქნება.

როდესაც მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდება, აღდგება ის ტრადიციური ქართული სახელმწიფო, რომელიც ჩვენ საუკუნეების განმავლობაში გვქონდა. იგი დაიცავს ტრადიციულ და ეროვნულ ღირებულებებს, არ დაუშვებს უცხო ძალების ხელისუფლებაში მოსვლას. ეროვნული უშიშროების კონცეფციის მთავარი პოსტულატი იქნება მართლმადიდებლობის, როგორც სახელმწიფო პოლიტიკური ინსტიტუციის დაცვა, ისევე, როგორც ეს უკვე არის საბერძნეთსა და კვიპროსში.

## მწვავე შეფასებებს ველოდი ჩვენი დასავლელი მეგობრებისაგანაც, რომლებიც მუდმივად გვასწავლიან დემოკრატიის უმთავრეს პრინციპებს, ამ პრინციპთაგან ერთ-ერთის, სიტყვისა და აზრის თავისუფლების შეზღუდვის ნათელი მაგალითებისას კი, რატომღაც, დიდად არ იწუხებენ თავს.

**- ატარებენ თუ არა, თქვენი შეფასებით, ქართული ტელევიზიები და მათ მიერ მომზადებული გადაცემები გარკვეულწილად ანტიმართლმადიდებლურ კამპანიას? სხვადასხვა ტელეგადაცემაში („ღამის შოუში“, „ნანუკას შოუში“, „რეალტივის“ ეთერში და ა.შ) ხდება თუ არა ანტიმართლმადიდებლური ზნე-ჩვეულებებისა და მორალის პროპაგანდა?**

- ქართული მასმედია, განსაკუთრებით კი ტელევიზიები, ხელისუფლებამ საზოგადოების მართვის საშუალებად გადააქცია. აქედან გამომდინარე, როგორც საინფორმაციო გამოშვებები, ასევე სხვა გადაცემები, გარკვეულ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მიზნებს ემსახურება. ეს სხვადასხვა ტიპის შოუებიც ადამიანების გაბრუების ერთგვარი საშუალებაა. ჯერ კიდევ ძველ რომში ამბობდნენ, რომ ხალხს მუდმივად სჭირდება პური და სანახაობა. პურისა რა მოგახსენოთ, მაგრამ საკაშვილი სანახაობას კი ულევად სთავაზობს საკუთარ ხალხს...

**- უნდა ჩაერიოს თუ არა საპატრიარქო თუნდაც დამოუკიდებელი ტელეკომპანიების სარედაქციო საქმიანობაში მაშინ, როცა საქმე ქართული საზოგადოების უდიდესი ნაწილის, ანუ მართლმადიდებლური მრევლის ინტერესებს ეხება?**

- რა დემოკრატიაზე, დამოუკიდებლობასა და სიტყვის თავისუფლებაზეა საუბარი, როცა ამდენი დახურული ტელევიზია გვაქვს?!

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ყველა მოქმედი ტელევიზია (ღია სიხშირეზე მაუწყებელი) ხელისუფლების სამსახურშია. თუ ოპოზიცია არჩევნების ჩატარების უმთავრეს პირობად დახურული ტელევიზიების გახსნას არ დააყენებს, მაშინ ისინი ბოლომდე გაუკეთებენ საკუთარ თავს ლუსტრაციას და ხელისუფლების დემოკრატიის „მოსართავებად“ დარჩებიან . დღეს საქართველოში დემოკრატია არის „პრიმანკა დლია დურაკოვ“.

როდესაც სახელმწიფო მოწყობილი იქნება ისეთ მოდელზე, სადაც ქვეყნის იდეოლოგიური საფუძველი იქნება მართლმადიდებლობა, მაშინ ეკლესიას ექნება უფლება, ჩაერიოს და კორექტირება შეიტანოს მასმედიის საქმიანობის იმ ნაწილში, სადაც ეროვნულ-რელიგიურ ღირებულებებს შეურაცხყოფენ. დღეს ეკლესიას ამის უფლება არა აქვს.

ამის ნათელი მაგალითია ის აჟიოტაჟი, რაც სატელევიზიო პროექტ „დიდ ათეულში“ საპატრიარქოს მხრიდან ყოვლად უწყინარი მოსაზრების გამოთქმას მოჰყვა. სამწუხაროდ, გარკვეული ძალები იმდენად არიან შეშინებული და დაკომპლექსებულნი ეკლესიის ავტორიტეტით, რომ მასთან მიმართებაში სიტყვის თავისუფლების დაცვაც კი აშინებთ.

**- რუსეთის პატრიარქის მიმართ ქართულ ტელესივრცეში „შავი პიარის“ აგორება რას ემსახურება?... გასაგებია, რომ იგი გარკვეულწილად რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობის შედეგია, მაგრამ, რამდენად მისაღებია ამ პოლიტიკური ინტრიგების რელიგიაში „ინტეგრირება“, მით უფრო, როცა საქმე ერთმორწმუნე ერის პატრიარქის რეპუტაციას ეხება?**

- ეს არის მორიგი პოლიტიკური შინაარსის პროვოკაცია, რომელიც ჩვენი ეკლესიის წინააღმდეგ განხორციელდა. რუსული თემა რატომღაც მხოლოდ საქართველოს საპატრიარქოსთან კონტექსტში ისმის ხოლმე. ხოლო ჩვენი ქვეყნის პოლიტიკოსების, ექსპერტებისა თუ ჟურნალისტების ღია და აქტიური კონტაქტები კრემლთან ან საერთოდ არ არის განხილვის საგანი, ან თითქმის დადებით კონტექსტში წარმოჩინდება. ამ საკითხის სრულ და ღრმა ანალიზს პირდაპირ ეთერში ვაპირებ. საზოგადოებამ უფრო ნათლად უნდა დაინახოს ამ პროვოკაციის შორს გამიზნული მიზნები.

**- თქვენი აზრით, მისაღებია თუ არა აზროვნებისა და ფანტაზიის აბსოლუტური თავისუფლება შემოქმედისგან, მაშინ, როცა იგი მართლმადიდებლურ ღირებულებებს უხეშად ეხება? (მხედველობაში მაქვს ლაშა ბუღაძის მიერ წმიდა თამარის ეროტიული ელემენტებით „გაპერსონაჟება“... ზაზა ბურჭულაძის ნაწარმოებებში მრავლად ასახული შეურაცხმყოფელი, ცინიკური დამოკიდებულებები რწმენისა და მორწმუნეთა მიმართ; ახალი ქართული ფილმები, სადაც მოქმედებები ამორალურია, დიალოგები კი - ბილწსიტყვიერი).**

- საყოველთაოდ აღიარებული დემოკრატიის პრინციპია: ერთის თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება მეორის უფლება. ასე რომ, ხელოვნებისა და ფანტაზიის თავისუფლება არ შეიძლება ლახავდეს ჩემს რელიგიურ და ეროვნულ ღირებულებებს. სხვათაშორის, ეს კონკრეტული პრინციპი კარგად იციან ზემოაღნიშნულმა პირებმა, მაგრამ, როგორც სხვა საკითხებში, აქაც ადგილი აქვს დემოკრატიის იმ უმთავრესი პრინციპების გეგმაზომიერ და მიზანმიმართულ დარღვევას, რომლითაც ჩვენი ხელისუფლება ასე აფიშირებს.

**- ცნობილია, რომ არსებობს „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“, მაგრამ, გარდა ამისა, როგორ ან რა მექანიზმებით უნდა დაიცვან მშობლებმა საკუთარი შვილები ასეთი „ნაწარმოებების“ გავლენაგან (დამეთანხმებით, ტელევიზორის „პულტის“ მართვა და არასასურველი წიგნის წაკითხვის ან მუსიკის მოსმენის აკრძალვა გამოსავალი არაა)?**

- ის, რისგანაც ჩვენი და ჩვენი შვილების ცნობიერების დაცვა გვინდა, მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების მიერ ხელოვნურად გაპოპულარულებული, წახალისებული და ტირაჟირებული სიბინძურეა, რომელიც ხელისუფლების წასვლასთან ერთად დასრულდება. მანამდე კი უნდა მოვიპოვოთ მასმედიის თავისუფლება. საზოგადოებას, ფაქტობრივად, არ აქვს არც ერთი დამოუკიდებელი ტელევიზია. ყველა, მათ შორის ე. წ. ოპოზიციური ტელევიზიებიც კი, ხელისუფლების სამსახურშია. საჭიროა საზოგადოების უფრო მეტი აქტიურობა, საკ- ►

## ხელისუფლებაში მოსვლისთვის «მებრძოლი» ე.წ. ოპოზიციური სპექტრი ნაციონალური მოძრაობისაგან არაფრით განსხვავდება

# დღეს საქართველოში დემოკრატია ეს არის — «პრიმანკა დლია დურაკოვ»

უთარი უფლებების დაცვისათვის ბრძოლა. ჩვენ თუ ხელისუფლებასთან მოთანამშრომლე ოპოზიციურ ლიდერებს არ გავყვებით, მაგრამ იგივე რაოდენობით გამოვალთ ქუჩაში, მაშინ ჩვენ დავიცავთ, ჩვენი და ჩვენი შვილების უფლებებს.

- უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ქართული საზოგადოება, ერთის მხრივ, მასიურად მოექცა რწმენისაკენ, მეორე მხრივ, პოლიტიკურ პროცესებში ჩაერთო. თუკი მართლმადიდებელი ადამიანი ფიქრობს, რომ მას ულირსი ხელისუფალი ჰყავს, მორჩილად უნდა შეეგუოს? სამოქალაქო აქტივობას, რომლის საფუძველიც პატრიოტიზმია, ქრისტიანული მორჩილება კრძალავს?

- პარტიარქი უკანასკნელ ეპისტოლეში წერს, რომ დემოკრატია გვაძლევს უფლებას და საშუალებას, ავირჩიოთ ისეთი ხელისუფლება, როგორიც გვინდა და ჩვენ თვითონ მოვაწყოთ ის გარემო, რომელშიც გვსურს ცხოვრება.

ასე რომ, ჩვენი უმთავრესი მოვალეობაც და ვალდებულებაცაა, რომ ხელისუფლებას ანტიქრისტიანული, ანტიქართული ძალები ჩამოვაცილოთ. ამასთანავე, არ დავუშვათ ხელისუფლებაში ე. წ. ოპოზიციური პარტიების მოსვლა, რომლებიც არაფრით განსხვავდებიან არსებულისაგან. „არ განმიკითხო“ და „მეორე ყბა მიუშვირე“ ეს პირად ურთიერთობებში დასაცავი მცნებებია; ხოლო ჩვენ სახემწიფოსა და ეკლესიას სხვაგვარი დაცვა და პატრონობა სჭირდება.

**- თავისთავად ის ფაქტი, რომ ქვეყნის პრეზიდენტი ყველა რელიგიურ დღესასწაულზე ტაძრებში საკუთარი ტრიბუნით დარბის და პატრიარქის ქადაგების შემდეგ თავს უფლებას აძლევს ტაძარში ერთგვარი მიტინგი ჩაატაროს, ეს პროტესტის განცდას არ უნდა ბადებდეს ნებისმიერი სტატუსის ღვთისმოსავში?**

- სააკაშვილი, პრინციპში, პრეზიდენტის პოსტზეა „გაფორმებული“, მაგრამ მას „პიარ-აქტიორის“ ფუნქციაც აკისრია, იმ გუნდში, რომელიც დღეს საქართველოს მართავს. ის ყველას და ყველაფერს პიარისთვის იყენებს, რაც რა თქმა უნდა, პროტესტის განცდას ბადებს არამარტო ღვთისმოსავ, არამედ ნებისმიერ, მათ შორის - ათეისტ ადამიანებშიც კი.

**- მსუბუქად რომ ვთქვათ, რამდენად ეთიკურია, როცა პოლიტიკოსები (ხელისუფლებიდანაც და ოპოზიციიდანაც) საკუთარი თავის წარმოჩენისა და „პრომოს“ მიზნით პატრიარქთან გადაღებული ფოტოებითა და რელიგიური თემებით სპეკულირებენ?**

- საპატრიარქო ამას მუდმივად, თითქმის ყველა არჩევნების წინ აცხადებს, რომ შიდა პოლიტიკურ პროცესებსა და დებატებში ეკლესიის გამოყენება ყოვლად მიუღებელია.

პირადად ჩემთვის ოპოზიცია, წინსართ „ე. წ“-თი იწერება და გამოითქმის, ვინაიდან მათი აბსოლუტური უმრავლესობა, ვარდების რევსოლუციის ნოყიერ ნიადაგზე „აღმოცენდა“ და, შესაბამისად, იმ ხელწერით მოქმედებს, რაც მიშასგან ისწავლა _ პიარი და პიარისთვის ყველა საშუალების გამოყენება.

**- საპატრიარქოს პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა განსაცდელის დროსაც დაუშვებელია? მაგალითად, 26 მაისს ხალხის სამებაში წაყვანა... მართლა გაუგებარია, რატომ იქცა დღესასწაული „განსაცდელად“, მაგრამ ფაქტია, რომ ოპოზიციამ ასე ჩათვალა...**

- 26 მაისს ხალხის სამებაში მიყვანის რეალური მიზეზი ისაა, რომ ოპოზიცია სრულიად გაკოტრდა საკუთარი ქმედებებიდან გამომდინარე. ის უკვე ვერანაირ პოლიტიკურ და ზნეობრივ ალტერნატივას ვერ სთავაზობდა საზოგადოებას. იმ დღესაც ჩიხური სიტუაციიდან ეძებდნენ გამოსავალს და, რადგან ასეთი პოლიტიკური გამოსავლი ვერ ნახეს, გადაწყვიტეს, საზოგადოებაში ავტორიტეტულ ინსტიტუტთან ეკლესიასთან ასოცირება, თუ ველარ წარმოჩინდებოდნენ, ხალხის რისხვას მაინც გადარჩენოდნენ.

სამწუხაროდ, რეალობა ასეთია - ეკლესია როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის მხრიდან ხშირად ხელსახოცი ხდება!.. ამას კი, ყველა სავალალო მდგომარეობამდე მივყავართ.

**- და ბოლოს, რას იტყვით ჩვენი გაზეთის რედაქციის დარბევასთან დაკავშირებით?**

- საქრთველო და მსოფლიოს რედაქციის დარბევა არის ნათელი დადასტურება, რომ ჩვენს ქვეყანაში სიტყვისა და აზრის თავისუფლების პრინციპი სრულადაა იგნორირებული. გარდა ამისა, ქართული ოპოზიციის წარმომადგენლები ახლა ამ საკითხთან დაკავშირებით აქტიურ კომენტარებს თუნდაც იმის დასადასტურებლად უნდა აკეთებდნენ, რომ ისინი ამ ქვეყანაში ნამდვილად ოპოზიციას წარმოადგენენ და სააკაშვილის თამაშს არ თამაშობენ. მწვავე შეფასებებს ველოდი ჩვენი დასავლელი მეგობრებისგანაც, რომლებიც მუდმივად გვასწავლიან დემოკრატიის უმთავრეს პრინციპებს. ამ პრინციპთაგან ერთ-ერთის - სიტყვისა და აზრის თავისუფლების შეზღუდვის ნათელი მაგალითების შეფასებაზე კი, რატომღაც, დიდად არ იწუხებენ თავს.

ესაუბრა
**ელგა ფოლადიშვილი**

# ვლადიმერ პუტინი სააკაშვილის მიერ აფეთქებულ ძეგლს მოსკოვში აღმართავს

**18 დეკემბერს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც შეშფოთება გამოთქვა ნაციზმის წინააღმდეგ მებრძოლთა ძეგლების ხელყოფის გამო. ამ რეზოლუციას საქართველოს წარმომადგენლობამ მხარი არ დაუჭირა. საქართველოს ხელისუფლებას თავისი თავი მიაჩნია გაეროდ, ეუთოდ და საერთოდ, დედამიწაზე ყველაფრის ცენტრად და შუქურად.**



2009 წლის 19 დეკემბერს საქართველოს ხელისუფლებაში მოკალათებულმა მავნებლებმა კვლავ გამოაჩინეს თავისი ნამდვილი სახე: ქუთაისში ააფეთქეს დიდ სამამულო ომში გამარჯვების აღსანიშნავი „დიდების მემორიალი“. შეგახსენებთ, რომ მემორიალის ავტორი გახლავთ საქართველოს სსრ და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი. მავნებლები აგონიაში არიან; ნგრევა-აფეთქებასაც ველარ ახერხებენ წესიერად - სამწუხაროდ, ამ ვანდალურ აქტს ორი ადამიანი - მცირეწლოვანი ბავშვი და მისი დედა ემსხვერპლა.

ცნობილი ამბავია, ძეგლი ან მონუმენტი ქვეყნის ცხოვრებაში რაიმე მნიშვნელოვანის, ღირსშესანიშნავი მოვლენის უკვდავსაყოფად იქმნება ხოლმე. იგი წარმოადგენს იმ სულიერ-მორალური განზომილების სიმბოლოს, რაც ძეგლადქცეული მოვლენის შინაარსში დევს და ქვეყანას, ხალხს და მომავალ თაობებს შეახსენებს საამაყო წარსულს, ეხმარება სულიერი და ზნეობრივი სიწმინდეების მართებულ გააზრებაში.

რისი სიმბოლო იყო ქუთაისის „დიდების მემორიალი“? მერაბ ბერძენიშვილმა ის დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გმირული გამარჯვების და ამ ომში დაღუპულ საბჭოთა მეომართა ხსოვნის უკვდავსაყოფად შექმნა. რატომ გავიმარჯვეთ ამ ომში? რატომაა ეს ომი და მასში გამარჯვება ღირსსახსოვარი ჩვენთვის? მრავალ მიზეზთა გამო, მაგრამ მთავარი რამდენიმეა და ცალკე გამოსაყოფი: ეს სამართლიანი ომი იყო, ჩვენ თავს დაგვესხნენ, თანაც ომის გამოუცხადებლად და ვერაგულად;

ეს ომი ყველაზე მასშტაბური და სისხლიანი ომი იყო კაცობრიობის ისტორიაში, იგი საბჭოთა კავშირმა მოიგო ქართველი უმაღლესი მხედართმთავრის ხელმძღვანელობით და რაიხსტაგის თავზე გამარჯვების დროშა ქართველმა მელიტონ ქანთარიამ და რუსმა მიხეილ ეგოროვმა აღმართეს და ყველაზე მთავარი: ომში გამარჯვების მთავარი მიზეზი გახლდათ საბჭოთა კავშირის ხალხთა, ჩვენთან მიმართებაში კი - ქართველი და რუსი ხალხის მეგობრული და ძმური ურთიერთობა. რომ არა საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიანობა, ამ სასტიკ ომს საბჭოთა კავშირი და მაშასადამე ჩვენც, ქართველებიც, ვერ მოვიგებდით.

## ნათქვამია: „ძალა ერთობაშიაო“. ქუთაისის „დიდების მემორიალი“ იმის სიმბოლოც იყო, ალბათ, რომ ქვეყნის ყოფნა-არყოფნის განმსაზღვრელი ყველაზე დიდი, ძნელი და ღირებული გამარჯვებები მხოლოდ ხალხთა მეგობრობისა და ძმური ურთიერთთანადგომით მიიღწევა.

ნუ ვიქნებით მიამიტები და ნუ ჩავთვლით, თითქოს ხელისუფლებმა არ იცოდნენ, რას აკეთებდნენ. ეს პირველი შემთხვევა არ არის. უკვე ექვსი წელია, ისინი მიზანმიმართულად სპობენ, ანგრევენ, აფეთქებენ (ამ სიტყვის უკვე პირდაპირი გაგებით) ყოველივეს, რაც ჩვენს საამაყო წარსულს, ეროვნულ თვითშეგნებას, ერის სულიერ-ზნეობრივ ფასეულობებს ატარებს და განასახიერებს.

აი, ეს ააფეთქეს მავნებლებმა ქუთაისში 19 დეკემბერს.

წეღან აღვნიშნე, დიდ სამამულო ომში გამარჯვება საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი ყველა ხალხის ერთ-ერთი მთავარი სიწმინდეა-თქო. ამ ვანდალურმა აქტმა დიდი აღშფოთება გამოიწვია ჩვენს თანამემამულეებში, როგორც საქართველოში, ისე რუსეთშიც.

სასიხარულო და მისასალმებელი მაინც სხვა რამაა. ჩვენი ხელისუფლებისგან განსხვავებით, რუსეთის ხელისუფლებაში კარგად ესმით ხალხის ისტორიული მეხსიერების შენარჩუნებისათვის მსგავსი ძეგლების მნიშვნელობა. **რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვ. პუტინი 22 დეკემბერს მთავრობის სხდომაზე ცალკე შეეხო ქუთაისში მემორიალის განადგურების თემას.** ხაზი გაუსვა, რომ ეს იყო კიდევ ერთი მცდელობა წაშალათ მეხსიერებიდან ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხების საერთო საამაყო და გმირული წარსული და **სურვილი გამოთქვა, აღედგინათ ეს ძეგლი ოდესღაც საერთო სახელმწიფოს დედაქალაქში - მოსკოვში.** მან ასევე ბრძანა, რომ ძეგლი იყო მაღალმხატვრული ღირებულების და აუცილებელი იყო მის ავტორთან მოლაპარაკება (ბ-ნ მ. ბერძენიშვილთან). ბატონმა პუტინმა ასევე ისურვა, რომ მოსკოვის ხელისუფლებას გამოენახა ღირსეული ადგილი მონუმენტისთვის და რომ ამ ინიციატივისთვის მხარი დაეჭირათ რუსეთის და საქართველოს საზოგადოებრიობას.

აგრეთვე რუსეთის პრემიერმა სინანული გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთში ვეტერანების ყოველმხრივი მხარდაჭერის ფონზე ზოგიერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში საწინააღმდეგო პროცესი მიმდინარეობს.

რუსეთის ქართული დიასპორა მყისვე გამოეხმაურა პრემიერის წინადადებას.

ქართველთა კავშირმა რუსეთში ბ-ნი მ. ხუბუტიას მეთაურობით მზადყოფნა გამოთქვა, მემორიალი აღადგინოს საკუთარი სახსრებით. მათ უკვე დაიწყეს მოლაპარაკებები ბ-ნ მ. ბერძენიშვილთან. თავის მხრივ მოსკოვის ხელმძღვანელობაც გაგებით მოეკიდა ამ წამოწყებას და ყველანაირი მხარდაჭერა აღუთქვა.

რუსეთში ქართველთა კავშირს ასევე გადაწყვეტილი აქვს საქართველოში აღმართონ მელიტონ ქანთარიას ძეგლი.

## „ისტორიული მემკვიდრეობა“ მიესალმება რუსეთის პრემიერის გადაწყვეტილებას, მოსკოვში აღმართონ ქუთაისური „დიდების მემორიალი“, ასევე მივესალმებით მელიტონ ქანთარიას ძეგლის დადგმას საქართველოში.

**ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ ალბათ უფრო უკეთესი იქნება, საქართველოში დაიდგას მ. ქანთარიას და მ. ეგოროვის ერთობლივი ძეგლი. ჩვენი აზრით, ინიციატივის ავტორთა ჩანაფიქრს ეს უფრო სრულად წარმოაჩენს.**

**ტარიელ გაგნიძე,**
არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ თავმჯდომარე

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# «2000 მანეთი მიიღე, როგორც ჩემი მეგობრული ნობათი და 3000 მანეთი — როგორც სესხი»

**2009 წლის 21 დეკემბერს 140 წელი შესრულდა იოსებ სტალინის დაბადებიდან. ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა მისი გარდაცვალებიდან — 56 წელი — და სტალინის თემა კვლავაც აქტუალური განსჯა-განხილვის საგნად რჩება.**



სტალინი კვლავაც დიდების კვარცხლბეკზე დგას, მიუხედავად ხრუშჩოვისტურ-სიონისტურ იდეებზე გაწვრთნილ-დაგეშილი ტურების წკავწკავისა, რასაც მონდომებით არიან აყოლილები უდღეური ქართველი ანტისტალინელები – ფურცელჩამოცვენილი ვარდები, რომლებიც ყველა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით ცარიელი ქვევრის პრინციპით მოქმედებენ – რასაც ჩასძახებენ, იმას ამოსძახებს გაუბედურებულ ელექტორატს. სტალინის თემაც ასეთ საკითხთა რანგშია.

ვინაიდან საქართველოში არ ტარდება მსგავსი გამოკვლევები, საზოგადოებრივი აზრის შესწავლის რუსეთის ცენტრალური კვლევითი ინსტიტუტის მონაცემებს გაგაცნობთ.

საერთო დასკვნა — რუსეთელთა 37 პროცენტი დადებითად აფასებს სტალინს.

ახლა — უფრო დაწვრილებით.

გამოკითხულთა 26 პროცენტი პატივისცემითაა გამსჭვალული ბელადის მიმართ, 8 პროცენტი სიმპათიურადაა განწყობილი, 3 პროცენტი მისით აღფრთოვანებულია.

ამ გამოკითხვამ ერთი საინტერესო და საყურადღებო მომენტი დააფიქსირა. ლაპარაკია იმაზე, რომ **უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში იმ ადამიანების რაოდენობა, ვისთვისაც სტალინი სულერთია, უინტერესოა, გაორმაგდა და 28 პროცენტს მიაღწია (2001 წელს 13 პროცენტი იყო), მაგრამ ეს მოხდა იმ რესპონდენტების ხარჯზე, ვინც სტალინის წინააღმდეგი იყო: სტალინისადმი ნეგატიურად განწყობილ რესპონდენტთა რაოდენობა 24 პროცენტია: 13 პროცენტისთვის იგი მიუღებელია (2001 წელს 18 პროცენტი იყო), 6 პროცენტს შიშს აღუძრავს, 5 პროცენტს ეზიზღება (2001 წელს შესაბამისად იყო — 16 პროცენტი და 10 პროცენტი).**

შეადარეთ: 2001 წელს სტალინი აბსოლუტურად მიუღებელი იყო გამოკითხულთა 16 პროცენტისათვის, ამჟამად 13 პროცენტია; შიშს აღუძრავდა 2001 წელს გამოკითხულთა 16 პროცენტს, ამჟამად 6 პროცენტია; ეზიზღება 10 პროცენტს, ამჟამად განახევრდა და 5 პროცენტია!

აი, ასეთია სტალინის პორტრეტი სტატისტიკაში, ციფრებში, რომლებიც არ ტყუის.

გავყვეთ ამ მეთოდს, რომელიც ბევრ საკითხზე თვალს აგვიხელს.

ნეოტროცკისტები ახლა მოდაში არიან. ტროცკის სტალინს უპირისპირებენ და მის უცოდველ მსხვერპლად წარმოაჩენენ, რომელიც თითქოსდა სტალინის ინტრიგებით გააძევეს საბჭოთა პოლიტიკური ასპარეზიდან, თორემ, ის რომ დარჩენილიყო, მაშინ ლენინის ამ ერთგული მეგობრის წყალობით კომუნიზმის ნათელი მომავალი უზრუნველყოფილი გვექნებოდა.

გამოწვლილვით დაანგარიშებულია, რომ **ლენინმა თავის წერილებში 219-ჯერ მოიხსენია ტროცკი „მოლაყბედ", „ღორად", „არამზადად", „სალახანათა სალახანად", „იუდუშკად" და „მეძავად"; სტალინი — არც ერთხელ, არც ჰქონდა საამისო საბაბი.**

პირიქით, სტალინი გამოირჩეოდა ნათელი გონებით, რკინისებრი ნებისყოფით, არაჩვეულებრივი ორგანიზატორული ნიჭითა და თვისებებით, საქმიანობაში იყო კონკრეტული, მსჯელობა ჰქონდა ნათელი, დასაბუთებული, გასაგები, გამოირჩეოდა გულახდილობით: მისი შეფასებები, შეიძლება ზოგჯერ მკაცრი და კრიტიკული იყო, მაგრამ არასოდეს — უსამართლო.

უზარმაზარი იმპერიის სათავეში მდგარი ლიდერი პირად ცხოვრებაში საოცრად მორიდებული და უპრეტენზიო გახლდათ. სპარტანული ცხოვრების მისეული წესი ჩვენი დღევანდელი ლიდერების უმრავლესობისთვის არა მარტო მიუღებელი, არამედ გაუგებარიც შეიძლება იყოს. სასახლეთა მფლობელ ამ სახელოვან „რევოლუციონერ" ხელისუფალთა კოჰორტისათვის, რა თქმა უნდა, ჩინური ანბანია ისე ცხოვრება, როგორც ხელისუფლების სათავეში მათი მომყვანი ხალხის მასა ცხოვრობს.

სააკაშვილის სუშისმოყვარეობასა და კოსტუმ-ქურთუკების ზღაპრულ ნაირფეროვნებაზე, ვისაც არ დაზარებია, დაუწერია.

ასეთ მეშჩანურ-ობივატელურ მიდრეკილებას ადრე მეჭინჭეობას უწოდებდნენ და ამაზე წერა ცუდ ტონად ითვლებოდა.

მეც იმ თაობიდან მოვდივარ.

სამაგიეროდ, კარგად მახსოვს, რომ იოსებ სტალინს — ჯუღაშვილს სიკვდილის შემდეგ გაცვეთილძირიანი წყვილი ჩექმის გარდა არაფერი დარჩენია — ეს ფიგურალურად, რადგან დარჩა უზარმაზარი თეორიული მემკვიდრეობა და მსოფლიო უპირველესი სახელმწიფო მოღვაწის სახელი, რომელიც მან ღირსეულად დაიმკვიდრა.

მის ძეგლს ეჯაჯგურებიან დღეს გორის შუაგულში ვიღაც დაუმთავრებელი ორფეხა არსებანი, სამწუხაროდ, ქართული წარმომავლობისანი.

რა გიკვირთ: ეს ხომ ჩვენს ეროვნულ თვისებად ჩამოყალიბდა მშობლიური ხელისუფლების მმართველობის წლებში.

ჩვენს მკითხველებს დღეს მხოლოდ ერთ ადამიანურ მომენტს გავახსენებ სტალინის ცხოვრებიდან, იმას, რასაც სტალინი ჩვეულებრივ, ადამიანურ მომენტად მიიჩნევდა და რაც პირწმინდად მიუღებელია უბელადოდ დარჩენილი ქვეყნის ხელისუფლებისთვის.

მიუღებელია, რადგან ამით გლიცერინის ცრემლს ვერ გადმოყრი ეკრანიდან, ვაიუშველებულს ვერ ატეხ წამლების სიძვირის გამო გაწირული პენსიონერების გაფხეკილ ბინაში სტუმრობისას და გამარჯვებას ვერ იზეიმეს ომში დამარცხებული სარდალი.

საპიაროდ არ გამოდგება. უფრო მეტიც, ეს ფაქტი საჯაროდ მხოლოდ სტალინის სიკვდილის შემდეგ გახდა ცნობილი.

1933 წლის 7 დეკემბერს სტალინი თავის ბავშვობის მეგობარს — პეტრე კაპანაძეს ასეთ წერილს უგზავნის:



პეტას გაუმარჯოს!

ჩემი დეპეშა, როგორცა ჩანს, მიგიღია. გიგზავნი ორი ათას მანეთს. მეტი არა მაქვს. ეს ფული ჩემი გონორარია. ჩვენ აქ გონორარს არ ვიღებთ საზოგადოთ, — მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში ვიღებთ ხანდახან. შენი გაჭირება ჩემთვის განსაკუთრებული შემთხვევაა და ამიტომ ავიღე გონორარი, რომ შენთვის გამოვიყენო. გარდა ამ ფულისა შენ მოგცემენ სესხათ 3000 მანეთს. მე ვუთხარი ამის შესახებ ბერიას (ამიერკავკასიის საოლქო მდივანია), და იმან სიტყვა მომცა — უეჭველათ აღვასრულებო. მაშ ასე: 2000 მანეთი მიიღე, როგორც ჩემი მეგობრული ნობათი და 3000 მანეთი — როგორც სესხი.

იცოცხლე მრავალჟამიერ.

შენი სოსო.

**7/XII.33 წ.**

დაკვირვებით უნდა წაიკითხოს ადამიანმა ეს ბარათი. დაკვირვებით და, თუ არ დაეზარება, პარალელებიც გაავლოს, პარალელები დღევანდელობასთან.

სტალინი პეტრეს 2 ათას მანეთს უგზავნის, მეტი არა მაქვსო, დასძენს.

რამდენი ათასი ლარი აქვს ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტს ხელფასი? — სადღაც 7 ათასი ლარის ფარგლებში.

სტალინს მეტი არ ჰქონდა. სააკაშვილს სამჯერ მეტი მაინც აქვს. ჩვეულებრივ. ყოველთვიურად.

სტალინს ეს თანხა ჰონორარად მიუღია, რომელსაც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში გასცემდნენ, რადგან „გონორარს არ ვიღებთ საზოგადოთ, — მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში ვიღებთ ხანდახან".

ეს განსაკუთრებული შემთხვევა კი მეგობრის გაჭირვება ყოფილა და არა ფუფუნების მორიგი საგნის ან მოდური პიჯაკის ყიდვა, რაშიც სააკაშვილი და ჟირინოვსკი ტყუპისცალებივით ჰგვანან ერთმანეთს. ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი მდიდარი კაცია. ნუ დახარჯავთ ახლა გულისამაჩუყებელ სიტყვებს მიხეილის ხელმოკლეობის გამო: „ცრემლი მდის შეუშრობელი". ხოლო ლოზუნგი „საქართველო სიღარიბის გარეშე" ისეთივე ყალბი გამოდგა, როგორც ამ ბოლო დრომდე დედაქალაქის ცენტრში შენობების ფასადებს აფარებული ბანერები დაპირების შესრულების შესახებ.

სტალინმა შესანიშნავად იცის, რომ ეს ფული (2000 მანეთი) პეტას გაჭირვებას მაინც და მაინც ვერ უშველის და ლავრენტი ბერიას 3000-ს მანეთს ესესხება მეგობრისთვის მისაცემად. სესხადო წერს, მაგრამ პეტა ამის გადამხდელი არ არის და სოსო, როგორც ჩანს, თავადვე დაუბრუნებს სახელმწიფო ხაზინას ნასესხებ თანხას.

სააკაშვილმა კი იცის, რომ წლის მიწურულს პენსიების 5 ლარით მომატება პენსიონერების გაჭირვებას ვერ უშველის და ათეულ მილიონობით დოლარს ახარჯავს ავლაბრის რეზიდენციის დაპროექტებასა და აგებას, „შუშის ხიდის" გადებას ბარათაშვილის ხიდის მიმდებარე სანაპიროდან სიონის ტაძრამდე და მდინარე ვერეს ხეობის ანტიეკოლოგიურ „რეკონსტრუქციას" და ასე შემდეგ — შადრევანთა აგებიდან დაწყებული, შადრევანთა დანგრევამდე (გმირთა მოედანზე) დამთავრებული.

ამ წერილის გაგზავნიდან „საქართველოსა და მსოფლიოს" 43-ე ნომრის გამოსვლამდე 76 წელიწადი და 16 დღე გავიდა ზუსტად. და როგორ სამწუხაროდ შეიცვალა ყველაფერი.

შეიცვალა სწორედ ისე და იმ მიმართულებით, როგორადაც სტალინმა განჭვრიტა.

1939 წლის ნოემბერში იოსებ სტალინმა „რევოლუციის ვალკირიასთან" ალექსანდრა კოლონტაისთან საუბარში წინასწარმეტყველურად განაცხადა (ამონარიდი ალექსანდრა კოლონტაის დღიურიდან სრულად ქვეყნდება): **„ჩვენი პარტიისა და ხალხის ბევრი საქმე გაუკუღმართებულად და თავსლაფდასხმულად იქნება წარმოდგენილი, უწინარესად, საზღვარგარეთ და ჩვენს ქვეყანაშიც, აგრეთვე. სიონიზმი, რომელიც მსოფლიო ბატონობისკენ ისწრაფვის, დაუნდობლად შურს იძიებს ჩვენი მიღწევებისა და წარმატებების გამო. იგი რუსეთს ჯერ კიდევ განიხილავს, როგორც ბარბაროსულ ქვეყანას, როგორც სანედლეულო დანამატს.**

ჩემს სახელსაც სიცრუით გასვრიან და ცილს დამწამებენ. მომაწერენ უამრავ ბოროტებას. მსოფლიო სიონიზმი მთელი ძალით შეეცდება, გაანადგუროს ჩვენი კავშირი, რათა რუსეთი ვეღარასოდეს წელში ვერ გაიმართოს.

სსრ კავშირის ძლიერება ხალხთა მეგობრობაშია. ბრძოლის მახვილი, უწინარეს ყოვლისა, მიმართული იქნება რუსეთისთვის განაპირა მხარეების მოწყვეტისაკენ. აქ, უნდა ვაღიაროთ, ჩვენ ჯერ ყველაფერი არ გაგვიკეთებია. აქ საქმიანობის დიდი ასპარეზია.

განსაკუთრებული ძალით თავს წამოყოფს ნაციონალიზმი. იგი გარკვეული დროით დაჯაბნის ინტერნაციონალიზმს. ბევრი ბელადი-პიგმეი, ბევრი მტერი გაჩნდება თავიანთ ერებში.

და მაინც, როგორადაც გინდა განვითარდეს მოვლენები, გაივლის ხანი და ახალ თაობათა მზერა მიმართული იქნება ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საქმეებისა და გამარჯვებებისკენ..."

სტალინი დარწმუნებული იყო, რომ ახალი თაობები, რომლებიც წლიდან წლამდე შეემატება ქვეყანას, „კვლავ აღმართავენ თავიანთი მამებისა და პაპების დროშას და სრულად მოგვაგებენ პატივს. თავიანთ მომავალს ისინი ჩვენს წარსულზე ააგებენ".

დრო გადის, მოვლენები ვითარდება და ბიბლიური შეკითხვა „საით ჰხვალ?" ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია. ქვეყანა მარჯვენა ფეხით კოჭლობს.

**არმაზ სანებლიძე**

# რატომ ვირჩევთ მაგთიკომს

**დღევანდელ ეპოქას, კარგა ხანია, საინფორმაციოს უწოდებენ. ფაქტობრივად, ტექნოლოგიებიც საოცარი სისწრაფით ვითარდება, რომლებიც მომხმარებლისაგან განსაკუთრებულ ცოდნასა და უნარ-ჩვევების დაუფლებას მოითხოვს.**
**თითქმის ყოველდღიურად გვესმის ახალი ინოვაციების შესახებ, რომელსაც ახალი კომპანიები და ტექნოლოგიები გვთავაზობენ.**
**ისმის კითხვა: რატომ უნდა ავირჩიოთ მაგთიკომი? ვიცით მისი მომსახურების სრული პაკეტის შესახებ? ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ დაწვრილებით ინფორმაციას სწორედ ამ კომპანიის სერვისის შესახებ, რათა სწორად განვსაზღვროთ როგორც ჩვენი შესაძლებლობები, ასევე - სურვილები.**




## აირჩიე საჩუქარი

ეს არის აქცია მაგთის აბონენტებისათვის. იგი 2010 წლისბოლომდე გაგრძელდება და გვთავაზობს:

**დეკემბერში:** საყვარელ ნომერთან საუბარს (წუთი 5 თეთრად);

60-პროცენტიანი ფასდაკლებას მობილურ ინტერნეტზე;

SMS-ს ნახევარ ფასად (3 თეთრად).

იანვარში: 30-პროცენტიანი ფასდაკლებას საერთაშორისო ზარებზე (საყვარელ ნომერთან საუბარს, წუთი 5 თეთრად);

SMS-ს ნახევარ ფასად (3 თეთრად).

ასევე, - სხვა საჩუქრებს ყოველთვე, მთელი 2010 წლის განმავლობაში.

თუ ჯერ არ ხართ მაგთის აბონენტი, ჩაერთეთ ქსელში 2 ლარად. აკრიფეთ მითითებული ნომერი (ამას მაგთიკომში გაიგებთ) და ანგარიშზე დაიბრუნებთ 1 ლარს; ამავე დროს ავტომატურად გახდებით აქცია „აირჩიე საჩუქრის“ მონაწილე;

თუ უკვე ხართ მაგთის აბონენტი, ასევე აკრიფეთ მითითებული ნომერი და მხოლოდ 1 ლარად ჩაერთეთ აქციაში „აირჩიე საჩუქარი“.

მაგთი MAGTI

## მობილური ლექსიკონი

**ქართულ-ინგლისური და ინგლისურ-ქართული მობილური ლექსიკონით სარგებლობისათვის უნდა აკრიფოთ სასურველი სიტყვა და SMS-ის სახით გააგზავნოთ ნომერზე 5200. რამდენიმე წამში მიიღებთ სიტყვის თარგმანს (მისი ლექსიკონში არსებობის შემთხვევაში).**
**თარგმანის მიღების ღირებულებაა 12 თეთრი.**

## მაგთი ფიქსი



**აირჩიეთ ნებისმიერი რაოდენობის საყვარელი ნომერი და ესაუბრეთ მათ უფასოდ!**

**საყვარელ ნომრებად შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი რაოდენობის მაგთის, ბალის ან მაგთი ფიქსის ნომერი;**

**თითოეული ნომრის არჩევის ღირებულებაა 5 ლარი;**

**საყვარელ ნომერთან უფასოდ ისაუბრებთ არჩევიდან 30 დღის განმავლობაში.**

## მონო-კრედიტი

თუ მნიშვნელოვანი საქმე გაქვთ, ამ დროს კი ნომრის ანგარიშზე თანხა ამოგეწურათ, დაგეხმარებათ მაგთის სერვისი მონო-კრედიტი, რომელიც საშუალებას მოგცემთ ანგარიშზე თანხის ამოწურვის შემდეგ 30 დღის განმავლობაში ისაუბროთ და აგზავნოთ სმსები, სანამ თქვენი დავალიანება არ მიაღწევს 3 ლარს.

სერვისი ხელმისაწვდომია მაგთის წინასწარი გადახდის სისტემის იმ აბონენტებისათვის, რომელთა ქსელში ჩართვიდან 30 დღეზე მეტია გასული. მონოკრედიტით სარგებლობა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ უკანასკნელი 3 თვის მანძილზე სულ მცირე 5 ლარი მაინც არის გახარჯული;

სერვისი ხელმისაწვდომია მაშინ, როცა დავალიანება არ აღემატება 2 ლარს;

მონო კრედიტის განმეორებით აღება შესაძლებელია მხოლოდ წინა კრედიტის დაფარვის შემდეგ;

კრედიტის დაფარვა ხდება ანგარიშის შევსებისთანავე;

მომსახურების ღირებულება 30 თეთრი.

## რა არის მაგთის 3 G კამერა?



მაგთის 3 G კამერა შეგიძლიათ დადგათ სასურველ ადგილას, რომელსაც ნებისმიერ დროს დისტანციურად, ვიდეოზარის საშუალებით დაინახავთ და გააკონტროლებთ!

მაგთი 3 G კამერას აქვს ღამის ხედვის რეჟიმი, ციფრული ზუმი, ხმოვანი კავშირი. საჭიროების შემთხვევაში, შეგიძლიათ მიიღოთ ვიდეო ჩანაწერიც. უნდა გაითვალისწინოთ, რომ ამ სერვისით სარგებლობა შესაძლებელია 3 G ტელეფონით, მესამე თაობის დაფარვის ზონაში.

## ბალის სტუდენტური კლუბი



თუ გახდებით სტუდენტური კლუბის წევრი, ისარგებლებთ განსაკუთრებული პირობებით:

საჩუქრად მიიღებთ ბალის სიმ-ბარათს დარიცხული 12 წუთით;

თუ გაააქტიურებთ თვეში თუნდაც ერთ ბალიბარათს, მთელი წლის განმავლობაში, ყოველთვე მიიღებთ 12 წუთს;

თუ უკვე ხართ ბალის აბონენტი და სტუდენტი, გაიარეთ რეგისტრაცია და საჩუქრად მიიღებთ 12 წუთს;

ნაჩუქარი წუთები განკუთვნილია მაგთიზე, ბალზე და მაგთი ფიქსზე სასაუბროდ;

კლუბში გასაწევრებლად აუცილებელია წარადგინოთ პირადობის მოწმობა და მიმდინარე წლის სტუდენტური ბილეთი;

ერთ სტუდენტზე გაიცემა მხოლოდ ერთი სიმ-ბარათი.

## მაგთის მაღალსიჩქარიანი ინტერნეტი

მაგთი MAGTI



გქონიათ შეხება ინტერნეტთან? წარმოგიდგენიათ, როგორია 384 კბ/წმ-მდე სიჩქარე? ეს უკვე რეალობაა თქვენს ტელეფონში. ამ სერვისით სარგებლობა შეგიძლიათ მესამე თაობის ტელეფონის, ან კომპიუტერჰლეპტოპს მიერთებული მობილურის საშუალებით შეხვიდეთ ინტერნეტში და ათვალიეროთ სასურველი ვებგვერდები იმაზე გაცილებით უფრო სწრაფად, ვიდრე ოდესმე.

ამ სერვისით სარგებლობა შეუძლია მაგთის ნებისმიერ აბონენტს, ვისაც აქვს მესამე თაობის ტელეფონი, გააქტიურებული შესაბამისი სერვისით;

- სერვისის გააქტიურება უფასოა?

- მაღალსიჩქარიანი ინტერნეტისათვის ერთი მეგაბაიტი ინფორმაციის მიღება (გაგზავნის ღირებულება) 70 თეთრია, ხოლო ინფორმაციის აღრიცხვა ხდება 10 კილობაიტის სიზუსტით.

ყველაზე სწრაფი, ხარისხიანი და იაფი მობილური ინტერნეტი არის ყველგან, სადაც მაგთია, ანუ მთელ საქართველოში!

HSDPA, ანუ 3,5 თაობის ინტერნეტი: ინფორმაციის გადაცემის მაქსიმალური სიჩქარე - 14.4 მეგაბაიტი წამში.

ბალის აბონენტებისათვის: 3-ლარიანი ბალიბარათის მე-6 ანგარიშზე გააქტიურებისას დაგერიცხებათ 15 მეგაბაიტი (1 მეგაბაიტი - 20 თეთრი, ხოლო 9-ლარიანი ბალიბარათის გააქტიურებისას კი დაგერიცხებათ 100 მეგაბაიტი, ანუ (1 მეგაბაიტი - 9 თეთრად).

## მაგთის ექიმთა კლუბი



**საქართველოს ყველა სამედიცინო დაწესებულების ნებისმიერ თანამშრომელს შეუძლია, გახდეს ექიმთა კლუბის წევრი.**

**კლუბში გაწევრებისთანავე ანგარიშზე საჩუქრად მიიღებთ 15 უფასო წუთს;**

**კლუბის სხვა წევრებთან ისაუბრებთ წუთში 15 თეთრად;**

**ყოველთვე ანგარიშზე საჩუქრად მიიღებთ უფასო 15 წუთს;**

**საჩუქრად მიღებული წუთები განკუთვნილია მაგთის, ბალისა და მაგთი ფიქსის აბონენტებთან სასაუბროდ;**

**15 წუთის მისაღებად აუცილებელია, რომ თქვენი ნომრის ანგარიში წინა თვეში შევსებული იყოს მინიმუმ 5 ლარით.**

## სიახლეები!

**მალე მაგთის აბონენტებს ოთხი სხვადასხვა მიმართულების სრულფასოვანი სერვისით: მობილური კავშირით, ფიქსირებული კავშირით, ოპტიკურბოჭკოვანი ინტერნეტითა და IP ტელევიზიით მოემსახურებიან.**
**სწორედ ესაა მომავალშიც ამ კომპანიის ლიდერობის გარანტი.**




## მაგთის ვიდეოზარი

**პირველად საქართველოში სერვისი მაგთის ვიდეოზარი გაძლევთ საშუალებას, მობილურით საუბრისას ხედავდეთ ერთმანეთს ტელეფონის ეკრანზე, აპარატში არსებული ვიდეოკამერის საშუალებით;**

**მაგთის ვიდეოზარით სარგებლობა შეუძლია მაგთის ნებისმიერ აბონენტს, ვისაც აქვს მესამე თაობის ტელეფონი, გააქტიურებული შესაბამისი სერვისით;**

**ვიდეოზარის განსახორციელებლად აუცილებელია, ორივე აბონენტს ჰქონდეს მესამე თაობის ტელეფონი;**

**სერვისის ჩართვისას თუ ჩართული გქონდათ ფაქსისა და მონაცემთა გადაცემის სერვისი, მათი ნომრები შეიცვლება თქვენი ძირითადი ნომრებით; ვიდეოზარის სერვისის გააქტიურება უფასოა; წუთის ღირებულებაა 35 თეთრი;**

**დროის აღრიცხვა-დაანგარიშება - 1 წამის სიზუსტით.**

## სიახლე - BlackBerry მაგთისაგან!

ეს არის კიდევ ერთი სიახლე, რომელიც საუკეთესო საშუალებაა მათთვის, ვისთვისაც დრო ძვირფასია, ვინც საქმიანობის გამო სულ ხაზზეა.

ამჯერად მაგთიკომის აბონერტებს შეუძლიათ BlackBerry სმარტფონის საშუალებით ისარგებლონ კავშირგაბმულობის გაუმჯობესებული პირობებითა და უპირატესობებით, გაიმარტივონ კომუნიკაცია ელექტრონული ფოსტის შემოწმების, ინტერნეტში მუშაობის, ზარების განხორციელების, ტექსტური თუ გრაფიკული შეტყობინებების თვალსაზრისით. ასევე, ხელმისაწვდომია საქმიანი და გასართობი პროგრამების ფართო არჩევანი.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში შეგიძლიათ ისარგებლოთ BlackBerry სმარტფონის შემდეგი მოდელებით:

BlackBerry Bold 900 smartphone;

BlackBerry Curre 8900 smartphone;

BlackBerry Deaet 8120 smartphone.

კერძო პირებსა და ორგანიზაციებს ხშირად სჭირდებათ მობილურ ხელსაწყოზე ელფოსტის მიღება, მიუხედავად იმისა, გააჩნიათ თუ არა მათ კორპორატიული ელფოსტის მისამართი. ზუსტად ასეთი მომხმარებლისთვისაა შექმნილი BlackBerry Internet Service. მომხმარებელს საშუალება ექნება, აირჩიოს ახალი საფოსტო ყუთი მისამართით: Name@magti. blackberry.com.

მისამართზე გაგზავნილი ყველა წერილი მივა მომხმარებლის blackberry სმარტფონზე. მისი ინტერნეტ სერვისის 30-დღიანი სარგებლობის სააბონენტო გადასახადია 35 ლარი.

მოამზადა ეთერ კასრელიშვილმა

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ბლოკ-ჯორჯიას სისხლიანი ბიზნესი

**„იმდენად შემაძრწუნებელი და მოულოდნელი იყო აგვისტოს კონფლიქტი, რომ დღესაც არ შემიძლია იმ დღეების მშვიდად გახსენება. ექიმების სრული მობილიზაცია იყო. ორი ღამე თვალი არ მოუხუჭავს არავის. მოდიოდნენ დედები, რომლებსაც შვილები ფრონტის წინა ხაზზე ჰყავდათ, მოდიოდნენ დები, ძმები, მეუღლეები... უანგარო დონორობაში ქართველ მოსახლეობასთან ერთად სხვა ეროვნების ადამიანებიც მონაწილეობდნენ. იმ რუსი ქალების სახეები უნდა გენახათ, რომლებიც თბილისში ცხოვრობენ, ქართველი მეუღლეები ჰყავთ და ქართველ შვილებს ზრდიან“... _ ასე იხსენებს 2008 წლის აგვისტოს ომის დღეებს ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის გრავიტაციული ქირურგიისა და საწარმო ტრანსფუზიოლოგიის განყოფილების გამგე მაია ბეროძე.**



იმ დღეებში ინსტიტუტმა 200-ზე მეტი დონორი მიიღო და, როცა ნახეს, სისხლის ისეთი მარაგი იყო, რომელიც საკმაოდ რთული და სისხლმდენი ოპერაციების უზრუნველყოფას მოახდენდა, სისხლი აღარ მიუღიათ. „სისხლი ბიოლოგიური ქსოვილია, არც ერთ ექიმს ნამუსი არ გაუშვებს, ადამიანისგან ბიოლოგიური ქსოვილი აიღოს, როცა იცის, რომ ამის გამოყენება უახლოეს 35 დღეში შესაძლებელი არაა. არც ერთი სამხედრო სისხლის დეფიციტის გამო არ დაღუპულა“.

აგვისტოს კონფლიქტის დროს კონფლიქტში დაზარალებულთათვის ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა, მათივე ცნობით, 227 დონორისაგან ჩაიბარა სისხლი. თუკი იმ სოციალურ რეკლამას ვენდობით, რომელსაც სატელევიზიო არხებით ხშირად აჩვენებენ და რომელიც გვარწმუნებს, რომ ერთჯერადად ჩაბარებულ სისხლს სამი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა შეუძლია, მაშინ 227 დონორს 3-ჯერ 227 სიცოცხლის გადარჩენა შეეძლო.

საბედნიეროდ, კონფლიქტი დიდხანს არ გაგრძელდა და ომის დროს დაზარალებულებისთვის სისხლის დეფიციტი არ შექმნილა, მაგრამ, საინტერესოა, სად წავიდა ომში მონაწილე ჯარისკაცთა დედების, დების, ძმების, მეუღლეებისა და, უბრალოდ, რიგითი მოქალაქეების მიერ ჩაბარებული სისხლი? ხომ არ გაყიდა იგი ინსტიტუტმა, როგორც „საქართველო და მსოფლიოსთვის“ სანდო წყაროსგან გახდა ცნობილი? ამ კითხვაზე პასუხის მიღებას რამდენიმე კვირის განმავლობაში ვცდილობდით.

ჩვენ წერილით მივმართეთ ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ამჟამინდელ დირექტორს მარინა აბაშიძეს და ვთხოვეთ, ეცნობებინა, რომელ კლინიკურ საავადმყოფოებს გადასცეს უანგაროდ ჩაბარებული სისხლი.

ამ საკითხით ჩვენი დაინტერესება აშკარად არ ესიამოვნა ინსტიტუტის ხელმძღვანელობას და თავდაპირველად ჯანდაცვის სამინისტროსკენ მიგვითითა - „ეს ინფორმაცია ჯანდაცვის სამინისტროში ინახებაო“. რა თქმა უნდა, ჯანდაცვის სამინისტროს ამის თაობაზე ოფიციალური მონაცემები არ გააჩნდა და კვლავ ინსტიტუტს მივაკითხეთ. მარინა აბაშიძემ ამჯერად წერილობით გვიპასუხა: „თქვენი წერილის (2009 წ. 24 ნოემბერი №30) პასუხად გაცნობებთ, რომ სისხლის პრეპარატები უსასყიდლოდ გადაეცათ ღუდუშაურის სახ. ეროვნულ სამედიცინო ცენტრს, რესპუბლიკურ და მე-4 კლინიკურ საავადმყოფოებს მათი მოთხოვნის შესაბამისად“; თან გვითხრა: „მსოფლიოში ათასობით ადამიანი უანგაროდ აბარებს სისხლს და მერე ის ისეთი ძვირია, მის შესაძენად ხალხს ბინების გაყიდვა უხდებათ“. ქალბატონმა მარინამ ეს სიტყვები მაშინ მოგვახსენა, როცა ციფრობრივი მონაცემები მოვითხოვეთ და მათი ორაზროვანი წერილობითი პასუხი გავაპროტესტეთ. მან პროკურატურაც გვიხსენა დ ჩვენი შეშინებაც სცადა, თუკი მათი ინსტიტუტის და მფლობელების ისედაც შელახულ სახელს კიდევ ერთხელ მოვიხსენიებდით საეჭვო კონტექსტში. ცნობისთვის, ამ დროს ჩვენი საუბარი დიქტოფონზე არ ფიქსირდებოდა და დირექტორის სიტყვები ჭეშმარიტად მის გულისნადებს გამოხატავდა. ინტერვიუს დროს კი ის საკმაოდ მშვიდად გვიყვებოდა, რამდენი რამ გააკეთა შპს „ბლოკ ჯორჯიამ“ მათი ინსტიტუტის საკეთილდღეოდ.

ქალბატონ მარინას გვინდა ვუთხრათ, რომ შესაძლოა მსოფლიოში სისხლის პრეპარატები საკმაოდ ძვირი ღირს, მაგრამ, როცა ომში დაზარალებულებისთვის უანგაროდ აბარებენ სისხლს, ამის ბიზნესად ქცევა არ შეიძლება.

ჩვენ მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმება ვცადეთ და სამივე სამედიცინო დაწესებულებას წერილობით მივმართეთ. ღუდუშაურის სახ. ეროვნულ სამედიცინო ცენტრში გვითხრეს, რომ ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს აგვისტოს ომის დროს მათი კლინიკისთვის სისხლის პრეპარატები უსასყიდლოდ არ მიუწოდებია.

რესპუბლიკური საავადმყოფოს ხელმძღვანელობამაც უარყოფითი პასუხი გავა ამ საკითხზე. მათ აგვისტოს ომის დროს ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტისგან სისხლის პრეპარატები არ მიუღიათ. მე-4 კლინიკური საავადმყოფოს ხელმძღვანელობამ პასუხის გაცემა საჭიროდ არ ჩათვალა. ჩვენი დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ კი მდივნის პირით შემოგვითვალა: „ეგ საკითხი ჩვენ არ გვეხება, ჰემატოლოგიის ინსტიტუტებს მიმართეთ“.

ალბათ, ეს ის ფაქტია, როდესაც კომენტარი ზედმეტია.

ბავშვიც კი მიხვდება, რატომ არიდებს თავს მე-4 კლინიკური საავადმყოფოს დირექცია პასუხს და საერთოდ, სად წავიდა აგვისტოს ომის დროს დაზარალებულთათვის უანგაროდ ჩაბარებული სისხლი.

თუმცა ეს ერთადერთი პრეტენზია არაა, რომელიც ამ ინსტიტუტის მიმართ არსებობს. ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი საზოგადოების ყურადღების ცენტრში მას შემდეგ აღმოჩნდა, რაც ხელისუფლების მიერ 100 ახალი საავადმყოფოს პროექტი გამოცხადდა და აღნიშნული ინსტიტუტი, სხვა მრავალი კლინიკის მსგავსად, სამშენებლო კომპანია შპს „ბლოკ-ჯორჯიას“ ხელში აღმოჩნდა. ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა, როგორც სათაო ოფისმა, ფუნქცია დაკარგა. მოისპო ინსტიტუტის ბაზაზე არსებული დონორის სისხლის პროდუქტების ხარისხის კონტროლის სახელმწიფო ლაბორატორია, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აკონტროლებდა სისხლის გადასხმის სამსახურის მიერ დამზადებულ სისხლს, მის კომპონენტებსა და პრეპარატებს, საკონსერვაციო ხსნარებს.

დონორის სისხლის პროდუქტების ხარისხის კონტროლის აუცილებლობა საქართველოს კანონითაა განსაზღვრული და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანწილად გაიზარდა სისხლის გადასხმით გადამდები ინფექციების (შიდსი, სიფილისი, „B“ და „C“ ჰეპატიტები) რიცხვი. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ადამიანების 5-დან 10 პროცენტი ამ ინფექციით სწორედ სისხლის გადასხმის შედეგად ავადდება. სისხლის პროდუქტების გამოყენებისას ინფიცირდებიან „B“ და „C“ ჰეპატიტითა და სხვა ინფექციური დაავადებებით.

მკითხველმა ნათლად რომ წარმოიდგინოს, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლის უსაფრთხოებას და, შესაბამისად, დონორის სისხლის პროდუქტების ხარისხის კონტროლის სახელმწიფო ლაბორატორიის აუცილებლობას, დარგის სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, შევახსენებთ, რამდენიმე წლის უკან ქუთაისში მომხდარ ფაქტს, როდესაც სისხლის გადასხმის შედეგად ხუთი ადამიანი შიდსით დაინფიცირდა.

სისხლის უსაფრთხოება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია. მას არაერთი დადგენილება აქვს მიღებული, რომელიც წევრ ქვეყნებს სისხლის ხარისხის კონტროლის ეროვნული სისტემის შექმნას ავალდებულებს. სახელმწიფოს მესვეურებს სისხლის უსაფრთხოებაზე განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს და მიიჩნევს, რომ სისხლის გადასხმის სამსახური ქვეყნის ჯანდაცვის სამსახურს უნდა ექვემდებარებოდეს.

დღევანდელმა ხელისუფლებამ კი ინსტიტუტის გასხვისებით არა მარტო მოსპო სახელმწიფო ლაბორატორია, არამედ დონორის სისხლის პროდუქტების ხარისხიანობა და უსაფრთხოება მშენებლების იმედად დატოვა.

ინსტიტუტის ახალი ხელმძღვანელობისთვის კი დონორის სისხლის პროდუქტების ხარისხის კონტროლის ლაბორატორია კომუნისტური პარტიის ასოციაციას იწვევს და თვითკონტროლზე საუბრობენ.

როგორი თვითკონტროლი ექნებათ „ბლოკ-ჯორჯიას“ მიერ დანიშნულ თანამდებობის პირებს, ამაზე მეტყველებს თუნდაც ინსტიტუტში ჩატარებული რეორგანიზაცია.

2007 წლის სექტემბერში ჯანდაცვის იმჟამინდელმა მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებს „ბლოკ-ჯორჯიას“ წარმომადგენლები, როგორც ინსტიტუტის ახალი მფლობელები, ისე წარუდგინა, თუმცა არც ბატონ მინისტრს და არც ახალ მფლობელს არანაირი საბუთი არ უჩვენებია, რომელიც ახალ რეალობას დაადასტურებდა.

საგულისხმოა ისიც, რომ ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ 15 საკონკურსო შერჩევაში არ ყოფილა მოხსენიებული ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. ყოველ შემთხვევაში, ინსტიტუტის ტენდერზე გატანის თაობაზე ინფორმაცია საჯარო არ იყო. საეჭვო გარემოებების არსებობის მიუხედავად, ინსტიტუტის იმჟამინდელი დირექცია შეეგუა მომხდარ ფაქტს და მუშაობა ჩვეულ რეჟიმში განაგრძო.

2007 წლის ოქტომბერში ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე (სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იყო გ. იოსავა, საბჭოს წევრი მ. აბაშიძე) თანამდებობიდან გადააყენეს გენერალური დირექტორი ი. გეგელაშვილი, დირექტორი ა. კიკნაძე და გენდირექტორის მოადგილე თ. გეგელაშვილი. სამაგიეროდ, დირექტორად დანიშნეს მ. აბაშიძე, მის ერთ-ერთ მოადგილედ - გ.იოსავა. ამ უკანასკნელს არასამთავრობო ორგანიზაციის „პაციენტთა უფლებების დაცვის ასოციაცია-მოძრაობა აბორტის წინააღმდეგ“ ხელმძღვანელი ზაზა მუსერიძე თავის დროზე კრიმინალურ საქმიანობასა და ჯო-ენის სახელობის სისხლის ბანკის მიერ გამოყოფილი თანხის დიდი ნაწილის მითვისებაში ადანაშაულებდა. მ. აბაშიძის მეორე მოადგილედ დანიშნეს მზია ჯანაშვილი, „ბლოკ-ჯორჯიას“ ერთ-ერთი დამფუძნებლის ვახტანგ ჯანაშვილის და. მანამდე მზია ჯანაშვილი აღნიშნულ ინსტიტუტში საშუალო ლაბორანტად მუშაობდა და, როგორც გვითხრეს, ი. გეგელაშვილი მხოლოდ იმიტომ არ ათავისუფლებდა სამსახურიდან, რომ ეცოდებოდა.

მოგვიანებით თანამდებობები დაატოვებინეს ავთანდილ ადამიას, შალვა შელეგიას, ვახტანგ ფირიაშვილს, რუდოლფ კრავიშვილს, ირინა მურადოვას, ელზა კომლაძეს და დალი კახაძეს.

მარინა აბაშიძემ მედპერსონალის სამსახურიდან გაშვების რამდენიმე მიზეზი დაგვისახელა: „ადამია 90 წელს მიკაკუნებული იყო. კრავიშვილი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში უფუნქციოდ დარჩა. მაშინ, როცა დაწესებულება თვითდაფინანსებაზეა, მას იმდენი თანამშრომელი უნდა ჰყავდეს, რამდენსაც სრულად დატვირთავდა. ყავის დასალევად, საჭოროდ, ანონიმკებისა და საჩივრების საწერად არავის უნდა ეცალოს“.

**- ქალბატონო მარინა, ელზა კომლაძე და დალი კახაძე რის საფუძველზე გაათავისუფლეთ?**

- თქვენი რედაქტორის მიერ გამოგზავნილ წერილში არაფერი წერია იმის თაობაზე, რომ აღნიშნული ინფორმაცია უნდა მოგაწოდოთ.

**- თავის დროზე დონორის სისხლის კომპონენტების ხარისხი კონტროლირდებოდა, დღეს ინსტიტუტს ეს ფუნქცია აღარ გააჩნია. XXI საუკუნეში გაზრდილი რისკების ფონზე, რამდენად საჭიროდ თვლით სახელმწიფო ლაბორატორიის გაუქმებას?**

- კონტროლი ნამდვილად იყო. ლიცენზიები გაიცა ისეთ დაწესებულებებზე, რომლებიც სისხლს სარდაფებსა და მორგებშიც კი იღებდნენ. ეს საშინელი განუკითხაობის პერიოდი იყო მედიცინაში, რამაც 50 წლით უკან დაგვხია. დღეს ამას სახელმწიფო აღარ აკონტროლებს, მაგრამ სახელმწიფოს გარდა ბევრი სხვა კონტროლი არსებობს. ჩვენს ინსტიტუტში ჩამოყალიბებულია კონტროლის ჯგუფი, რომლის ფუნქციაშიც შედის როგორც სისხლის, ასევე ანალიზების კონტროლი.

ძნელი წარმოსადგენია, ინსტიტუტმა საკუთარი თავი როგორ უნდა აკონტროლოს, მით უმეტეს მაშინ, როცა დონორის სისხლით საკმაოდ მომგებიან ბიზნესს აწარმოებენ „ბლოკ-ჯორჯიას“ მესვეურები და ეკონომიკის სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა შეუსრულებელი აქვთ. აგვისტოს ომის დროს დაზარალებულთათვის უანგაროდ ჩაბარებული სისხლითაც მშვენივრად მოითბეს ხელი.





**ნათია ქადაგიშვილი**

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

### ზურაბ გაგნიძე:

# დიმიტრი შაშკინს არ გააჩნია სულიერი სისუფთავე, ცნობიერების ლოგიკურობა და რეფორმატორის ქარიზმა

**ხელისუფლება ფიქრობს, მთავრობაში მინისტრების გადაადგილებამ ქვეყნის მდგომარეობის გაუმჯობესება, სწორი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, ამა თუ იმ დარგში მიმდინარე რეფორმების რაციონალური ორგანიზაცია და ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნა უნდა უზრუნველყოს. სამთავრობო კარუსელების ტრიალს, რომელსაც ჭეშმარიტების გამარჯვების პრეტენზია გააჩნია, თუ საღი გონებით განვსჯით, აშკარად დავინახავთ, საით მიგვერეკებიან. ეს ბზრიალ-ტრიალი პოლიტიკური კრიზისის ნიშნითაა განპირობებული, ეკონომიკურ-სოციალური სიდუხჭირის დაღიც ადევს და ხელისუფალთა თავის გადარჩენის გზების მოძიების სურვილიც, რათა ჟამი „ტახტზე“ ყოფნისა გაიხანგრძლივონ.**

**ამჯერად, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე წარმოგვიდგენს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა ყოფილ მინისტრსა და ამჟამად უკვე განათლების მინისტრ დიმიტრი შაშკინის ფსიქოპორტრეტს.**



**- ბატონო ზურაბ, როგორია ახალი პოლიტიკური ვარსკვლავის - დიმიტრი შაშკინის სულიერი ანატომია?**

- სულიერი წყობა, რომელსაც ადამიანი უმაღლესი კოსმიური გონების წყალობით იღებს, უნდა განვითარდეს. ზოგი სუბიექტი განვითარების ნაცვლად, მხოლოდ ხილული ფიზიკური სამყაროთი იზღუდება და თავისი ფსიქოსტრუქტურის იგნორირების ხარჯზე ავითარებს მატერიალურ მსოფლმხედველობას, ყველა უარყოფითი ნიშნით უარყოფს რა შინაგან ხმას და იმ უნარებს, რომლებიც მის ფსიქეშია კოდირებული, დაუოკებელი ვნებით მიისწრაფის ეგოიზის დასაკმაყოფილებლად. წოდებით „უმცროსი ლეიტენანტი დიმიტრი შაშკინი „ჩახმახშემართული“ დაადგა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის გაკეთილშობილების მძიმე და რთულ გზას. სისტემაში კი უკვე მიმდინარეობდა დემოკრატიული რეფორმების მეორე ტალღა. ვაიმე, ვინმემ არ დამასწროს და გემრიელი ლუკმა პირიდან არ გამაგდებინოსო, ხარბად დაიწყო სიტყვიერი ჟონგლიორობა განსახორციელებელი პროექტებზე: საკონსტიტუციო ცვლილებებზე, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის გაძლიერებაზე, საარჩევნო რეფორმებსა და მედიის პლურალიზმის ხელშეწყობაზე, პატიმრების ახალ კოდექსზე, მსჯავრდებულთა რეაბილიტაციასა და საზოგადოებაში მათ ინტეგრაციაზე.

ყოველივე ამას მსუყე პოლიტიკური გარნირით გვთავაზობდა, მაგრამ მაინც ვერ შეძლო საზოგადოების კეთილგანწყობის მოპოვება და ნათქვამის დამაჯერებლად წარმოდგენა. დიმიტრი შაშკინს არ გააჩნია სულიერი სისუფთავე, ცნობიერების ლოგიკურობა და რეფორმატორის ქარიზმა, ამაოდ ცდილობდა პოლიტიკური რებუსებით რეალობის დაფარვას, რასაც, სამწუხაროდ, პენიტენციალურ სისტემაში ვხვდებით. მისსავე ინტერვიუში ჩნდება მისი ნამდვილი სახე და დამოკიდებულება ამ საკითხებისადმი - „როდესაც მინისტრი გავხდი, მეორე დღესვე გავრცელდა ინფორმაცია, ერთ-ერთმა პატიმარმა თავი კედელზე მიილურსმაო, თურმე იმ ქალსა და მის ქმარს ერთად ორი პოლიციელი მოუკლავთ. ასეთი ხალხი ლაპარაკობს უსამართლობაზე?“ ფსიქოანალიზით ის ბრაზობს დამნაშავეებზე, რომელნიც კედელზე „ჯვარცმით“ ყველაზე მაღალი ღირებულების - სიცოცხლის გაწირვის ხარჯზე გარბის უსამართლობიდან ჯოჯოხეთში. ფაქტი შემზარავია და თავზარდამცემი და არა - გასაკიცხი. ბატონი შაშკინი გულგრილობითა და აზრთა დოგმატურობით აუფასურებს პატიმრის სულიერ ამბოხს უსამართლობასთან ბრძოლაში და თურმე „ასეთი ხალხიც ლაპარაკობს უსამართლობაზე“. მის ცივ გონებრივ უნარებში ჯალათი ბუდობს და არა - ქრისტიანი მოკვდავი, აშკარად ჩანს ამ სუბიექტის სულიერი ოპორტუნიზმი სასოწარკვეთილი მსხვერპლისადმი. იმდენად დაცემულია ზნეობრივი ნორმებიდან, რომ სჯის მილურსმულ ადამიანს და პირადი, გარკვეული კასტის ინტერესების სასარგებლოდ ამ ფაქტის მოშველიებით ქადაგებს.

ამგვარი ფსიქოსტრუქტურის კაცი ვერც ერთ საპასუხისმგებლო სისტემის გაკეთილშობილებას ვერ შეძლებს.

ქვეყნის პრეზიდენტი, შაშკინის მინისტრად წარდგენისას, მისი პიროვნებით აღფრთოვანებული მიიჩნევდა, რომ ის იყო მაშველი რგოლი ქვეყნის პოლიტიკური ძალების კონსოლიდაციისთვის. შეფასება ჰიპერგაზვიადებულია, ზედმეტად გადამლაშებული. საფუძველი კი ისაა, რომ შაშკინი 5 წელი მუშაობდა ამერიკული რესპუბლიკური ინსტიტუტის ოფისის ადგილობრივ ხელმძღვანელად პარტიებს შორის დიალოგის საკითხებზე, ხოლო 1997-98 წლებში მუშაობდა ამერიკის იურისტთა ასოციაციაში და უშუალოდ მონაწილეობდა სასამართლო რეფორმის მომზადებაში; 16 წლის შემდეგ კი ისევ ენთუზიაზმით გვპირდება დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის გაძლიერებას. ეს კი დიმიტრი შაშკინს ყალბი ფაციფუცის დიდოსტატად და გამორჩეულ ნაცრის გუდის მბერტყავ, უბადრუკ ქოსატყუილად წარმოაჩენს. 2001 წლისთვის იგი აღწევს პოლიტიკური პროგრამების დირექტორობას. მისი პროგრამებით მივაღწიეთ სიმდიდრესა და სიღარიბეს შორის ზღვარის გადიდებას, ეროვნული მეურნეობების მოშლას, ტრადიციებისადმი უპატივცემულობას, სახელმწიფო საზღვრების მოშლას, განათლების სისტემის დაცემას, ქართული სახელმწიფო ენის დაკნინებას. 2009 წელს „ამაგდარი“ დიმიტრი შაშკინი მინისტრად მოგვევლინა, რადგან ხელისუფალთა ნააზრევ-ნამოქმედარს მისი სულიერი ანატომია სრული სისავსით ერგებოდა. ამერიკელთა გამოზრდილი ეს პოლიტიკოსი, რომელიც სულ ახლახან გახდა 34 წლის, დროის შვილია და შეუძლია პოლიტიკას სამომხმარებლო კუთხით მიუდგეს.

**- ამბობენ, პენიტენციალურ სისტემაში მან მოკლე დროში ბევრი რამ შეცვალა და 24 საათის განმავლობაში მუშაობდა...**

- დიახ, შეცვალა... გამინისტრებისთანავე 35 ათასად ღირებული ავტომანქანიდან 55 ათასად ღირებულ „ფოლკსვაგენ ტუარეგში“ გადაჯდა. ეს მაშინაც არ გაუკეთებია, როდესაც საერთაშორისო ინსტიტუტში მისი წლიური ანაზღაურება 60 ათასი დოლარი იყო და ლექციებში კი მოკრძალებულ 1800 ლარს იღებდა. ეს მაშინ, როდესაც საერთაშორისო დონის აკადემიკოსები ქუჩაში ულუკმაპუროდ გამოყრილი „ჩარეცხილები“ იყვნენ, ხოლო ათასობით ქართველი ქვეყნიდან გარბოდა, საზოგადოება კი შიმშილის ზღვარზე იმყოფებოდა. მისმა რეფორმამ და პროექტებმა მას და მის კლანს სიკეთე მოუტანა. მას თბილისში, რობაქიძის გამზირზე, 166 კვ. მეტრი ფართის საცხოვრებელ ბინა აქვს, წერნაკის შესახვევში კი - 294 კვ. მეტრი ნაკვეთი და 256,8 კვ. მეტრი ფართობის შენობა-ნაგებობები. მას საკმაოდ სოლიდური ანაბრები აქვს **თი-ბისი ბანკსა და საქართველოს ბანკის** მიმდინარე ანგარიშებზე. მას არ გააჩნია სოციალური სოლიდარობის გრძნობა და რელიგიური მრწამსი „გიყვარდეს მოყვასი“. თავისი ოფიციალური შემოსავლებით, ის სხვა ტიპის „ქურდია“, ვიდრე გისოსებს მიღმა მყოფი დამნაშავენი. რაც შეეხება სამუშაოს ხანგრძლივობას, ის თავის ერთ ინტერვიუში ურცხვად აცხადებს: „მეც მაქვს უსამართლობის განცდა, აღდგომის ღამეს, რომ ციხეში ვხვდები“. შაშკინი სულიერი ანატომიით ტიპიური მედროვისა და უხიაგი კარიერისტის სახეა, თანაც ემოციური განცდებით გაციებული გულითა და გაურანდავი გონებრივი უნარებით. ჰგონია, ფაქტებს ისე ფუთავს, რომ საზოგადოებას აზრი ვერ გამოაქვს. ის არის იდეური თავხედის ჩამოყალიბებული ფსიქოტიპაჟი. ფსიქოლოგია იცნობს შემთხვევით თავხედსა და იდეურ თავხედს. იდეური თავხედობა ქრონიკულად თუ ჩამოყალიბდა სახელმწიფო მოხელეში, ის საშიში დამნაშავეა, რადგან არღვევს და წამლავს მილიონთა სულიერ წონასწორობას და უხეშად ეთამაშება ერის სულიერ კამერტონს ფორმალური რეფორმებითა და ვირტუალური წარმატებებით.

შაშკინის მინისტრობისას საზოგადოებამ იხილა ტელეკომპანია „კავკასიით“ გადმოცემული გირგვლიანის მკვლელების ლხინისა და დროსტარების კადრები ავჭალის ციხეში, რასაც ის უარყოფს. ფსიქოჭრილში ესაა „ფაქტებიდან გაქცევის“ მცდელობა, რაც უდიდეს რეციდივისტებსაც მორალურად უჭირთ. ამგვარი ფსიქოშტრიხი, ანუ მტკნარი სიცრუის თქმა, ფაქტობრივი დასაბუთებისას მარტო გარეცხილი სინდისის მატარებელს შეუძლია. ეს მიგვანიშნებს, რომ დიმიტრი შაშკინის ფსიქეში ზნეობრივი კონტროლის უნარი ანულირებულია, რამაც შეიძლება ამ ახალგაზრდა კაცს მომავალში ფსიქოლოგიური პრობლემები შეუქმნას.

გირგვლიანის მკვლელების შეწყალებას ბატონი დიმიტრი ასე ხსნის: „ომის შემდეგ კომისიამ იმსჯელა, როგორ შეემსუბუქებინა ოფიცრებისთვის სასჯელი. მერე გაირკვა, რომ ამ ოფიცრებს შორის იყო ის ოთხი პირი, რომლებიც გირგვლიანის მკვლელობისთვის იხდიდნენ სასჯელს“. ამგვარი განმარტება მინისტრის სულიერებაში ჩალექილ ჭუჭყს ამზეურებს.

ბატონმა მინისტრი მზადაა, ნებისმიერი საშუალებით შეინარჩუნოს ძალაუფლება და მოხვეჭილი „საჭურჭლე“, ყველაფერი გაბატონებული კასტისა და პირველკაცის გვირგვინს შესწიროს ერთი მიზნით - თვითონ იგრძნოს თავი კომფორტულად. მისი პასუხები ჟურნალისტების შეკითხვებზე გვიჩვენებს მასში ლოგიკური აზროვნების შესუსტებას, რაც მისი ნერვიული სისტემისა და შეგრძნებების დაქვეითებაზე მიგვითითებს. ადამიანთა გასაჭირს თავისი ხელმომართული გადასახედიდან უმზერს და აფასებს. ამ გარემოებამ იგი გამიჯნა ხალხის პრობლემებიდან. შაშკინის პიროვნული ღირსებები გამოიგონეს, რადგან ამგვარი კაცები სჭირდებათ დღეს პოლიტიკურ სარბიელზე.

**- ბატონო ზურაბ, დიმიტრი შაშკინი ქვეყნის მთავარი პრიორიტეტის - განათლებისა და მეცნიერების მინისტრად დანიშნეს...**

- ასეთ რამეზე უთავმოყვარეო კაცის გარდა არავინ წავა, თუ რამე ფარული ზრახვა არ აქვს. ყოველივე ეს ნიშნავს, რომ შაშკინს წელში გადატეხილი საქართველოს განათლების სისტემის „მესაფლავეობა“ დააკისრეს, ერთის მხრივ, ამერიკული განათლებისა და პრომამერიკული ორიენტაციისთვის, ხოლო მეორე მხრივ - ფსიქოლოგიური წყობის გათვალისწინებით შაშკინი სამშობლოდაკარგული, უმისამართო, ეროვნული ნიშნებისგან დაცლილი სუბიექტია, კოსმოპოლიტიზმით დასნეულებული, მის არც ერთ სიტყვასა და ქმედებას არასოდეს ადევს ეროვნული სპეციფიკის ბეჭედი. ის ქართული პოლიტიკის „ფარსმან სპარსია“ და მზადაა ამერიკელთა იდეების მისაღებად, დასანერგად და მათი ცხოვრების წესის გასაზიარებლად. მისი მინისტრობა ნიშნავს, განათლების შემდგომმა განვითარებამ არამც და არამც არ უნდა მიიღოს ეროვნული მეობის, ნაციონალური ენისა და ტრადიციების შენახვის ფორმა. მომავალმა თაობებმა არ უნდა იცოდნენ და ახსოვდეთ ვინ არიან, ვინ იყვნენ მათი წინაპრები ან „ვისი გორისანი“ არიან. შაშკინმა განათლების საშუალებით გადატრიალება უნდა მოახდინოს ეროვნულ ცნობიერებაში. ამისთვის მას მხოლოდ იდეური თავხედობა ჰყოფნის, მაგრამ ამისთვის არც გონებრივი უნარები ეყოფა და არც სულიერი სიმტკიცე. მისი გაზულუქებული ბუნება რეფორმის ექსპერიმენტებს ვერ გაუძლებს. ის ინდივიდუალობით გამორჩეული ფიგურა არაა, ამიტომ ერის ბედზე ძლიერი გავლენის მოხდენას ვერ მოახერხებს. პროექტი, რომლის განხორციელდება შაშკინს ანდეს, ცენტრის მიერ გეგმაზომიერადაა დამუშავებული, მაგრამ პრაქტიკულად განხორციელებისას ბევრი ბარიერი გადაელობება. საეჭვოა, შაშკინმა ამ რთულ ლაბირინთებში გაიაროს. მართალია, მეგობარ სახელმწიფოს უფრო მეტს ჰპირდება, ვიდრე შეუძლია, რადგან სახელის განთქმისა და პოლიტიკური ქულების დაგროვების მოსურნეა. მას არ შეუძლია მოკვდავთა ჭირვეულობაზე ან ამბიციებზე უარის თქმა, აკლია ექსტაზი, ეფექტურობა, აქტივიზაცია, ორატორული ნიჭი. მისი მახასიათებელი შტრიხებია: გულგრილი სიჩუმე, ქვემძრომობა და ფარული ინტრიგები, ისიც ჩასაფრებით. ის კოსპოლიტიური ჟანრის მსუბუქი, ბურვალური, ზერელე, რებუსული სახეა; ვერასოდეს გაივლის ბეწვის ხიდზე; უფრო მოყურადეა, ვიდრე ზარების დამრისხებელი; მედროვე, უპრინციპო კაცი, სიმდიდრესა და დიდებულებას დახარბებული; ამერიკელ იმიჯ-მეიკერთა შეთითხნილი ფიგურა, რომელიც იმ დონეზე ვერასოდეს შეიძენს ქარიშხლის ძალასა და სიშლეგეს, უძველესი ერის ათასწლეულების კვალი რომ წაშალოს.

ესაუბრა
**ლალი ჟაჟიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ვინ აგროვებს ნარკოტიკულ კოლექციას?

**46 წლის ჰოლანდიელს ექსტაზის 2400-აბიანი კოლექცია მოჰპარეს. დაზარალებულმა კოლექციონერმა ნარკოტიკული ნივთიერებების დაკარგვის თაობაზე პოლიციას იმავე დღეს აცნობა, მიუხედავად იმისა, რომ ნარკოტიკის შენახვისათვის შესაძლოა სასჯელიც დაემსახურებინა.**



ამ თავგანწირვისაკენ კოლექციონერს, საკუთრების დაბრუნების სურვილის გარდა, იმანაც უბიძგა, რომ, მისივე თქმით, კოლექციაში შედის ორმოცამდე მომწამვლელი აბი, რომელთა დალევაც შესაძლოა ადამიანისათვის სიკვდილის მიზეზი გახდეს. კოლექციის მეპატრონემ მოახერხა, პოლიცია დაერწმუნებინა, რომ ნარკოტიკების არც მომხმარებელია და არც გამავრცელებელი, უბრალოდ, ექსტაზის აბების ფორმა და ფერები მოსწონს და ამის გამო აგროვებს. დაკარგული კოლექციის შეგროვებას მან 20 წელი მოანდომა და მისი სავარაუდო ღირებულება 11 ათას ევროს შეადგენს. პოლიცია დაზარალებული კოლექციონერის წინააღმდეგ საქმეს ვერ აღძრავს, ვინაიდან ამ საქმეში ერთადერთი სამხილი - ექსტაზის კოლექცია - დაკარგულია.

# სად დგას პატარა ობამა?



**ინდონეზიაში, ჯაკარტას ცენტრში 10 წლის ბარაკ ობამას ქანდაკება დადგეს. თითქმის ნატურალურ ზომებში შესრულებულ მონუმენტში აშშ-ის პრეზიდენტს მოკლე შარვალი და სპორტული მაისური აცვია.**

პატარა ობამა უცინის პეპელას, რომელიც მის ზემოთ აწეულ მარცხენა ხელზე ზის. ქალაქის მერის თქმით, ძეგლმა ინდონეზიელ ბიჭებს თავიანთი მიზნების განხორციელებისაკენ უნდა უბიძგოს. „ახალგაზრდა ობამას სტატუა შეიცავს გზავნილს იმის შესახებ, რომ ნებისმიერ ბავშვს, მიუხედავად თავისი წარმომავლობისა, შეუძლია ოცნებების ასრულება, თუ მუდმივად იბრძოლებს ამისათვის,“ - ამბობს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი. ძეგლი დგას პარკ „**Taman Menteng**“-ში. მასთან ახლოს ცხოვრობდა ბავშვობაში ბარაკ ობამა. მონუმენტი ბრინჯაოსგანაა ჩამოსხმული და მასზე 10 ათას დოლარზე მეტი დაიხარჯა.

# რატომ მოიწყინა თოლიამ?

**ბრიტანეთის სამეფოს ცხოველთა დაცვის საზოგადოებამ ცხელ ხაზზე 2009 წელს შესული სატელეფონო ზარებიდან ყველაზე უცნაურთა შინაარსები გამოაქვეყნა.**



ცხოველთა დამცველებს დაურეკა ქალმა და აცნობა, რომ ერთი საბრალო თოლია წვიმაში მოწყენილი იჯდა. მეორე ქალბატონს აინტერესებდა, რატომ არ კრუტუნებს მისი ფისო. ერთ-ერთი ზარის შედეგად გზატკეცილზე სიკვდილის პირას მყოფი კუს გადასარჩენად მისულ მაშველებს ადგილზე ფეხბურთის დაჩუტული ბურთი დახვდათ. მსგავს გამოძახებაზე ერთ-ერთი გასვლისას ცხოველთა დამცველებს ოთახის ჭერზე რამდენიმე დღის განმავლობაში გაუნძრევლად დაკიდული ღამურის ნაცვლად ნესტისგან ჩამოშლილი შპალერი დახვდათ. ცხელ ხაზზე საშუალოდ ყოველ 29 წამში ერთი ზარი შედის.

# ამერიკელ პოლიციელთა გართობა: ესროლე ზანგებს!

**ლამის მთელი მსოფლიო დარწმუნებულია, რომ პოლიტკორექტულობა ამერიკელთა კვაზირელიგიად იქცა. ასეც არის, ფედერალური ხელისუფლება გაუთავებლად ებოდიშება ინდიელებს, ხოლო სიტყვა „ზანგის“ ხსენება სასამართლოსკენ მიმავალი უმარტივესი გზაა, მაგრამ კარგად დაკვირვების შემდეგ ცხადი ხდება, რომ ეს მხოლოდ პირქუში რეალობის ლამაზი პირბადეა, ამ რეალობას კი თვით შავკანიანი პრეზიდენტიც ძვრას ვერ უზამს.**



აშშ-ის უფლებადამცველი ორგანიზაციები, დიდი ხანია, გაიძახიან, რომ ქვეყნის სამართალდამცავი სისტემა ორმაგი სტანდარტით მუშაობს და ამის საფუძველიც საკმარისზე მეტი აქვთ. მაგალითად, კონექტიკუტის შტატში სასამართლომ გაამართლა პოლიციელი, რომელმაც ორი შეუიარაღებელი ზანგი მოკლა. რობერტ ლოულორმა ცეცხლი გაუხსნა მანქანას, რომელშიც 18 წლის ჟეიშონ ბრაიანტი და 21 წლის ჰენრი რანენი მხოლოდ იმ ვარაუდის გამო ამოხოცა, ვაი თუ შეიარაღებულნი იყვნენო. მოგვიანებით ლოუკორი პოლიციიდან წავიდა, მაგრამ დაზარალებული მხარისთვის ბოდიშის მოხდაზე უარი განაცხადა, რადგან ახლაც მტკიცედაა დარწმუნებული, რომ უკანონო არაფერი ჩაუდენია.

როდესაც ერთ-ერთი მოკლულის მამამ განაცხადა, რომ სასამარლო არ გაამართლებდა პოლიციელს, თუ მისი მსხვერპლნი თეთრკანიანები იქნებოდნენ, მასზე ამ ფრაზის გამო მის წინააღმდეგ საქმე აღიძრა. ზანგების მკვლელი პოლიციელის სასამართლოზე ფინალური მოსმენისას პოლიციას წესრიგის შესანარჩუნებლად სასამართლოს შენობის ტერიტორიის ბლოკირება მოუხდა.

ეს ერთადერთი შემთხვევა არაა და, თუ ლოულორი მართლაც შიშობდა, რომ მისი მსხვერპლნი შეიარაღებულნი იყვნენ, ოჰაიოს შტატის ექვს პოლიციელს, რომლებმაც 41 წლის ზანგი ლითონის ხელჯოხებით სასიკვდილოდ ცემეს, ამგვარი ვარაუდი ვერ ექნებოდა. პროცესი მთლიანადაა აღბეჭდილი ვიდეოფირზე. ნატანიელ ჯონსი ადგილობრივ საავადმყოფოში გარდაიცვალა.

მიუხედავად ყველაფრისა, ქალაქის მერმა განაცხადა, რომ პოლიციელები სწორად მოიქცნენ, მაგრამ საპროტესტო აქციების შედეგად მერი იძულებული გახდა, ისინი სამსახურიდან დაეთხოვა. სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა. წინა პერიოდში, იმავე ოჰაიოში, თეთრკანიანმა პოლიციელებმა შავკანიანს ესროლეს და მოკლეს. ამ ფაქტმა იმხელა არეულობა გამოიწვია, რომ შტატის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა.

ნიუ იორკის სასამართლომ გაამართლა ოთხი თეთრკანიანი პოლიციელი - დასავლეთ აფრიკელი ზანგის მკვლელობის საქმეში უდანაშაულოდ ცნო. პოლიციელებმა განაცხადეს, რომ ადამ დიალოს საკუთარი სახლის წინ 41 ტყვია თავდაცვის მიზნით დაახალეს, ვინაიდან მოეჩვენათ, რომ ის შეიარაღებული იყო. ამ ამბავს ხანგრძლივი საპროტესტო აქციები მოჰყვა, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილება ამით, ცხადია, არ შეცვლილა. სასამართლო პროცესი ტელევიზიითა და რადიოთი პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა. განაჩენის გამოცხადების შემდეგ შავკანიანი პოლიტიკური და რელიგიური ლიდერები იძულებულნი გახდნენ, წესრიგისა და სიმშვიდისაკენ მოწოდებები არ დაეშურებინათ.

ეს და მრავალი მსგავსი ფაქტი ამერიკელი თემიდას რასობრივ უპირატესობებზე მეტყველებს. სასამართლოც კი ყველა შავკანიანში დამნაშავეს ხედავს, დამნაშავეს, რომელსაც ნებისმიერ დროს შეიძლება ესროლო. ამგვარი მიდგომა კი, არა მხოლოდ ეჭვქვეშ აყენებს ამერიკული სისტემის მიერ მის მიერვე დეკლარირებული პრინციპების ერთგულებას, არამედ დაუცველობისა და უსამართლობის შეგრძნებას უყალიბებს შავკანიანი პრეზიდენტის ქვეყნის შავკანიან მოსახლეობას. ეს კი მასიური კონფლიქტებისა და რასობრივი დაპირისპირების საბაბია, რაც, თავის მხრივ, თავად ქვეყნის მომავალს აყენებს ეჭვქვეშ.

# აშშ კავკასიაში კოსოვოს ამზადებს

**ბაქოში ეუთოს ხელმძღვანელის მოადგილედ მანამდე კოსოვოს ეუთოს თანამშრომელი ამერიკელი დიპლომატი მელისა სტოუნი დაინიშნა და უკვე შეუდგა კიდევაც საკუთარი მოვალეობების შესრულებას.**




მხოლოდ ეს ფაქტი არც აზერბაიჯანს, არც სომხეთსა და არც რუსეთს კარგს არაფერს უქადის. საქმე ისაა, რომ ანალიტიკოსები კავკასიაში ამერიკელთა ბოლოდროინდელ გააქტიურებაზე მიანიშნებენ, რაც რეგიონში მოსალოდნელ დიდ ცვლილებებზე მიანიშნებს. თუ გავითვალისწინებთ მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის მინიჭებას ბარაკ ობამასათვის, რომელიც ავღანეთისა და ერაყის ოკუპაციას განაგრძობს და ათასობით მშვიდობიანი ადამიანის სიცოცხლეს წირავს, ცხადი გახდება, რომ ვაშინგტონს თავისი მშვიდობისმყოფელობის გამოსაყენებლად ახალი პოლიგონიც აქვს. კავკასია და კასპიისპირეთი მხოლოდ პოტენციური და დაურეგულირებელი კონფლიქტების სიუხვით არ გამოირჩევიან და ამერიკელი ექსპერტების მიერ მხოლოდ ნახშირწყალბადის ერთ-ერთ მთავარ საკუჭნაოდ კი არ განიხილებიან, არამედ ლოკალური შეჯახებებისას ახალი ინფორმაციული და საბრძოლო ტექნოლოგიების შემუშავების არენადაც. ამ არენაზე მთავარ მოთამაშეებად სომხეთი და აზერბაიჯანი მოიაზრება, რუსეთიც, სამხრეთ ოსეთიც, აფხაზეთიც და საქართველოს ცალკეული პროვინციები, რომელთაც ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰყავთ ფორმალური ქართული ხელისუფლება, მაგრამ სტატუსის შესაცვლელად ემზადებიან.

როგორც სომხეთის საინფორმაციო საშუალებები აღნიშნავენ, აზერბაიჯანთან რამენაირად დაკავშირებული თანამდებობების უმეტესობაზე დაინიშნენ ადამიანები, რომელთაც კოსოვოში მუშაობის გამოცდილება აქვთ, ამან კი ადგილობრივ ექსპერტებს, მსუბუქად რომ ვთქვათ, სატკივარი გაუჩინა, იქ ხომ მხოლოდ სიტყვა „კოსოვოს“ ხსენებაზეც კი ბევრს ეკალი აყრის. ჯერ აშშ-ის ყოფილმა ელჩმა კოსოვოში ტინა კაიდენაუმ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის თანამდებობა დაიკავა და რეგიონში პოლიტიკაზე პასუხისმგებლობის საქმე ჩაიბარა, შემდეგ მინსკის ეუთოს ჯგუფის ახალ თანათავმჯდომარედ ხორვატიაში აშშ-ის ყოფილი ელჩი რობერტ ბრადტკე დაინიშნა. პოლიტოლოგებმა კომენტარებში ცალსახად აღნიშნეს, რომ კოსოვოს ბრიგადა სამუშაოდ ჩვენს რეგიონში, კერძოდ ბაქოში გამოამწესეს.

პოლიტოლოგ პარვინ დარაბადის თქმით, თავად ეს ფაქტი მოითხოვს ყურადღების გამახვილებას, თორემ ჯერ ძნელი სათქმელია, რა მიმართულებით იმუშავებენ. მანვე აღნიშნა, რომ კაიდენაუს განცხადება, კოსოვოსა და ყარაბახის კონფლიქტებს საერთო არაფერი აქვთო, მხოლოდ ბაქოს დასამშვიდებლად იყო გამიზნული, თორემ ამ პროცესებში პარალელები შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს და, სამწუხაროდ, ავის მომასწავებელი ელემენტებიც შეიმჩნევა. თავის მხრივ პოლიტოლოგმა რამის აგაევმა დაამატა, რომ აშშ ძალზე გულდაგულ არჩევს დიპლომატებს თანამდებობზე დასანიშნად, მით უფრო კონფლიქტური რეგიონებისთვის. „მოცემულ შემთხვევაში კაიდენაუ, ბრადტკე, აგრეთვე ახლადდანიშნული სტოუნი ის ადამიანები არიან, რომელთაც კონფლიქტურ სიტუაციებში მუშაობის გამოცდილება აქვთ. მათ მხარეების დაცილების, კონკრეტული პროგრამებისა და პროექტების განხორციელების საკითხში პრაქტიკული გამოცდილება აქვთ“. აზერბაიჯანს სულაც არ აწყობს ზემოჩამოთვლილი დიპლომატების „კოსოვური გამოცდილება“ და ახლა მთავარი ბრძოლა აზერბაიჯანელი დიპლომატების მხრეზე გადაივლის.

შეგახსენებთ, 2008 წლის 17 თებერვალს კოსოვოს პარლამენტმა ცალმხრივად გამოაცხადა სერბეთისგან დამოუკიდებლობა და ჩამოაყალიბა სუვერენული სახელმწიფო კოსოვო. მეორე დღესვე ავღანეთმა, ტაივანმა და მთელმა რიგმა ევროპულმა ქვეყნებმა კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარეს. ევროპაში პირველმა ეს გადაწყვეტილება საფრანგეთმა მიიღო. იმავე დღეს კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარა აშშ-მაც.

როგორც ცნობილია, 1991 წლის 2 სექტემბერს მთიანი ყარაბახის საოლქო საბჭომ და შაუმიანის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭომ მთიანი ყარაბახის რესპუბლიკა და შაუმიანის რაიონის ავტონომიები გამოაცხადეს. მიღებულ იქნა მთიანი ყარაბახის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რაც იმხანად მოქმედ საბჭოთა კანონმდებლობას არ ეწინააღმდეგებოდა. 1991 წლის 10 დეკემბერს, საბჭოთა კავშირის ოფიციალურ დაშლამდე რამდენიმე დღით ადრე, მთიან ყარაბახში საერთაშორისო ექსპერტებისა და დამკვირვებლების თანდასწრებით ჩატარდა რეფერენდუმი, რომელზეც მოსახლეობის 99,89%-მა აზერბაიჯანისგან სრულ დამოუკიდებლობას დაუჭირა მხარი. ამის შემდეგ ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებზე აირჩა მთიანი ყარაბახის რესპუბლიკის პირველი პარლამენტი, რომელმაც პირველი მთავრობა ჩამოაყალიბა. დამოუკიდებელი ყარაბახის მთავრობამ აბსოლუტური ბლოკადისა და მის შემდგომი აზერბაიჯანული სამხედრო აგრესიის პირობებში დაიწყო საკუთარი მოვალეობების შესრულება.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სააკაშვილი ისევ ომზე ოცნებობს

**რუსეთის დიპლომატიური წყაროები არ გამორიცხავენ, რომ საქართველოს ხელისუფლება კიდევ ერთხელ გარისკავს და 2008 წლის აგვისტოს ომისათვის რევანშის აღებას შეეცდება. ამჯერად სამიზნე სამხრეთ ოსეთის ლენინგორის რაიონია.**



ამ თვალსაზრისს რუსეთის თავდაცვის უწყებაშიც იზიარებენ და საფრთხეს სავსებით რეალურად მიიჩნევენ. დაფიქსირებულია ლენინგორის მიმართულებით ქართული ჯარის გაძლიერება და ჯარის ინტენსიური როტაცია საზღვრის მახლობლად, სადაც პარალელურად გააქტიურდა ქართული ჯარისთვის მთიან რაიონებში საბრძოლო მეთოდების მსწავლებელი საერთაშორისო ინსტრუქტორების მოღვაწეობაც.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მთელი ძალით მიმდინარეობს ქართული ჯარის აღდგენის, სინამდვილეში კი გაძლიერების პროცესიც. ამის თაობაზე ნოემბრის დასაწყისში რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა ნიკოლაი მაკაროვმა განაცხადა და აღნიშნა, რომ ახლა ქართული ჯარი უკეთაა შეიარაღებული, ვიდრე 2008 წლის აგვისტოში იყო. ძველებურად შედის იარაღი ჩეხეთიდან, თურქეთიდან, ისრაელიდან. უკრაინული მთავრობა მანიაკალური დაჟინებით განაიარაღებს საკუთრ ჯარს და თბილისს ამარაგებს.

რუკაზე თვალის გადავლებაც საკმარისია იმის მისახვედრად, თუ სად მიიტანენ იერიშს რევანშისტები - სამხრეთ ოსეთის ლენინგორის რაიონზე, რომელსაც საქართველოში აგვისტოს ომამდე ახალგორის რაიონს უწოდებდნენ, ვინაიდან ქართული ხელისუფლების მიერ კონტროლდებოდა. ამ დანარჩენი რესპუბლიკისგან აბსოლუტურად იზოლირებულ რაიონში მოსახლეობის 75%-ს ქართველები წარმოადგენდნენ. როგორც სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის აპარატის წარმომადგენელი აღნიშნავს, ახლა ლენინგორის რაიონის მოსახლეობა სიამოვნებით იღებს სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობას, რათა პენსია დაენიშნოს.

რაც შეეხება სამხედრო შემადგენლობას, ახლა რაიონს გაძლიერებული მოტომსროლელთა ასეული იცავს ტანკებითა და არტილერიით. რუსეთის ჯარის პოლკოვნიკის ვიქტორ მურახოვსკის მტკიცებით, ამ მთიან რაიონში ქართულ ჯარს რაიმე წარმატების პერსპექტივა არ ექნება. გარდა ამისა, მდგომარეობის გამწვავების შემთხვევაში რუსული კონტინგენტი იქ ოპერატიულად გაიზრდება.

კიდევ ერთი ექსპერტი ალექსანდრე სკაკოვი აღნიშნავს, რომ სულ მცირე გაზაფხულამდე საქართველოს მხრიდან აქტიური ქმედებები მოსალოდნელი არ არის. ამგვარ რეგიონებში ზამთრის ყინვასა და თოვლში ომს არ იწყებენ.

# ვის აწუხებს ზარების რეკვა

**დასავლეთის სულიერი ცხოვრების შესახებ მასალები პირქუშ ტენდენციებზე მეტყველებს - სულ უფრო მეტი ადამიანი ცდილობს, საკუთარი ცხოვრებიდან ერთხელ და სამუდამოდ განდევნოს ნებისმიერი ზნეობრივი საწყისი და მასზე მიმანიშნებელი რელიგიური ცხოვრების ატრიბუტები.**

ამასთანავე, ისინი სულ უფრო მეტად ცდილობენ, ქრისტეს განდევნას „კანონიერი“ სახე შესძინონ. ამერიკული ქალაქ ფინიქსის მრევლის სამი წევრი ცდილობს, სასამართლოში დაამტკიცოს, რომ ტაძრებში ზარების დარეკვის აკრძალვა, რასაც ქალაქის კანონმდებლობა ითვალისწინებს, კონსტიტუციისა და ტრადიციების უხეში დარღვევაა. სარჩელი ერთდროულად შეიტანა ორმა პროტესტანტმა და ერთმა კათოლიკემ. ერთ-ერთი ტაძრის წინამძღოლს, ეპისკოპოს რიკ პეინტერს ივნისში 10-დღიანი პატიმრობა და სამ წლამდე გამოსაცდელი ვადა მიუსაჯეს ტაძარში ზარების დარეკვისათვის.

„საეკლესიო ზარები ასრულებენ უფლის სადიდებელ მოკლე, ძველ მელოდიას, მათი ხმა ჩვეულებრივი საუბრისას არ აღემატება. ქალაქის კანონი იმისათვის გამოიყენება, რომ აიკრძალოს რწმენის ეს მშვიდობიანი გამოხატულება, არადა სხვებისთვის კანონი გამონაკლისებს უშვებს“, - განაცხადა პენიტენმა. გამონაკლისი მართლაც იქნა დაშვებული ნაყინის გამყიდველი მანქანებისათვის, რომელთა საყვირის ხმა 70 დეციბალია.

ცოტა ხნის წინათ სასამართლომ დაადგინა, რომ ქალაქში ზარების რეკვის ხმა 60 დეციბალს არ უნდა აღემატებოდეს, ისიც არაუმეტეს 2 წუთისა შეიძლება გაისმას მხოლოდ კვირა დღეს და ზოგიერთ რელიგიურ დღესასწაულზე.

პეინტერის ტაძრის ზარები ყოველ საათში რეკდნენ დილის რვიდან საღამოს რვამდე. ტაძრიდან უახლოეს სახლამდე 67 დეციბალის ბგერები აღწევდა (შედარებისთვის, ჩურჩულის ხმაური 30 დეციბალია, ჩვეულებრივი საუბრისა - 60-70 დეციბალი).

წმიდა მარკის კათოლიკურ ტაძარში ზარები უკვე 20 წელია რეკენ. ახლა კი ვილაც შეწუხდა მათ ხმაზე, იჩივლა და ტაძარშიმისულმა პროკურორ-პოლიციელებმა „ხმაურის“ შეწყვეტა მოითხოვეს. ტაძრის მრევლი, საადვოკატო ფირმის ხელმძღვანელი მარკ სტენლი თვლის, რომ ეს კონსტიტუციის დარღვევაა და „რწმენის სახალხო პრაქტიკისათვის“ ტაძრების დასჯის მცდელობას წარმოადგენს. „ვერავის მიუსჯიან პატიმრობას ან გამოსაცდელ ვადას იმის გამო, რასაც ტაძარი მთელი თავისი ისტორიის მანძილზე აკეთებს. მით უფრო, რომ ზარების ხმა ნაყინის გამყიდველი მანქანებისას არ აღემატება“, - განაცხადა იურისტმა.

ეს მსგავსი შინაარსის პირველი საჩივარი არ იყო, უბრალოდ აქამდე სასამართლო მსგავს შემთხვევებში სარჩელს რელიგიური თავისუფლების მოტივით არ იღებდა. ამჯერად კი მიიღო, ვინაიდან დაასკვნა, რომ სამრეკლო საცხოვრებელ სახლთან 4 მეტრით უფრო ახლოსაა განლაგებული, ვიდრე ეს სამშენებლო გეგმით იყო გათვალისწინებული. ახლა სამართლის დადგენილებაში წერია, რომ თუ ზარებს ხმას არ დაუხშობენ, სამრეკლოს ფუნქციონირება საერთოდ აიკრძალება.

მსგავსი „დანაშაულისათვის“ კიდევ უფრო მკაცრი განაჩენი გამოიტანეს მართლმადიდებელ საბერძნეთში. ტაძრის მსახურს 70-დღიანი პირობითი პატიმრობა მიესაჯა.

საბერძნეთში ათასობით მართლმადიდებლური ეკლესიაა, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას სამრეკლო აქვს. როგორც წესი, ზარებს ელექტროტექნიკა მართავს, თუმცა მონასტრებში მათ ძველი წესით, ხელით რეკენ. გარდა ამისა, საბერძნეთის ტაძრების უმეტესობა აღჭურვილია აუდიოსისტემით, რომლის წყალობითაც ღვთისმსახურების ხმა მთელ ტაძარსა და მის ეზოშიც ისმის. სულაც არაა გასაკვირი, ვინმეს სასამართლოში საჩივრის შეტანა მოუნდეს, მაგრამ უპრეცენდენტო აღმოჩნდა სასჯელის ვადა, რომელიც სასამართლომ მღვდელს დაუწესა, თუნდაც პირობითად.

ცხოვრების დონეს ეკონომიკური კრიზისი კი არა, ზარების რეკვა ამცირებს, გარემოს ავტომანქანების გამონაბოლქვი კი არა, ზარების რეკვა „აბინძურებს“, ადამიანების ჯანმრთელობას ცხოვრების არანორმალური რიტმი და უხარისხო პროდუქტი კი არა, ზარების რეკვა უქმნის საფრთხეს. იმ ზარების რეკვა, რომელთა ხმა ელადაში თურქულ უღელქვეშაც არ შეწყვეტილა.

აღსანიშნავია ის, რასაც თვით სამეცნიერო კვლევებიც ადასტურებს - ზარების რეკვა ჰაერს ნებისმიერ იონიზატორზე უკეთ აუმჯობესებს. აღსანიშნავია ის, რომ სწორედ ამ ომბუცმენმა მოითხოვა 2005 წელს, რომ ხმაურიანი დაბინძურების კანონს ეკლესიებიც დაქვემდებარებოდნენ.

ბრიტანეთის ქალაქ ოლდრობოს ტაძრის სიახლოვეს მაცხოვრებელმა 50-მდე ადამიანმა ზუსტად იგივე შინაარსის სარჩელი შეიტანა სასამართლოში. როგორც ჩანს, ახლმოსახლეებმა არ იცოდნენ, რომ ამ ტაძრის ზარები უკვე 500 წელზე მეტია მორწმუნეებს სალოცავად უხმობენ.

ჰოლანდიის მოსახლეობა, რომელიც ერთდროს დიდად ამაყობდა თავისი ტაძრების ჰანგებით, ახლა ამ ხმამ შეაწუხა. ქალაქ ტილბურგის მუნიციპალიტეტმა მოქალაქეთა საჩივრის დაკმაყოფილების მიზნით დაადგინა, რომ ზარების დარეკვის ყველა ახალი ფაქტისათვის კათოლიკე მღვდელს 5 ათასი ევროთი დააჯარიმებს.

სხვათა შორის, ძველთაგან მოდის ცოდნა იმის შესახებ, რომ ზარების რეკვას ზოგიერთი სულიერი არსება და მათგან შეპყრობილნი ვერ იტანენ. რაც შეეხება იურიდიულ მხარეს, ქრისტიანთა დისკრიმინაცია დასავლეთში ფართოვდება და მოსახლეობის მხარდაჭერასაც იძენს.

# ვის არ აჩერებენ საზღვარზე?

**ბრიტანეთის ქალაქ პორტსმუტში დაკარგული კატა ბორანზე ასულა და ესპანეთამდე ისე იმგზავრა, თვალში არავის მოხვედრია. პატრონები, მოხუცებული ცოლ-ქმარი, კი ოთხი დღის განმავლობაში უიმედოდ ეძებდა მას.**



მათი აზრით, წითური კატა ვილაცამ მოიპარა, ვინაიდან ის ნებაყოფლობით უცხოებთან კი არა, პატრონების მანქანაშიც არ ჯდებოდა. სავარაუდოდ, ცხოველი გამტაცებლებს დაუსხლტა და ბორანზე ავიდა. სენდის პოვნის თაობაზე ბორანის მეპატრონეებმა ვეტერინარულ ორგანიზაციას აცნობეს. მისი პატრონების ვინაობის დადგენა იმ მიკროჩიპის მეშვეობით მოხერხდა, რომელზეც ცხოველის შესახებ ინფორმაცია ინახებოდა.

ესპანეთიდან ბრიტანეთში დასაბრუნებლად მგზავრობისას კატა ცალკე კაიუტაში მოათავსეს, სადილ-ვახშამზე კი ლოსოსსა და ქათმის ხორცს სთავაზობდნენ. მიუხედავად ამისა, სენდი სახლში მხოლოდ 6 თვის შემდეგ დაბრუნდება _ შორეული მოგზაურობის შემდეგ მას კარანტინში მოათავსებენ.

# ვინ ჩაყლაპა მახათი?



**ბრაზილიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ბაიას შტატში მედიკოსებმა ორი წლის ბავშვი გამოიკვლიეს და მის სხეულში 50-მდე ფოლადის ნემსი აღმოაჩინეს.**

დედამ ბიჭი საავადმყოფოში მუცლის ტკივილის გამო წაიყვანა, რენდგენულმა სურათმა საჭმლის მომნელებელ სისტემაში 17 ნემსი მაშინვე აღმოაჩინა, უფრო დეტალური გამოკვლევის შემდეგ კი ბავშვის სხეულში ნაპოვნი მეტალის საგნების რაოდენობა 50-მდე გაიზარდა.

ნემსები მუცელში, კისერსა და ფეხებში იყო განლაგებული. ბავშვი საავადმყოფოში მოათავსეს.

ექიმების თქმით, სხეულში ნემსების ადგილმდებარეობა ამტკიცებს, რომ ბავშვს ისინი არ გადაუყლაპავს, ვინაიდან სხეულზე რაიმე დაზიანებები არ აღენიშნება, ცხადი ხდება, რომ ბავშვს ნემსებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში წინასწარი განზრახვით და ნელნელა ურჭობდნენ სხეულში სხვადასხვა ადგილას. დედას ამ ყველაფრის ახსნა არ შეუძლია, ადგილობრივმა პოლიციამ სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით აღძრა.

# რის სუნი აქვს სახლს?

**სახლის სუნის მთავარ შემადგენელ ნაწილს სარეცხი საშუალებების, შებრაწული პურისა და პარფიუმერიის არომატები შეადგენენ. ამ შედეგამდე მივიდა კვლევა, რომელმაც ბრიტანეთის ოთხი ათასამდე სახლი მოიცვა.**



საშუალოსტატისტიკური მონაცემებით, საცხოვრებლის სუნს 34%-ით - სარეცხი ფხვნილის, 22%-ით - შემწვარი პურის, ხოლო 17%-ით - სუნამოს ან სხვა პარფიუმერული საშუალებების სუნი განსაზღვრავს. არომატის 12%-ს ქმნის ყვავილების სურნელი, 10%-ს - გუშინდელი ვახშმისა, დანარჩენ 5%-ს კი - გაცივებული ყავის.

რასაკვირველია, ამ სტანდარტულ სუნს დროდადრო დამატებითი არომატებიც ერევა სადღესასწაულო სადილის ან სურნელოვანი სანთლების წყალობით. უნდა აღინიშნოს, რომ ბრიტანელების 7% სახლის უმთავრეს კომპონენტად იქაურ სუნს თვლის, 40% კი ხშირად არიდებს თავს იმ სახლში სტუმრობას, სადაც მუდმივად გამეფებული სურნელი არ მოსწონს. ყოველი მეხუთე ბრიტანელი იმდენადაა საკუთარი სახლის სუნს მიჩვეული, რომ სიამოვნებით ატარებდა მას ყველგან.

# აწმყო - წარსულის ამფეთქებელი

**19 დეკემბერს, ნიკოლოზობა დღეს, სააკაშვილის ხელისუფლების ცუდი წამოწყება საშინელი შედეგით დაგვირგვინდა - ქუთაისში „დიდების მემორიალის" აფეთქებამ დედა-შვილის სიცოცხლე იმსხვერპლა. ქართულმა საზოგადოებამ მომხდარი ძალზე მტკივნეულად განიცადა. ასეთ ვითარებაში საკმაოდ რთულია წონასწორობის შენარჩუნება და მოვლენათა თანმიმდევრული გაანალიზება, მაგრამ, ალბათ, აჯობებს, სწორედ ამ გზით წავიდეთ, ხოლო მომხდარის შეფასება ბოლოსთვის მოვიტოვოთ.**



ფაქტია, რომ ადგილობრივი მოსახლეობა, ისევე როგორც მუშები, რომლებიც მემორიალს გასანადგურებლად ამზადებდნენ, დარწმუნებული იყვნენ, რომ აფეთქება 21 დეკემბერს მოხდებოდა. მედიასთან საუბრებში, როგორც ტრაგედიამდე, ისე მის შემდეგ, ათეულობით ადამიანი სწორედ ამ თარიღს ასახელებდა. გადმოიტანეს თუ არა აფეთქები 21-იდან 19 დეკემბერს? ვინაიდან მრავალი მოწმის ჩვენება სწორედ ამაზე მიუთითებს, ხოლო საპირისპირო ჯერ არავის უთქვამს, მართებული იქნება, სამუშაო ვერსია სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით ავაგოთ.

ცხადია, აფეთქების (და სხვა თანმდევი ღონისძიებების) მომზადებისთვის დაკლებული თითოეული საათი, პირვანდელი გრაფიკის შეცვლა, შეცდომის დაშვების ალბათობას დიდად ზრდის და კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს. შეიძლება ითქვას, რომ იგი იმ ქვის როლს ასრულებს, რომელიც შეცდომების ზვავის ჩამოწოლას იწვევს.

**არესებობდა თუ არა მიზეზები, რომლებიც ხელისუფლებას პროცესის დაჩქარებას აიძულებდა? შესაძლოა, საბედისწერო გადაწყვეტილების მიღებაზე შემდეგმა ფაქტორებმა იმოქმედოს:**

1) 21 დეკემბერს მემორიალის დანგრევის მოწინააღმდეგენი საპროტესტო აქციის გამართვას და ძეგლის გარშემო „ცოცხალი ჯაჭვის„ შეკვრას გეგმავდნენ; აქცია დიდი ალბათობით პერმანენტულ ხასიათს მიიღებდა. მისი დაშლა ძალის გამოყენებით ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ უარყოფით რეაქციას გამოიწვევდა, ხოლო ლოდინი აქციის გამოფიტვამდე ხელისუფლებას წინასწარ შედგენილი გრაფიკიდან ამოაგდებდა. სავარაუდოდ, 21 დეკემბერს ჩაიშლებოდა სააკაშვილის მოსალოდნელი ვიზიტი ქუთაისში და პარლამენტის ახალი შენობის პროექტის პრეზენტაცია.

2) აქტიური სადემონტაჟო სამუშაოების დაწყების შემდეგ პრობლემის გარშემო საკმაოდ სწრაფად დაიწყო უარყოფითი საინფორმაციო ფონის ჩამოყალიბება. საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ გეომეტრიული პროგრესიით იზრდებოდა იმ პუბლიკაციების რიცხვი, რომლებშიც სააკაშვილის ხელისუფლების მოქმედება ნეგატიურ ჭრილში განიხილებოდა. საქმე მხოლოდ ამით არ შემოფარგლულა; ბერლინში, საერთაშორისო კონფერენციაზე „მეორე მსოფლიო ომისა და ჰოლოკოსტის გაკვეთილები" (მას ესწრებოდა 400-ზე მეტი მონაწილე 22 ქვეყნიდან; უმრავლესობა ებრალური საზოგადოებრიობის გავლენიანი წარმომადგენლები გახლდნენ) მიიღეს საგანგებო რეზოლუცია, რომელშიც დაგმეს საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება „დიდების მემორიალის" დანგრევის თაობაზე, ხოლო შექმნილი ვითარება შემდეგნაირად დახასიათდა: **„ომი ძეგლებთან, ფაშიზმთან ხალხთა ერთობლივი ბრძოლის მეხსიერებიდან ამოშლის მცდელობები, გარდაისახება ომად საკუთარი ხალხისა და მისი ისტორიის წინააღმდეგ".**

ეს მოხდა 17 დეკემბერს, მომდევნო დღეს კი გაეროს გენერალურმა ასამბლეამ განიხილა რეზოლუციის პროექტი, რომელშიც გამოითქვა შეშფოთება ნაციზმთან მებრძოლთა ძეგლების განადგურების მცდელობების გამო. მას მხარი დელეგაციების უმრავლესობამ (127 ქვეყანა) დაუჭირა. ცხადია, თითოეული მომდევნო დღე 21 დეკემბრამდე საინფორმაციო ფონს კიდევ უფრო დაამძიმებდა. შესაბამისად, დასწრებაზე მოქმედების სურვილი, ხელისუფლებას პრობლემის ამ ასპექტის გამოც შეიძლებოდა, გასჩენოდა.

18 დეკემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტმა გაავრცელა ოფიციალური კომენტარი, რომლის ერთ-ერთ ფრაზას შეეძლო, შეექმნა შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებამ მემორიალის აფეთქებისგან თავის შეკავება ამჯობინა: „აღნიშნული მემორიალი საჭიროებს შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას". ეს ირიბად მიგვანიშნებს იმაზე, რომ საბოლოო გადაწყვეტილება მემორიალის სასწრაფო აფეთქების თაობაზე იმ მომენტისათვის მიღებული არ ყოფილა (ან მის შესახებ მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა იცოდა), რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველი დიპლომატები შეეცდებოდნენ სხვა ფორმულირება მოეძებნათ. ისინი ძალზე უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

**ტრაგედიის შემდეგ სახელისუფლო მედია რამდენიმე საათის განმავლობაში მონოტონურად იმეორებდა, რომ მიხეილ სააკაშვილმა შეწყვიტა ვიზიტი კოპენჰაგენში და საქართველოში ბრუნდება. პროპაგანდის მესვეურებს, სავარაუდოდ, მშვენივრად ესმოდათ, რომ ხელისუფლების ოპონენტებისთვის არანაირ სირთულეს არ წარმოადგენდა იმის დადგენა, რომ კოპენჰაგენის სამიტი იმ მომენტისთვის უკვე დასრულებული იყო და ამ გარემოებას აუცილებლად დააფიქსირებდნენ. თუმცა მათთვის უფრო მნიშვნელოვანი სხვა რამ იყო: ხაზი გაესვათ იმისათვის, რომ სააკაშვილი თბილისში მოიჩქარის, რათა გაიზიაროს ერის მწუხარება (გაერკვეს ვითარებაში, დასაჯოს დამნაშავეები და ა.შ.) და, რაც მთავარია, იმისთვისაც, რომ ტრაგედიის დროს იგი სადღაც შორს (სადღაც იქ, კოპენჰაგენში) იმყოფებოდა და, შესაბამისად, დისტანცირებული იყო იმ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისგან, რომელსაც ტრაგიკული შედეგი მოჰყვა.**

თბილისში დაბრუნებულმა სააკაშვილმა, მისი პრესსპიკერის თქმით, „ამომწურავი ინფორმაცია და, შესაბამისად, სათანადო გადაწყვეტილებები მიიღო, კერძოდ, თანამდებობიდან გაათავისუფლა იმერეთის გუბერნატორი მიხეილ ჩოგოვაძე". აქ ძალიან საინტერესო კითხვას ვუახლოვდებით: რატომ გაათავისუფლეს მიხეილ ჩოგოვაძე? ნორმალურ სახელმწიფოებში ასეთ ვითარებაში ჩინოვნიკების გათავისუფლებას ახლავს მკაფიოდ ჩამოყალიბებული ფორმულირება, რომლის მეშვეობით საზოგადოება იგებს, რა დააშავა ფიგურანტმა, ვინაიდან ეს ის შემთხვევა არაა, როდესაც შეიძლება მომხდარი „ჯანმრთელობის გაუარესებად" ან „სხვა სამუშაოზე გადასვლად" გაასაღო.

რა ფორმით იყო ჩართული ჩოგოვაძე ქუთაისის მუნიციპალიტეტისა და კონტრაქტორი ფირმების ურთიერთობებში? რა როლს ასრულებდა აფეთქების დაგეგმვის (ან დაჩქარების) პროცესში და მოსახლეობის ევაკუაციის ორგანიზებაში? ტროტილს დებდა? ღილაკს თითს აჭერდა? მოკლედ, „Кто он такой, этот потерпевший? Куда он пошел?"

ალბათ, გუბერნატორი, ამ შემთხვევაში, უნდა განვიხილოთ, როგორც ერთგვარი შუალედური რგოლი ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის; მისი გათავისუფლება, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება წარმოჩნდეს, როგორც პასუხისმგებლობის დაკისრება ერთზეც და მეორეზეც, თუმცა რეალურად ორივესთვის პასუხისმგებლობის არიდების შესაძლებლობას ქმნის. მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებებსა და ადგილობრივის ქმედებებს შორის, იმ შემთხვევაში, თუ მისი დაფარვა საჭირო გახდება, სააკაშვილის მომხრეები ამიერიდან, სავარაუდოდ, გადაყენებული გუბერნატორის ფიგურას დაუკავშირებენ.

იდეაში, საკმაოდ მოხერხებული სქემაა, თუმცა იგი ნამდვილად ვერ მოხსნის ყველა პრობლემას, რომელიც ხელისუფლების წინაშე დადგა.

მომხდარის შემდეგ 24 საათიც არ იყო გასული, როდესაც აფეთქებული მემორიალის სიახლოვეს გააკრეს ბანერი „საქართველოს პარლამენტი-2012", ხოლო აკაკი ბობოხიძემ „ექსპრესნიუსს" განუცხადა, რომ „ქუთაისში პარლამენტის მშენებლობას წინ ვერავინ დაუდგება". კაცმა რომ თქვას, მომავალთან დაკავშირებით კატეგორიული განცხადებების გაკეთება ერთობ საფრთხილო საქმეა. აგერ იოზეფ ჰებელსიც ამბობდა: „ისინი ვერასდროს შევლენ ბერლინში", მაგრამ შევიდნენ, თან სწორედ ისინი, ვის ხსოვნასაც ეძღვნებოდა „დიდების მემორიალი". თუმცა, ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი სულ სხვა რამაა. ხელისუფლებამ, მიუხედავად მომხდარისა, კვლავ დაადასტურა, რომ პირვანდელი გეგმის ერთგული რჩება.

რა ვქნათ, ნებისმიერი პიროვნების ან ადამიანთა ჯგუფის ცხოვრებაში დგება მომენტი, როდესაც საბოლოო არჩევანის გაკეთება უწევს, რომლის შემდეგ უკან დასახევი გზა აღარ რჩება. „დიდების მემორიალის" გარშემო დატრიალებული მოვლენები ძალიან ჰგავს იმ გზაგასაყარს, რომლის იქით ხელისუფლებისა და საზოგადოების გზები შეიძლება საბოლოოდ გაიყოს.

საზოგადოების დიდმა ნაწილმა მომხდარის შემდეგ მშენებლობის გაგრძელების სურვილის მიღმა შეიძლება ისეთი ცინიზმი და კაცთმოძულეობა დაინახოს, რომელიც ჰეროდეს და ჰეროსტრატეს თუ ახასიათებდა. პირველი გამოხმაურებები ქუთაისში მომხდარი უბედურების შემდეგ სხვა დასკვნის გაკეთების საშუალებას არ გვაძლევს. მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმაც, რომ საუბარი ამ შემთხვევაში ეხება არა აზრთა სხვადასხვაობას პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემებზე, არამედ დაპირისპირებას ფუნდამენტურ საკითხებზე, რომლის დროს კომუნიკაცია მხარეებს შორის შეიძლება, უბრალოდ, გაწყდეს.

**ბევრმა ადამიანმა შეიძლება იფიქროს, რომ მემორიალის აფეთქება იგივეა, რაც მათი წინაპრების საფლავების განადგურება; ბევრიც, ალბათ, ჩათვლის, რომ პარლამენტის ახალი შენობა სისხლზე შენდება და ეს ყოვლად შეუწყნარებელი რამ არის. ყოველ შემთხვევაში, პრესა და ინტერნეტი მსგავსი შეფასებებით საკმაოდ სწრაფად ივსება და ყველაფერი მიგვანიშნებს იმაზე, რომ საქმე ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ აზრთან გვაქვს, რომლის არგათვალისწინება ხელისუფლებას შეიძლება საკმაოდ ძვირი დაუჯდეს. თუმცა ძნელად სავარაუდოა, რომ მან საკუთარ განზრახვაზე ხელი აიღოს.**

21 დეკემბერს, ხელისუფლების კიდევ ერთი წარმომადგენლის მხრიდან საკმაოდ საგულისხმო განცხადება გაკეთდა: „საპარლამენტო უმრავლესობის წევრ ნუგზარ წიკლაურისთვის დიდების მემორიალი არაფერს ძვირფასს და ღირებულს არ წარმოადგენდა. როგორც ნუგზარ წიკლაურმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ასეთივე დამოკიდებულება აქვს მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებისადმი მიძღვნილი სხვა მემორიალებისადმიც. მისი თქმით, მეორე მსოფლიო ომში საქართველოს არ გაუმარჯვია, რუსეთის იმპერიის დროშის ქვეშ 400 ათასი ქართველი დაიღუპა, რამდენიმე ათეულ წელში კი იგივე იმპერიამ საქართველოს ოკუპაცია-დანაწევრება დაიწყო" („ინტერპრესნიუსი").

ამ გამოსვლაში გაცხადებული პოზიციის გარდა ერთი საგულისხმო დაფარული ნიუანსის დაჭერა შეიძლება: ერთი მხრივ, საქართველო 9 მაისს „ფაშიზმზე გამარჯვების დღეს" ზეიმობს, რომელიც ოფიციალური დღესასწაულია; მეორე მხრივ, იმ ხელისუფლების წარმომადგენელი, რომლის მეთაურები უცნობი ჯარისკაცის საფლავს ყოველწლიურად გვირგვინით ამკობენ, აცხადებს, რომ საქართველოს არ გაუმარჯვია. აშკარა შეუსაბამობაა, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ საპარლამენტო უმრავლესობის წევრები განცხადებებს მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორც წესი ხელისუფლების უმაღლეს პირებს უთანხმებენ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქმე გვაქვს პირველ ნაბიჯთან 9 მაისის დღესასწაულისთვის სტატუსის შეცვლის გზაზე, საზოგადოების რეაქციის ერთგვარ ტესტთან.

თუ განვითარებული მოვლენების ლოგიკიდან გამოვალთ, ხელისუფლების მომდევნო სამიზნე შეიძლება გახდეს **სტალინის ძეგლი** გორში და **გამარჯვების მემორიალი** ვაკის პარკში, თუმცა ორივე შემთხვევაში მას წინ გარკვეული სირთულეები დახვდება. გორი კონფლიქტის ზონის უშუალო სიახლოვეს მდებარეობს და მასობრივი არეულობა ქალაქში, რომელიც ძალიან დიდი ალბათობით სტალინის ძეგლის დემონტაჟის მცდელობას მოჰყვება, საფრთხეების მთელ სპექტრს დაუკავშირდება. ასევე, მძიმე შედეგებით შეიძლება დასრულდეს შეტევა ვაკის პარკის მემორიალზე მკვეთრად ოპოზიციურად განწყობილ თბილისში; თუმცა გამორიცხული არაფერია, ხელისუფლება მსგავსი ტიპის ნაბიჯებზე არაერთგზის წასულა.

**შექმნილი მდგომარეობა დაფიქრებას მოითხოვს. ბუნდოვანი მსჯელობა „ერთი კაცის ახირებაზე" ან „ხელისუფლების მცდარ ნაბიჯებზე" მომენტის სერიოზულობას ვერ პასუხობს. აშკარაა, რომ ეროვნული ცნობიერების ფორმირებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ყველა მიმართულებაზე (რელიგია, განათლება, ისტორიული მეხსიერება) მძიმე ბრძოლა მიმდინარეობს. გაცილებით სწორი (და პატიოსანი) მიმდინარე პროცესებისთვის ნამდვილი სახელის დარქმევა იქნება. რაოდენ მძიმეც უნდა იყოს ამის თქმა - ეს ომია.**

მეტიც, ვინაიდან ამ ომში ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება - ეს სამამულო ომია.

**დიმიტრი მონიავა**

http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
რეკლამის მენეჯერი ეთერ კასრელიშვილი (899 110 200)
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. № 166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail: info@geworld.net